F 7 3 № 838

წელიწადი მეთერთმეტე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო

ტელეფონები №№: რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—28—17, სამდივნოს—10—58, მთ. კანტორის—8—81.

პარასკევი, 2 ოქტომბერი 1931 წ. № 227 (3682)

# პროლეტარიატის სტალინური საწარმოო ლაშქრობა გადამწყვეტი წლის გეგმების შესრულების დამკვრელი ლაშქრობაა

## არც ერთი კილოგრამი ბამბა აუკრეფავი

ცნობები ბამბის აკრეფის მიმდინარეობის შესახებ, რომელსაც დღეს ვაქვეყნებთ ცუდ მდგომარეობას ხატავს: 25 სექტემბრისათვის მთელს რესპუბლიკაში აკრეფილი იყო 3.426 ტონა ბამბა, შესრულებული იყო გეგმის 2,6 პროცენტი. აკრეფის გეგმა შესრულებული აქვთ კოლმეურნეობებს 3,3 პროცენტით, ღარიბს და საშუალო გლეხებს 2,4 პროცენტით, ხოლო კულაკურ და შეძლებულ მეურნეობებს 0,7 პროცენტით. **ყველაზე უფრო ჩამორჩენილია ბორჩალოს რაიონი**, რომელსაც ამავე 25 სექტემბრისათვის ბამბის აკრეფის გეგმა შესრულებული აქვს 0,9 პროცენტით.

ბამბის თითქმის ყველა რაიონები მწვავედ განიცდიან ბამბის აკრეფისათვის მოსამზადებელი მუშაობის სუსტად ჩატარების შედეგებს. ახლა უკვე ნათელი ხდება, რომ მებამბეობის რაიონების პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ თავის დროზე არ ყოფილა მიღებული ყველა ზომები იმ ღონისძიებების გასატარებლად, რომელიც ბამბის აკრეფის კამპანიასთან დაკავშირებით მოცემული იყო საკ. კ. პ. (ბ) ამიერ - კავკასიის საოლქო კომიტეტის და საქ. კ. პ. (ბ) ცეკას მიერ. უმეტეს შემთხვევაში არ არის საწარმოო საშუალებების და მუშა ხელის სწორი განაწილება, არ არის კონკრეტული გეგმები და მტკიცედ განსაზღვრული კალენდარული ვადა ამა თუ იმ სამუშაოთა ჩატარებისათვის. მოუწესრიგებელია საბჭოთა მეურნეობებისათვის მუშა-ხელის მიწოდების საკითხი, არ არის საკმარისი ტარა და ტრანსპორტი ნედლი ბამბის დანიშნულების ადგილზე დროზე გადაგზავნისათვის და ნაკლები ყურადღება ექცევა ბამბის მაღალი **ხარისხის** შენარჩუნებას.

ამასთან ერთად ირკვევა, რომ ბამბის აკრეფა უფრო ადრეა ჩასატარებელი, ვინემ ეს გეგმით იყო გათვალისწინებული. ალაზნის საბჭოთა მეურნეობაში არის ნაკვეთები, სადაც ბამბა უკვე დამწიფებულია (გაშლილია) 90 პროცენტით. ეს მდგომარეობა გვავალებს დაუყოვნებლივ გარდავქმნათ მთელი ჩვენი მუშაობა ისე, რომ უზრუნველვყოთ დამწიფებული ბამბის დროზე და მთლიანად აკრეფა. ადგილობრივ ორგანიზაციებს ნათლად უნდა ჰქონდეთ შეგნებული ის უდიდესი ზარალი, რომელიც შეუძლია გამოიწვიოს ბამბის აკრეფის დაგვიანებამ. **ყარაიას, სიღნაღის, გურჯაანის და გარე-კახეთის რაიონებში ბამბის მოსავალი ისეთ მდგომარეობაშია, რომ მცირეოდენ წვიმას და ქარს შეუძლია საშინლად დააზარალოს მებამბეები. საჭიროა მთელი ძალების მობილიზაცია იმისათვის, რომ უახლოეს დღეებში მოთავდეს პირველი კრეფა და გაძლიერებული ტემპებით შეუდგეთ მეორე კრეფას.**

ყველაფერს სწყვეტს მუშა-ხელის და საწარმოო საშუალებების მომარაგება და მაქსიმალური დატვირთვით გამოყენება. მთელ რიგ კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში ბამბის კრეფის სამუშაონი დროზე ვერ სრულდება. კვლავ ძალაშია გაუპიროვნების პრაქტიკა და მეტად **დაბალია გამომუშავების ნორმები.** ამ მდგომარეობას გადაჭრით უნდა მოეღოს ბოლო. **ბამბის განსაზღვრულ ნაკვეთებზე მიმაგრებული უნდა იქნეს განსაზღვრული ბრიგადა ან ჯგუფი, რომელიც ბამბის აკრეფის მთელ სამუშაოთა ბოლომდე მისაყვანად პასუხისმგებელი იქნება საბჭოთა მეურნეობის და კოლმეურნეობის მმართველი ორგანოების წინაშე.** სასტიკი ბრძოლა უნდა იქნეს წარმოებული გამომუშავების დაბალი ნორმების დაწესების ცდების წინააღმდეგ, რასაც ხელს უწყობენ კოლმეურნეობებში შეპარული კულაკების დამქაშები და სხვის ნაშრომის შემყურენი. ბამბის აკრეფის ყველა სამუშევრებზე უნდა დაწესდეს ის ნორმა, რომელიც გამომუშავებული იქნება საუკეთესო დამკვრელ კოლმეურნეთა მიერ, ამის გატარება შესაძლებლობას მოგვცემს სათანადოდ **დავტვირთოთ მუშა-ხელი.**

საბჭოთა მეურნეობები დროზე არ შესდგომიან ამხ. **სტალინის** იმ მითითებების რეალიზაციას, რომელიც კოლმეურნეობებთან სათანადო ხელშეკრულებების დადების საფუძველზე მუშა-ხელის გეგმიან მომარაგებას შეეხება. კოლმეურნეობების მიმართ ზოგიერთ რაიონებში ვხვდებით ადმინისტრატიული ზომების მიღების ცდებს, რაც დაშვებული არ უნდა იქნეს არავითარ შემთხვევაში. საჭიროა კოლმეურნეთა მასებს ფართოდ გავაცნოთ ის უპირატესობა, შეღავათები და სარგებლიანობა, რომელიც ეძლევა ბამბის სამუშაოზე გასულ კოლმეურნეებს; საჭიროა აგრეთვე სათანადო ზომების მიღება იმისათვის, რომ საბჭოთა მეურნეობანი დროზე ასრულებდნენ ყველა იმ ვალდებულებებს, რომელნიც კოლმეურნეობებთან დადებულ ხელშეკრულებაშია გათვალისწინებული.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს დაკრეფილი ბამბის დროზე გადატანას მიმღებ პუნქტებამდე. „სოიუზტრანს“-მა დაუყოვნებლივ უნდა შეასრულოს სადირექტივო ორგანოების დადგენილება მებამბეობის რაიონებისათვის საბარგო ავტომობილების განსაზღვრული რაოდენობის გადაცემის შესახებ. გარდა ამისა **მობილიზაცია უნდა გაუკეთდეს ადგილობრივ ტრანსპორტს ბამბის გადაზიდვის დანიშნულ ვადებში დასამთავრებლად.** ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე **ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარებას.**

გასული წლის მაგალითების მსგავსად კულაკური და შეძლებული მეურნეობანი წელსაც ყოველმხრივ ცდილობენ თავი დააძვრინონ ბამბის აკრეფა-ჩაბარების მტკიცე დავალებათა დროზე შესრულებისაგან. კულაკები ზოგან მოკრეფილ ბამბას მთლიანად არ აბარებენ სახელმწიფოს, ზოგან კი ისინი სრულიად არ აპირებენ ბამბის აკრეფის ჩატარებას. ზოგან ადგილობრივი ორგანიზაციები, განსაკუთრებით სოფლის საბჭოები არ იღებენ საკმაოდ მკაცრ ზომებს კულაკების მიმართ. ამის მაჩვენებელია თუ გინდ ის ფაქტი, რომ ბამბის აკრეფის გეგმა კულაკურ-შეძლებულ მეურნეობათა ხაზით შესრულებულია მხოლოდ 0,7 პროცენტით. ამ მდგომარეობის გამოსწორებას ეხლავე უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

**ბამბის აკრეფის მექანიზაციის საქმეს ჩვენში თავიდანვე არ ქონდა მიქცეული სათანადო ყურადღება.** ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ დროზე ვერ მოხერხდა ბამბის საკრეფი მანქანების შემოტანა. კიდევ მეტი: სრულებით გამოუყენებელია ის მანქანებიც, რომელნიც მიღებული იქნა აკრეფის კამპანიის დაწყებამდე. მაგ.: **დღემდე არ აუმუშავებიათ ბამბის 5 საკრეფი მანქანა ალაზნის საბჭოთა მეურნეობაში;** მუშაობის ამ გახურებულ სეზონში 5 საკრეფი მანქანა უმოქმედოთ სდგას უმნიშვნელო ნაწილების უქონლობის გამო; თავის დროზე კი იყო ყოველგვარი შესაძლებლობა მოემარაგებიათ სათანადო ნაწილები და უზრუნველეყოთ მანქანების ნორმალური მუშაობა, მაგრამ აღმაშფოთებელი უპასუხისმგებლობის გამო, რომელიც დანაშაულს უდრის, გამცდარი არიან ბამბის საკრეფი მანქანები. ამ საქმეს სასწრაფოდ გამორკვევა და მის შესახებ ზომების მიღება ესაჭიროება. სათანადო ცენტრალურმა ორგანიზაციებმა კი მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ბამბის მანქანების შემოტანის გაძლიერებას და ადგილებზე მყოფი მანქანების მაქსიმალურად დატვირთვას.

ჩვენ შევედით ბამბის აკრეფის კამპანიის მეტის მეტად საპასუხისმგებლო პერიოდში. ოქტომბერში 10-ჯერ და 20-ჯერ მეტი მუშა-ხელი, საწარმოო საშუალებები და ძალებია საჭირო ბამბის კრეფისათვის, ვინემ ეს საჭირო იყო სექტემბერში. ეს გარემოება ავალებს მებამბეობის რაიონის ორგანიზაციებს ყველაფერი დაუქვემდებარონ ბამბის აკრეფის დროზე დამთავრების ამოცანებს—არც ერთი კილოგრამი ბამბა აუკრეფავი ასეთია მებამბეობის რაიონების პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანა, რომელიც შესრულებული უნდა იქნას ყოველგვარი დაბრკოლებების და სიძნელეების ბოლშევიკურად გადალახვით.

## ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ბრწყინვალე გამარჯვება

### სათემო არჩევნებზე

პრაღა, 30 სექტემბერი. ჩეხოსლოვაკიაში მომხდარ სათემო არჩევნების დროს კომპარტიამ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. ოსტროვის უმნიშვნელოვანეს რაიონის 40 თემში კომუნისტებმა მიიღეს 10.345 ხმა, რაც 36 პროცენტით აღემატება 1927 წელში სათემო არჩევნებზე მიღებულ ხმას.

პილზენის ოლქში კომუნისტებისათვის მიცემული ხმების რიცხვი 25 პროცენტით აღემატება კომპარტიის მიერ 1928 წლის საპარლამენტო არჩევნებზე შეგროვებულ ხმებს, რეიხენბერგის ოლქში კომუნისტებმა მიიღეს 10 პროცენტით, ხოლო კომოტაუს ოლქში 23 პროცენტით მეტი ხმა 1927 წელთან შედარებით. პრაღის ოლქის 10 თემში კომუნისტებმა მიიღეს 4.809 ხმა, ხოლო სოციალ-დემოკრატებმა — 2.068 ხმა. ამის გარდა, კომუნისტებმა ხმების დიდი უმრავლესობა მიიღეს სლოვაკიის 11 ოლქში. შახას ოლქში კომუნისტების სიამ შეაგროვა 7.166 ხმა (ხმების საერთო რიცხვი უდრიდა 18.629-ს). კობუტაში, სადაც მაისში ადგილი ჰქონდა გაფიცულ მუშების დახვრეტას, ხმების საერთო რიცხვიდან —569-დგან კომუნისტებმა მიიღეს 350 ხმა და 11 მანდატი.

მთელ რიგ ადგილებში კომპარტიამ მიიღო იმაზე მეტი ხმა, ვიდრე 1927 წლის სათემო არჩევნებზე. ქ. როზნავაში კომპარტიამ შეაგროვა 1.407 ხმა, 1927 წელში მიღებულ 700 ხმის ნაცვლად, ტარნოვოში კომუნისტებმა მიიღეს 2.226 ხმა, 1927 წელში მიღებულ 1.715 ხმის ნაცვლად.

კარპატის გადაღმა უკრაინაში, სადაც განსაკუთრებით ძლიერი იყო საარჩევნო ტერორი, მუკაჩევის 13 თემში კომუნისტებმა მიიღეს 3.909 ხმა, 1929 წელში მიღებულ — 2.356 ხმის ნაცვლად. შალიავას ოლქის ყველა თემებში კომუნისტებმა შეაგროვეს — 1.688 ხმა, 1929 წელში მიღებულ 460 ხმის ნაცვლად. ბერეზნის ოლქში ყველაზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა კომპარტია. პერეჩენის და ტიაჩევოს ოლქებში ადგილი აქვს კომუნისტების ხმების თვალსაჩინო ზრდას.

კომუნისტური „რუდი ვეჩერნიკ“-ი აღნიშნავს, რომ ჩეხოსლოვაკიაში მომხდარ სათემო არჩევნების უმნიშვნელოვანეს შედეგს წარმოადგენს კომპარტიის გავლენის ზრდის ფაქტი ყველა მნიშვნელოვან ადგილებში და მუშათა მასების ჩამოშორება ბურჟუაზიის სოციალ - ფაშისტური დასაყრდენისაგან. მუშათა ნდობა კომპარტიისადმი იზრდება. (ადს).

## ბაქოს ნავთის მრეწველობის დამკვრელ მუშათა შეკრების დეპეშა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს—ამხ. სტალინს

ბაქო, 30 სექტემბერი. ამიერ-კავკასიის ნავთის მრეწველობის დამკვრელ მუშათა საერთო შეკრება ბაქოში მხურვალე სალამს უგზავნის პარტიისა და მუშათა კლასის ბელადს ამხ. სტალინს.

ამიერ-კავკასიის ნავთის მრეწველობის მუშები, რომელთაც არა ერთხელ დაუმტკიცებიათ საქმით პარტიის გენერალური ხაზის სისწორე, ეხლა შენ, ჩვენი პარტიის საყვარელ ბელადს, მოგმართავენ პატაკით, რომ ჩვენმა სარეწაოთა ნაწილმა — ბიბი-ეიბათის რაიონის მეორე წითელდროშოვანმა სარეწაომ და ყარა-ჩუხურის სარეწაომ — 17 სექტემბერს შეასრულა ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის წლიური პროგრამა. ლენინური რაიონის მეხუთე სარეწაომ თავისი წლიური პროგრამა ერთნახევარი მილიონი ტონა ნავთის ამოღების პროგრამა — შეასრულა 26 სექტემბერს.

ამიერ-კავკასიის ნავთის მრეწველობის მუშები სიტყვას გაძლევენ შენ ამხ. სტალინ, რომ ოპორტუნისტული ბანაკის მოწუწუნენი, „წინასწარმეტყველნი“ და იმედგაცრუებულნი ვერასდროს ვერ შეარყევენ ნავთის მრეწველობის დამკვრელ მუშათა რიგებს, რომლებიც მტკიცედ არიან შეკავშირებულნი საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის და აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ბაქოს კომიტეტის ხელმძღვანელობით.

ამიერ-კავკასიის ნავთის მრეწველობის მუშები იყვნენ ნავთის ხუთწლიანი გეგმის ორნახევარ წელიწადში შე-სრულების პირველი გმირები.

სიტყვას გაძლევთ შენ, ჩვენი პარტიის ბელადს, რომ ჩვენ შემდეგშიაც გადამწყვეტ ბრძოლაში პარტიის გენერალური ხაზისათვის და ყველა ჯურის ოპორტუნისტებისა და დაჯგუფების წინააღმდეგ არასოდეს ერთი ნაბიჯითაც არ ჩამოვრჩებით სოციალისტური მშენებლობის მოწინავე მებრძოლთა რიგებს.

**ჩვენ ვიძლევით ბოლშევიკურ სიტყვას, რომ ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის ნავთის სამრეწველო - საფინანსო გეგმას მთელს ამიერ-კავკასიაში ნავთის მრეწველობის გმირი მუშები ღირსეულად შეასრულებენ მეოთხე კვარტალში.**

გაუმარჯოს მთელ მსოფლიოს ბოლშევიკურ შტაბს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს და მის ბელადს ურყევ ლენინელს ამხ. სტალინს!“

## ბაქოს ნავთის მრეწველობის დამკვრელ მუშათა დეპეშა მაღაროელთა უკრაინის კომიტეტს

ბაქო, 30 სექტემბერი. „ბაქოს ნავთის მრეწველობის დამკვრელ მუშათა საერთო შეკრება მხურვალედ ესალმება აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ბაქოს კომიტეტის ბოლშევიკურ გადაწყვეტილებას ამხ. სტალინის დირექტივების შესრულების მასიური თვითშემოწმების კამპანიის ჩატარების შესახებ და მაღაროელებს მიმართავს წინადადებით — მხარი დაუჭირონ ბაქოს პროლეტარების ინიციატივას და მოაწყონ ასეთივე თვითშემოწმება მთელს დონბასში, გზადაგზა დაეხმარონ ჩამორჩენილ საწარმოთ და გარდაქმნან მუშაობა და ხელმძღვანელობა.

ჩვენ წინადადება შემოგვაქვს მოაწყოთ მთელს დონბასში სტალინის სახელობის საწარმოო ლაშქრობა იმ ანგარიშით, რომ იგი დამთავრდეს ოქტომბრის რევოლიუციის დღეს—7 ნოემბერს.

ჩვენ მოგმართავთ წინადადებით, მოაწყოთ ქვანახშირის კალონა და მის წინაშე დასახოთ შემდეგი საბრძოლო ამოცანები:

ოქტომბრის რევოლიუციის მე-14 წლისათვის არ უნდა დარჩეს არც ერთი საწარმო, რომელსაც არ ეყოლება საკმაო მუშა ხელი, რომელსაც არ ექნება დადებული ხელშეკრულება მუშა ხელის მოწესრიგებულად. შეგროვების შესახებ ად არ ექნება გატარებული სამუშაოთა მარტივი მექანიზაცია.

აიყვანეთ მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის მოთხოვნათა დონემდე, განახორციელეთ ხელფასის და შრომის მოწესრიგება, ნამდვილად გააჩაღეთ ბრძოლა წვრილ ბურჟუაზიულ „მომემარცხენო“ გათანაბრებისა და გაუპიროვნებასთან.

დასახეთ მუშათა, მოჯამაგირეთა და შვებულ წითელარმიელთა ახალი კადრების წინაშე ამოცანა — დღეს შენ მუშა ხარ, იბრძოლე კვალიფიკაციისათვის, შენ უნდა გახდე ტეხნიკოსი და ინჟენერი. მთლიანად და სავსებით განახორციელეთ სამეურნეო ანგარიში, მაქსიმალურად განავითარეთ სამეურნეო ანგარიშის ბრიგადები, როგორც სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობის ახალი საფეხური.

ჩვენ წინადადებათა შესასრულებლად მოაწყვეთ გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს, „ბაკინსკი რაბოჩი“-ს, „კომუნისტი“-ს, (თურქულის), „ვიშკა“-ს „კომუნისტი“-ს (უკრაინულის), „კადიევსკი პროლეტარი“-ს, „მუგანსკაია პრავდა“-ს, „დიქტატურა ტრუდა“-ს, „მაკეევსკი რაბოჩი“-ს და „კოჩეგარკა“-ს საშუალებით გამოძახება სტალინის სახელობის საწარმოო ლაშქრობის ყველა საკითხების შესახებ.

ბაქოს დამკვრელთა შეკრება მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ პროლეტარების ერთ-ერთი საუკეთესო რაზმიდან მასის მაღაროელები მხარს დაუჭერენ ნავთის მრეწველობის პროლეტარიატის ინიციატივას.

გაუმარჯოს ბოლშევიკურ ბრძოლას ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის პროგრამის შესრულებისათვის!

გაუმარჯოს ამხ. სტალინს!“ (ადს).

## ბაქოს მუშების წერილი „პრავდა“-ს

ბაქო, 30 სექტემბერი. „საბჭოთა კავშირის ყველა მუშებს.

აზერბეიჯანის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ბაქოს და ცენტრალური კომიტეტების მოწოდებით ბაქოსა და მთელი აზერბეიჯანის პარტიულმა ორგანიზაციამ და მუშათა მასებმა დაიწყეს ამხ. სტალინის მითითებათა შესრულების თვითშემოწმება.

ჩვენი მუშაობის პროგრამის ლოზუნგად გავიხადეთ ამხ. სტალინის ექვსი პირობა. სარეწაოებმა და ქარხნებმა დაიწყეს გადამწყვეტი ბრძოლა ახალი წესით მუშაობისა და ახალი წესით ხელმძღვანელობის შესახებ ამხ. სტალინის მიერ მოცემულ დირექტივების შესასრულებლად. ბაქოს სარეწაოებსა და ქარხნებში ფართოდ გაიშალა შეჯიბრება, გაძლიერდა ახალი სწრაფვა პარტიისაკენ. ბაქოს მუშებმა გამოიწვიეს თბილისი, ერევანი და ამიერ-კავკასიის ყველა მუშები—მოაწყონ ამხ. სტალინის მითითებათა შესრულების თვითშემოწმება. ბაქოს მუშებმა გამოიწვიეს გროზნოს ნავთის მრეწველობის მუშები და დონბასის მაღაროელები—მოაწყონ თვითშემოწმება.

ბაქოსა და მთელი აზერბეიჯანის ორგანიზაციამ დაამარცხა დაჯგუფების მონაწილენი, რომლებიც წარმოადგენდენ დიდმპყრობელურ და ნაციონალისტურ ელემენტების ბლოკს და, რომლებიც გაერთიანდნენ ბამბის გეგმის რეალობისადმი რწმენის უქონლობის საფუძველზე, ნავთის მრეწველობის ოპორტუნისტული ტემპების და ახალი კადრების, უწინარეს ყოვლისა, პროლეტარიატის ნაციონალური კადრების ზრდის შეფერხების საფუძველზე, და ამით გასწმინდა გზა ნავთისა, ბამბისა და კოლექტივიზაციისათვის საბრძოლველად.

ნავთის პროგრამის შესრულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის ქარხნებისათვის, სოციალისტური მრეწველობის და სოციალისტური მიწათმოქმედების განვითარებისათვის, მრეწველობის ახალი გიგანტების მუშაობისათვის, მშენებლობის პროცესში არსებულ ფაბრიკა-ქარხნებისათვის, აგრეთვე ექსპორტის საქმისა და ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საქმისათვის.

ბაქოსა და აზერბეიჯანის მუშები გმირულად იბრძოდენ ნავთის ხუთწლიანი გეგმის შესასრულებლად 2 ნახევარ წელიწადში, ჩვენ შევდივართ ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის მეოთხე კვარტალში. ბევრი ჩვენი სარეწაო და ქარხანა მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებს პროგრამას, ამასთან მთელ რიგ სარეწაოებში გეგმა არ არის შესრულებული მთლიანად და ჩვენ მოგვიხდება გაშმაგებული გმირული ბრძოლა პროგრამის წარმატებით შესრულებისათვის. მაგრამ გეგმის არამთლიანად შესრულების მიზეზს წარმოადგენს ის გარემოება, რომ მუშაობის ძველი ფორმები და მეთოდები არ შეეფერებიან სოციალისტური შეტევის ახალ ტემპებს. უნდა განვახორციელოთ ამხ. სტალინის ლოზუნგი— „ვიმუშაოთ ახალი წესით, ვუხელმძღვანელოთ ახალი წესით“. საწარმოებში უნდა განვამტკიცოთ სამეურნეო ანგარიში და სანარდო სისტემა, მოვსპოთ გათანაბრება და გაუპიროვნება, აღვზარდოთ ტეხნიკური ინტელიგენციის კადრები მუშათა კლასის წრიდან და სხვ.

ჩვენ ვიცით, რომ ამხ. სტალინის მითითებათა შესრულება უზრუნველყოფს ჩვენს გამარჯვებას ნავთის, ბამბის, ტრანსპორტის და კოლექტივიზაციის ფრონტზე.

ამხ. სტალინის მითითებათა შესრულება ადვილი საქმე როდია. მუშაობის მეთოდების რადიკალურად შეცვლა არ შეიძლება უბრძოლველად. ოპორტუნისტული ელემენტები წინააღმდეგობას გვიწევენ და შემდეგშიაც გაგვიწევენ. უნდა დავძლიოთ ეს წინააღმდეგობა, უნდა გავწმინდოთ გზა ახალი წესით მუშაობისათვის. უნდა ავაფეთქოთ კონსერვატიზმი და უძრაობა მუშაობის მეთოდებსა და წარმოების ხელმძღვანელობაში.

ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ ამხ. სტალინის მითითებათა შესრულება უწინარეს ყოვლისა თვით მუშებზეა დამოკიდებული. თუ ამ თვითშემოწმებაში მონაწილეობას არ მიიღებენ მუშათა ფართო მასები, ისე ჩვენ ვერ შევძლებთ ახალი წესით მუშაობას და ხელმძღვანელობას.

ჩვენ ვიცით, რომ მუშაობის გარდაქმნა სხვა ქალაქებშიაც სწარმოებს. ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ ერთად, უნდა გავუზიაროთ გამოცდილება ერთმანეთს.

ლენინგრადის, მოსკოვის, ხარკოვის, ურალის, დონბასის და თბილისის მუშებმა უნდა გადმოგვცეს თავიანთი გამოცდილება ჩვენც გავუზიარებთ მათ ჩვენს გამოცდილებას.

ბაქოს ქარხნებისა და სარეწაოების მუშები—ლენინის რაიონის მეხუთე სარეწაოს, სურახანის მესამე სარეწაოს, ბიბი-ეიბათის მეორე წითელდროშოვანი სარეწაოს, ყარაჩუხურის, ძონტინის და ოქტომბრის რევოლიუციის სახელობის ქარხნების, პარიზის კომუნის დოკების, რკინის გზის მთავარ სახელოსნოების, სტალინის სახელობის ქარხნის ლენინის რაიონის მეოთხე სარეწაოს, კრასინის და სხვათა სახელობის ელდენის და ბაქოს ყველა მუშების სახელით მიმართავენ მთელი საბჭოთა კავშირის მუშებს — დაიწყონ ახალი წესით მუშაობის შესახებ ამხ. სტალინის მითითებათა შესრულების საკავშირო შემოწმება.

მხოლოდ ამხ. სტალინის მითითებათა საფუძველზე უზრუნველვყოფთ ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის გეგმის შესრულებას და მივაღწევთ ახალ გამარჯვებას სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტებზე.

ჩვენ ვუგზავნით მისალმებას ჩვენი პარტიის და მუშათა კლასის ბელადს ამხ. სტალინს, რომლის მითითებანი ჩვენი ბრძოლის დროშას წარმოადგენენ.

გაუმარჯოს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს ამხ. სტალინს!

ვსთხოვთ „პრავდა“-ს ჩვენი პრესის ბოლშევიკურ შტაბს — გამოაქვეყნოს ეს წერილი“. (ადს).

## თბილისის მუშები ლაშქრობაში

### ვიძლევით პროლეტარულ სიტყვას

(სტ. სახელობის ორთქლმავალთა და ვაგონების შეკ. სახელოსნო).

სტალინის რაიონის (ყოფ. ბაილოვ-ბიბი-ეიბათის) მე-2 წითელდროშოვანი სარეწაოს მუშებისა და საინჟენერო-ტეხნიკური პერსონალის გამოწვევამ ამიერ-კავკასიის საწარმოო ლაშქრობის მოწყობის შესახებ თბილისში, სტალინის სახელობის ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელ მუშებსა და საინჟენერო-ტეხნიკურ პერსონალს შორის მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა.

30 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, შესდგა სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონების შემკეთებელ ქარხნის მესამე საწარმოო კონფერენცია, სადაც გარჩეული და დამუშავებული იქნა მე-2 წითელდროშოვანი სარეწაოს მუშებისა და საინჟენერო-ტეხნიკური პერსონალის მიმართვა.

მიმართვის გარჩევის შემდეგ ქარხნის საწარმოო კონფერენციამ ერთხმად დაადგინა დაუყოვნებლივ მოახდინონ გაუპიროვნებისა და ხელფასის გათანაბრების ლიკვიდაცია, ცეხებისა და ბრიგადების სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანა, საინჟენერო-ტეხნიკური და კვალიფიკაციურ მუშათა კადრების მოსამზადებლად მეთოდებისა და ფორმების ძირფესვიანი გარდაქმნა და მუშათა მასის საყოფაცხოვრებო მომსახურეობის გაუმჯობესება. ამ ვალდებულებების ცხოვრებაში გატარება იკისრეს თვით მუშებმა და საინჟენერო-ტეხნიკურ პერსონალმა

„ამხ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონების შემკეთებელ სახელოსნოს მუშები, — ნათქვამია რეზოლიუციაში, — უერთდება ბაქოს მუშების მოწოდებას და თავის მხრით ღებულობს ვალდებულებას უმოკლეს დროში მთლიანად განახორციელოს პარტიისა და მუშათა კლასის ბელადის ამხ. სტალინის მითითებები. სტალინელები იძლევიან პროლეტარულ სიტყვას, რომ ისინი წარმატებით შეასრულებენ გადამწყვეტი წლის გეგმებს და ამ მიზნით მეოთხე კვარტალში გამოასწორებენ წინა კვარტალებში დაშვებულ გარღვევებს.

ერთდროულად კონფერენცია ანდობს ქარხკომს დაამუშაოს ბაქოს მუშების მომართვა ცეხებისა და ბრიგადების საწარმოო თათბირზე და უკანასკნელის საფუძველზე მობილიზებულ იქნან დამკვრელი მუშები გარღვევის საბოლოო ლიკვიდაციისათვის“.

მ. აბე—ი.

## საფ.-ეკ. ინსტიტუტს ბუქსირზე აყავს ჩამორჩენილი ფაბრიკა

საქ. საფინანსო-ეკონომიური ინსტიტუტის სტუდენტებისა და პედაგოგიური პერსონალის საერთო კრება აღფრთოვანებით შეხვდა ბაქოელი პროლეტარების გამოწვევას, რომ დაწყებულ იქნეს ამხ. სტალინის სახელობის საწარმოო ლაშქრობა მთელ ამიერ-კავკასიაში. საერთო კრებამ გადასწყვიტა აქტიური მონაწილეობა მიიღოს ლაშქრობის ჩატარებაში და ამ მიზნით ინსტიტუტის პედაგოგიურმა პერსონალმა და სტუდენტობამ ბუქსირზე აიყვანა თბილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა.

კრებაზე მიღებული იქნა ვალდებულებები, რომ მიამაგრონ ფაბრიკაზე პედპერსონალისა და სტუდენტობის ბრიგადები, რომელთა ამოცანაც იქნება:

დახმარების ხელმოჩენა ფაბრიკის ადმინისტრაციისა, პროფორგანიზაციისა და მუშებისათვის, ხელფასისა და შრომის ორგანიზაციის სწორად დაყენებაში. აწარმოონ სასტიკი ბრძოლა ხელფასის გათანაბრებისა და გაუპიროვნების სალიკვიდაციოთ; დაეხმარონ ადგილობრივ ორგანიზაციებს სამეურნეო ანგარიშის განხორციელების საქმეში. ხელი შეუწყონ მუშათა მომარაგების საქმის გაუმჯობესებას და ამ მიზნით ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ ადგილობრივ კოოპერატივს ხელი შეუწყონ ტეხნიკის დასაუფლებლად ჩამოყალიბებულ წრეების მუშაობას; ჩამოაყალიბონ და პრაქტიკულად უხელმძღვანელონ პარტგანათლების წრეების მუშაობას.

გარდა ამისა მიმაგრებულ ბრიგადებს საერთო კრებამ დაავალა—შეისწავლონ ფაბრიკის მუშათა საყოფაცხოვრებო საკითხები და ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ ადგილობრივ ორგანიზაციებს მათ მოგვარებაში. ებრძოლონ მუშა-ხელის ცვალებადობას და პრაქტიკულად დაეხმარონ ფაბრიკის ადმინისტრაციას ახალი კადრების მომზადებაში და სხ.

საერთო კრებაზე მიღებულ რეზოლიუციაში საქართ. საფინანსო-ეკონომიური ინსტიტუტის სტუდენტობა და პედაგოგიური პერსონალი მოუწოდებს ფაბრიკის მუშებს, რომ მათაც შეუწყონ ხელი ინსტიტუტიდან ფაბრიკაზე მიმაგრებულ ბრიგადებს და საერთო ძალებით დასძლიონ ის დეფექტები, რაც იწვევს ქარხნის ჩამორჩენილობას.

— პარტის გენერალური ხაზის სადარაჯოზე,—ნათქვამია რეზოლიუციაში, — ბრძოლა მემარჯვენე — „მემარცხენე“ ოპორტუნისტების წინააღმდეგ, ჩვენი საყვარელი ბელადის—ამხ. სტალინის 6 მითითებათა სრული განხორციელებით, ჩვენ შევიძლებთ მესამე გადამწყვეტი წლის დავალებათა შესრულებას.

## ვიბრძოლებთ ბელადის მითითებათა განსახორციელებლად

### (თბილისის ტყავის № 1 ქარხანა)

გუშინ, დილის 10 საათზე, ლენინის სახ. ტყავის № 1 ქარხანაში ჩატარდა მფრინავი მიტინგი, რომელზედაც მოსმენილი იქნა ამხ. მირზახანიანის მოხსენება ბაქოს პროლეტარიატის მომართვის შესახებ.

მიტინგზე მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია: ლენინის სახ. ტყავის ქარხნის № 1 მუშები ყოველგვარ ზომებს მივიღებთ, რომ შევასრულოთ ბაქოელი ამხანაგების წინადადებები და წარმატებით ჩავატაროთ ლაშქრობა. ჩვენ მივიღებთ გადამჭრელ ზომებს, რათა ოქტომბრის განმავლობაში დამუშავებული იქნას სანარდო პროგრესიულ-პრემიალური ხელფასის საკითხი, მოისპოს გაუპიროვნება და მუშათა ცვალებადობა.

ქარხანაში ერთ-ერთ ვიწრო ადგილს წარმოადგენს სამეურნეო ანგარიშზე სამქროების ვადაყვანის საკითხი. ოქტომბრის პირველ ორ დეკადაში უნდა მოხდეს გარდატეხა ამ მიმართულებით და სამეურნეო ანგარიშზე უნდა გადავიდენ არა მარტო საამქროები, არამედ თვითეული ბრიგადაც.

ქარხნის ნორმალურ მუშაობას აფერხებს საქონლის დაგროვება, რისთვისაც წინადადება მიეცეს ტრესტის ადმინისტრაციას მიიღოს გადამჭრელი ზომები მზა ნაწარმის თავის დროზე რეალიზაციისათვის.

მფრინავმა მიტინგმა გამოჰყო მუშათა ბრიგადა, რომელიც ჩაატარებს ამხ. სტალინის მითითებების შესრულების შემოწმებას.

საწარმოო ლაშქრობის და ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულების მიზნით № 1 ტყავის ქარხნის მუშამოსამსახურეებმა სოცშეჯიბრებაში გამოიწვიეს სტალინის სახელობის ფეხსაცმელების პირველი ფაბრიკის და შაუმიანის სახ. № 2 ტყავის ქარხნის მუშა-მოსამსახურეები.

დ.

# ახალი გიგანტების ამუშავება პარტიის გენერალური ხაზის უდიდესი გამარჯვებაა

# ხარკოვის სატრაქტორო ქარხანა კოლექტივიზაციის ფოლადის საფუძველია

ხარკოვის სატრაქტორო გიგანტი გამოუშვებს წელიწადში 50.000 ტრაქტორს.—„ახალი ამო“-ს ქარხანა—წლიურად 25.000 საბარგო ავტომობილს

## ამხ. სტალინის მისალმება ტრაქტორმშენის მუშებს

მოსკოვი, 30 სექტემბერი. ტრაქტორმშენის მუშებს და ადმინისტრატიულ-ტეხნიკურ პერსონალს.

ჩვენი ქვეყნის მშრომელები, კოლმეურნეთა მილიონები და პარტია უდიდესი ყურადღებით ადევნებდა თვალს ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის მშენებლობის მიმდინარეობას. ხარკოვის ტრაქტორმშენი —უკრაინის სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ფოლადის საფუძველია, მისი მშენებლები — ავანგარდი, რომელსაც უკრაინელი გლეხების მილიონები მიჰყავს სოციალიზმის გზით.

მშენებლობა ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის, რომელიც შედის სატრაქტორო ქარხნების ოჯახში, ნამდვილი ბოლშევიკური ტემპების ნიმუშად დარჩება ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიის ისტორიაში.

საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ი დარწმუნებულია, რომ მუშები და ინჟენერ-ტეხნიკური პერსონალი გადალახავენ ახალგაზრდა წარმოების სიძნელეებს გამოიყენებენ სტალინგრადის ქარხნის გამოცდილებას და მიაღწევენ 1932 წლის საბრძოლო პროგრამის განხორციელებას.

მხურვალე ბოლშევიკური სალამი საბჭოთა კავშირში მეორე სატრაქტორო გიგანტის მშენებლებს.

საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი: ი. სტალინი

## ამხ. სტალინის მისალმება „ამო“-ს ქარხნის მუშებს

მოსკოვი, 1 ოქტომბერი. საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ი დიდის კმაყოფილებით აღნიშნავს „ამოს“ ქარხნის მუშების და ადმინისტრატიულ-ტეხნიკური პერსონალის გამარჯვებას. იქ, სადაც რუს კაპიტალისტებს შეეძლოთ საავტომობილო სახელოსნოების აშენება ჩამორჩენილი ტეხნიკით და შრომის მცირე ნაყოფიერებით — ექსპლოატაციის ბარბაროსული წესებით, შექმნილია ისეთი მძლავრი გიგანტი, რომელიც გამოუშვებს 25.000 სატვირთო მანქანას თანამედროვე ტეხნიკის ყველა მიღწევათა გამოყენებით. თქვენი გამარჯვება ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელთა გამარჯვებაა.

საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ი შეურყეველ რწმენას გამოსთქვამს, რომ ამ პირველ დიდ გამარჯვებას თან მოჰყვება თქვენი სხვა გამარჯვებაც: ქარხნის ახალი ტეხნიკის შეთვისება, საწარმოო პროგრამის მტკიცედ შესრულება, წარმოების ხარჯების შემცირება და პროდუქციის მაღალი ხარისხი.

მხურვალე სალამი საბჭოთა კავშირში პირველ ავტოგიგანტის „ამოს“ ქარხნის ყველა მშენებლებს.

საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი: ი. სტალინი.

## უდიდესი გამარჯვება

მოსკოვი, 30 სექტემბერი. იმასთან დაკავშირებით, რომ 1 ოქტომბერს ამუშავებულ იქნა საბარგო ავტომობილების დამამზადებელი ერთ-ერთი უდიდესი ქარხანა მსოფლიოში — „ნოვოე ამო“,—გამოქვეყნებულია საბჭოთა კავშირის სმუ საბჭოს ბრძანება ამხ. ორჯონიკიძის ხელის მოწერით და საკავშირო პროფსაბჭოს მისალმება. სმუ საბჭოს ბრძანებაში ნათქვამია:

„საბჭოთა კავშირის სმუ საბჭო ულოცავს ქარხნის მშენებლებს ამ გამარჯვებას, გამოსთქვამს რწმენას, რომ მთლიანობით შედუღებული მუშები და ადმინისტრატიულ ტეხნიკური კოლექტივი შესძლებენ უმოკლეს ვადაში მოაგვარონ ავტომობილების მასიური გამოშვება და მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში გამოუშვან 2.200 საბარგო მანქანა მაინც და გადასცენ ისინი სოციალისტური მშენებლობის სამსახურში.

საკავშირო პროფსაბჭოს მისალმებაში ნათქვამია:

„საკ. კ.პ. (ბ) ლენინური ც. კ-ის ხელმძღვანელობით ამოს ქარხნის მუშებმა კიდევ ერთი სახელოვანი გვერდი ჩასწერეს იმ უდიდესი ბრძოლის ისტორიაში, რომელიც სწარმოებს სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აშენების დამთავრებისათვის ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ წელში. ამოს მუშებმა საქმით გვიჩვენეს, თუ როგორ უნდა ბრძოლა ჩვენი პარტიის გენერალური ხაზისათვის, ამხ. სტალინის მითითებათა შესრულებისათვის საჭირო ბოლშევიკური ტემპებისათვის. თქვენი გამარჯვება — ჩვენი ქვეყნის მთელი გმირული პროლეტარიატის გამარჯვებაა, იმ პროლეტარიატის, რომელიც, იმედდაკარგულია და ოპორტუნისტთა წინააღმდეგ, ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით სძლევს ყველა დაბრკოლებებს, რომლებიც ელობება წინ მისი ამოცანების განხორციელების გზაზე — მინიმალურ ისტორიულ ვადაში დაეწიოს და გაუსწროს კაპიტალისტური ქვეყნების ტეხნიკას (ადს).

## ბოლშევიკური ტემპების ნიმუში

მოსკოვი, 1 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭო ამხ. მოლოტოვის ხელისმოწერით მხურვალედ ესალმება ტრაქტორომშენის მუშებს და ადმინისტრატიულ ტეხნიკურ პერსონალს და მთელ მუშურ-გლეხურ უკრაინას იმ უდიდესი გამარჯვების გამო, რომელიც მათ მოიპოვეს სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ფრონტზე —ხარკოვის სატრაქტორო გიგანტის ვადაზე ადრე ამუშავება.

ხარკოვის პროლეტარებმა გვიჩვენეს მშენებლობის ბოლშევიკური ტემპებისათვის ბრძოლის მაგალითი. სახკომსაბჭო მტკიცედ დარწმუნებულია იმაში, რომ ახალი სატრაქტორო ქარხანა, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, შეერთებული ძალ-ღონით დაეუფლება რა წარმოების ტეხნიკას, სახელოვნად შეასრულებს თავის საწარმოო ამოცანებს და ამით მძლავრი იარაღი- შეიქმნება ახალი წარმატებებისათვის სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმეში და ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის ახალი გამარჯვებებისათვის. (ადს).

## ამხ. სვისტუნ —სატრაქტორო ქარხნის დირექტორი

მოსკოვი, 30 სექტემბერი. ს. მ. უ. საბჭოს ბრძანებით, რომელსაც ხელს აწერს ამხ. ორჯონიკიძე, ხარკოვის ტრაქტორომშენის უფროსი ამხ. სვისტუნი დაინიშნა ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის დირექტორად. მშენებლობის მთავარი ინჟენერი ამხ. ბრუსკინი დაინიშნა ქარხნის ტეხნიკურ დირექტორად და დირექტორის მოადგილედ. (ადს).

## „დაჯილდოებული იქნან ლენინის და შრომის წითელი დროშის ორდენებით“

მოსკოვი, 1 ოქტომბერი. ახალი გიგანტების „ნოვოე ამო“-ს და ხარკოვის ტრაქტორომშენის ამუშავებასთან დაკავშირებით, საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნომ დაავალა სამდივნოს იმ კომისიას, რომელიც იხილავს ორდენებით დაჯილდოების საკითხებს, წარადგინოს საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმში იმ მუშების და ადმინისტრატიულ - ტეხნიკური მუშაკების სია, რომლებმაც უფრო ისახელეს თავი ქარხნების თავის დროზე ამუშავების უზრუნველყოფის საქმეში მათი ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენით დასაჯილდოებლად.

ქარხნების თავის დროზე ამუშავების აღსანიშნავად დაწესებულ იქნას საკავშირო პროფსაბჭოს სახელობის სტიპენდიები ამოს და ხარკოვის სატრაქტორო ქარხნების 4 მუშის სასწავლებლად უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებში.

მიეცეს ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის საქარხნო კომიტეტს წითელი კუთხეების მოსაწყობად სამქროებსა და საერთო საცხოვრებლებში, აგრეთვე საერთო საქარხნო მოძრავი ბიბლიოთეკის შესაქმნელად — 20 ათასი მანეთი. გადაეცეს ამოს საქარხნო კომიტეტს მუშებისათვის 2 ორკესტრი—სასულე და სიმებიანი (ადს).

## საკავშირო სახკომსაბჭოს მისალმებიდან

მოსკოვი, 1 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭო ამხ. მოლოტოვის ხელისმოწერით ესალმება ამოს ქარხნის მუშების, ტეხნიკოსების და ინჟენერების კოლექტივს და დირექციას, რომლებმაც ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს საბჭოთა კავშირში პირველი საავტომობილო გიგანტის მშენებლობის დანიშნულ ვადაში დამთავრებით. ეს საბჭოთა კავშირის მთელი მუშათა კლასის და ჩვენი ბოლშევიკური პარტიის დიდი მიღწევაა.

სახკომსაბჭოს იმედი აქვს, რომ ამოს პროლეტარები და ადმინისტრატიულ-ტეხნიკური პერსონალი წარმატებით შესძლებენ უკვე ამ წელიწადში 2200 ავტომობილის გამოშვებას და უზრუნველჰყოფენ ათეული ათასი ავტომობილის გამოშვებას 1933 წელში. (ადს).

## ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის ამუშავება

მოსკოვი 30 სექტემბერი. ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის 1 ოქტომბერს ამუშავებასთან დაკავშირებით, გამოქვეყნებულ იქნა ქარხნის კოლექტივის სახელზე მიღებული მისალმებანი საბჭოთა კავშირის სმუ საბჭოსაგან, საკავშირო პროფსაბჭოსაგან და საბჭოთა კავშირის მიწსახკომ ამხ. იაკოვლევისაგან. სმუ საბჭოს ბრძანებაში, რომელსაც ხელს აწერს ამხ. ორჯონიკიძე, ნათქვამია:

„ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის მშენებლებმა, უკრაინის პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების ენერგიული დახმარებით და ხელის შეწყობით, 15 თვის განმავლობაში დაამთავრეს „ინტერნაციონალ“-ის ტიპის მეორე სატრაქტორო გიგანტი საბჭოთა კავშირში, გიგანტი, რომელიც 50 ათას ტრაქტორს გამოუშვებს წლიურად, მშენებლებმა და დამმონტაჟებლებმა სახელოვნად შეასრულეს მათზე დაკისრებული ამოცანები. პარტიისა და ხელისუფლების მიერ ზუსტად დაწესებულ ვადაში — 1931 წლის 1 ოქტომბერს ქარხანა იწყებს მუშაობას. სმუ საბჭო, რომელიც მხურვალეთ ულოცავს მშენებლებს ბრწყინვალე გამარჯვებას, ღრმად დარწმუნებულია, რომ მუშები, ინჟენრები, ტეხნიკოსები და მთელი ადმინისტრატიულ - სამეურნეო პერსონალი, დადგებიან რა სატრაქტორო გიგანტის დაზგებსა და კონვეირებთან, ამხ. სტალინის მითითებათა საფუძველზე მინიმალურად უმოკლეს ვადაში სავსებით დაეუფლებიან წარმოების ტეხნიკას და ამით ერთხელ კიდევ დაამტკიცებენ, რომ „არ არსებობს ისეთი სიმაგრეები, რომელთა აღება არ შეეძლოთ ბოლშევიკებს“.

საკავშირო პროფსაბჭოს მისალმებაში ნათქვამია:

„საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის, უკრაინის კ.პ. (ბ) ც. კ-ის და პროფკავშირების ხელმძღვანელობით, რომლებმაც დარაზმეს 15 ათასიან მშენებელთა კოლექტივი და რომელნიც სათავეში ჩაუდგნენ მათი შრომითი ენტუზიაზმს, მუშებმა, მოსამსახურეებმა, ადმინისტრაციამ, ინჟენერებმა და ტეხნიკოსებმა მსოფლიო რეკორდი დაამყარეს დაბეტონებისა და აგურის დაწყობის საქმეში. ტრაქტორმშენის მეორე გიგანტის ამუშავება — საბჭოთა კავშირის მთელი მუშათა კლასის უდიდესი გამარჯვებაა, ჩვენი პარტიის გენერალური ხაზის გამარჯვებაა. სატრაქტორო გიგანტი — იმ მთლიანი კოლექტივიზაციის მტკიცე ბაზაა, რომელიც ტარდება კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის საფუძველზე“.

საბჭოთა კავშირის მიწსახკომის ამხ. იაკოვლევის დეპეშაში ნათქვამია:

ხარკოვის ქარხნის ათეული ათასი ახალი ტრაქტორი განამტკიცებს იმ გამარჯვებას, რომელიც მოიპოვა სოციალისტურმა მიწადმოქმედებამ კოლექტივიზაციის დარგში. დააჩქარებს ჩვენი სოფლის მეურნეობის გარდაქმნას დიდი და მძლავრი ტეხნიკის საფუძველზე და უზრუნველჰყოფს სოციალიზმის გამარჯვებას“ (ადს).

## ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმის მისალმება

ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის ამუშავების გამო, ამიერ-კავკ. ცაკის პრეზიდიუმმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნა უკრაინის კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, უკრაინის ცაკს, უკრაინის სახკომსაბჭოს და ტრაქტორმშენს:

„ამიერ-კავკ. ცაკის პრეზიდიუმი ამიერ-კავკასიის მშრომელების სახელით ესალმება „518“-ს ერთ-ერთი ბუმბერაზის ამუშავებას, რაც დააჩქარებს „1040“-ს ორგანიზაციას.

უპრინციპო მემარჯვენე - „მომემარცხენო“ ბლოკის მონაწილეთა „წინასწარმეტყველების“ წინააღმდეგ, საბჭოთა უკრაინის მშრომელებმა მიაღწიეს ბრწყინვალე წარმატებებს სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტებზე, რასაც მოწმობს ინდუსტრიის ბუმბერაზის ამუშავება.

უკრაინის ს.ს. რესპუბლიკა, რომელიც მიდის საკ. კ.პ. (ბ) ლენინური ცენტრალური კომიტეტის და მისი ბელადის ამხ. სტალინის მიერ ნაჩვენები გზით, დიდი კავშირის სხვა მოძმე რესპუბლიკებთან ერთად, ამთავრებს ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აშენებას.

გაუმარჯოს ლენინურ საკ. კ.პ. (ბ)-ს და მის ცენტრალურ კომიტეტს—სოციალიზმისათვის ბრძოლაში მშრომელთა გამარჯვებების ორგანიზატორს!

გაუმარჯოს საბჭოთა უკრაინის იმ მშრომელთა შრომითი ენტუზიაზმს და რევოლიუციონურ ენერგიას, რომლებმაც უზ[illegible] სატრაქტორო ბუმბერაზის თავის დროზე ამუშავება (ადს).

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# „და როდესაც საბჭოთა კავშირს დავსვამთ ავტომობილზე, ხოლო გლეხს—ტრაქტორზე"

პროლეტარული რევოლუცია იარაღდება მექანიკური ცხენების ახალი მილიონებით. ჩვენი ქვეყანა დღეს ხსნის ორ ქარხანას: ავტომობილების ქარხანას, ახალი „მო"-ს და ორჯონიკიძის სახელობის ხარკოვის სატრაქტორო ქარხანას.

მოსკოვი—პირველი პროლეტარული სახელმწიფოს დედა-ქალაქი, მსოფლიო რევოლუციის დედა-ქალაქი, დღეს ღებულობს საბარგო ავტომობილების უდიდეს ქარხანას მსოფლიოში — ამოს. მოსკოვის იმ ქალაქის განაპირაზე, რომლისაკენ მიმართულია მთელი მსოფლიოს მუშათა რევოლიუციონური ოცნებანი, გამოიჭიმა დეტროიტი, მაგრამ უფორდოდ. აქ, ამ ადგილას 1916 წელს საავტომობილო ქარხნის აგებას შეუდგა რიაბუშინსკი, რომელიც 1917 წელს იმუქრებოდა მუშების დახრჩობას სიმშილის სისხლიანი ხელით. რიაბუშინსკიმ გაძარცვა ხაზინა, ხოლო ქარხანა, რა თქმა უნდა, ვერ ააშენა. მან აშკარად გადაჭარბებულად შეაფასა რუსეთის კაპიტალიზმის ძალები და უნარი, როცა ხელი მოჰკიდა ამ მშენებლობას.

ხარკოვი — უკრაინის დედა-ქალაქი—ღებულობს მსოფლიოში უდიდეს სატრაქტორო ქარხანას — „ინტერნაციონალ"-ის ტიპის 50 ათასი ტრაქტორის სიმძლავრით წელიწადში.

უკრაინა — ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალური საგანძური. მეფე უცხოელი კაპიტალისტებით თარეშობდა უკრაინაში, როგორც თავის ერთ-ერთ კოლონიაში, ბევრ სხვა კოლონიასთან ერთად. უკრაინის ინდუსტრიალიზაცია ნამდვილად მხოლოდ ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ დაიწყო. დონბასის მექანიზაცია, უკრაინის მეტალურგიის სოციალისტური რეკონსტრუქცია, ახალი ქარხნების, ფაბრიკების, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ათეულები—ასეთია სურათი.

როდესაც ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის ტვირთმზიდავები და ტრაქტორები გადმოვლენ კონვეიერებიდან, მათ გაჰყვება მშრომელების, მთელი ჩვენი პროლეტარიატის აღფრთოვანების ახალი ტალღა, სიხარული, ხოლო სამარისებური სიჩუმე ფორდის, ფიატის და სხვა უდიდესი კაპიტალისტური საწარმოების მხრივ, რომელნიც მსოფლიო ეკონომიური კრიზისის პროგრესიული დამბლით არიან დაავადებულნი. კაპიტალიზმის საუცხოვო საწარმოები მკვდარნი ან ნახევრად მკვდარნი არიან.

დეე, ყველა კაპიტალისტურმა და სოციალ - ფაშისტურმა მ[illegible]ხავებმა, რომელნიც წინასწარ მეტყველებდნენ ჩვენს დაღუპვას და კაპიტალიზმის აყვავებას, დეე, დღეს შეამოწმონ, თუ როგორ სრულდება მათი უბადრუკი წინასწარმეტყველება. კაპიტალიზმი უკან მიექანება. მას არ შეუძლია შეინარჩუნოს და აამოძრაოს ისიც კი, რაც თვითონ შექმნა. კაპიტალისტებს რომ აქვთ მშენებლობის და ახალი საწარმოების ამუშავების თავი, როცა არსებული საწარმოები მუშაობენ არასრული დატვირთვით, ან სულაც გაჩერებული არიან. დაქვეითების ეპოქის კაპიტალიზმის იდეოლოგები ბეცნი არიან. ისინი ლაშქრობას იწყებენ მანქანების წინააღმდეგ ტეხნიკის წინააღმდეგ.

თვითეული საწარმოს ამუშავება ჩვენს ქვეყანაში, განსაკუთრებით ისეთი ბუმბერაზების ამუშავება, როგორიცაა ამო და ხარკოვის სატრაქტორო ქარხანა, — საბჭოთა სისტემის და პარტიის ლენინური პოლიტიკის ზეიმია. მიუხედავად იმისა, რომ უცხოეთი ბევრად მეტი ტეხნიკური გამოცდილებითაა აღჭურვილი, ტეხნიკური განვითარების ბევრად უფრო მაღალ დონეზე იმყოფება და ტეხნიკურად ბევრად უფრო შეიარაღებულია, — მიუხედავად ამისა, კაპიტალისტური ეკონომიკა იშლება, იხრწნება. საბჭოთა კავშირი კი იფურჩქნება და ერთი-მეორეზე ეუფლება ტეხნიკის სიმაღლეებს.

კლასობრივი წინააღმდეგობანი იმპერიალიზმის განვითარების ახლანდელ ეტაპზე ახშობენ ტეხნიკას. ჩვენ ჯერ კიდევ ოქტომბერში მოვსპეთ კაპიტალისტები, მემამულეები, როგორც კლასი. ჩვენ ახლა მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე ვახდენთ უკანასკნელი ექსპლოატატორული კლასის — კულაკობის ლიკვიდაციას. ამით შექმნილია უდიდესი, განუსაზღვრელი შესაძლებლობანი საწარმოო ძალების განვითარებისათვის. მაგრამ შესაძლებლობა სინამდვილედ არ გადაიქცევა ავტომატიურად. ლენინის პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკა, ჩვენი პარტიის მთლიანობა, კლასის უაღრესი ნდობა თავისი ავანგარდისადმი, — ესაა ის პოლიტიკური ბერკეტები, რომელთა დახმარებით ვაღწევთ მუშათა მოძრაობის ისტორიულ მიზანს — სოციალიზმს.

ამო და ხარკოვის სატრაქტორო ქარხანა ადასტურებენ, რომ ამხ. სტალინის ლოზუნგი ტეხნიკის დაუფლების შესახებ ხორციელდება სწრაფი ტემპებით, რომ პარტიის ბრძოლა ტეხნიკის დაუფლებისათვის დამთავრდა დიდი წარმატებებით. დღეს ჩვენი ქვეყნის ყურადღება მიპყრობილია არა მარტო ამოსა და ხარკოვის სატრაქტორო ქარხნისაკენ, არამედ სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნისაკენაც, რომელიც სწრაფად მიდის წინ, რომ დაეუფლოს მთელ თავის სიმძლავრეს. ამ ბოლო დროს დღეში ას-ასი ტრაქტორის გამოშვება—ეს ერთ-ერთი უდიდესი გამარჯვებაა. პირველად შევისწავლეთ ჩვენ მასიური წარმოების დაუფლება ასეთი მაღალი ტეხნიკის საფუძველზე. ნამდვილად რომ ითქვას, სწორედ ახლა მთავრდება წარმატებით სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის შარშანდელი ამუშავება. ეს წარმატება — ახალი ბუმბერაზების ხვალინდელი დღეა.

ქარხნების ამუშავება ხდება სამეურნეო წლის უკანასკნელი კვარტალის დასაწყისს. მეოთხე კვარტალი ბევრ რამეში წინასწარ განსაზღვრავს მთელი წლის საერთო შედეგებს ამ კვარტალმა უნდა დაჰფაროს წინანდელი თვეების დიდი დავალიანება.

„პრავდა", 1 ოქტომბერი.

# ერთა ლიგის მე-3 კომისიის მუშაობის შედეგები
## საფრანგეთის სრული გამარჯვება

**ჟენევა**, 30 სექტემბერი. „შეიარაღებაში დროებითი ზავის დამყარების" საკითხის გამო გამართულ დისკუსიის შემდეგ, ერთა ლიგასთან არსებულმა განიარაღების საკითხების კომისიამ, როგორც იქნა, „გამონახა" იმდენად უშინაარსო რეზოლიუცია, რომ ის ყველასათვის მისაღები გახდა. ეს რეზოლიუცია, რომელიც ემყარება ეკონომიურ კრიზისს, ნდობის აღდგენის საჭიროებას, „შეიარაღებაში ნახტომების" შეწყვეტასა და მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის მომზადებას განიარაღების სასარგებლოდ, მოუწოდებს ყველა სახელმწიფოებს, რომლებიც მოწვეული არიან განიარაღების კონფერენციაზე, მოემზადონ ამისათვის „შეიარაღებაში დროებითი ზავის" დადების საშუალებით.

შემდეგ რეზოლიუცია შეიცავს თხოვნას ერთა ლიგისადმი, რათა მან წინადადება მისცეს ყველა მთავრობებს — თავი შეიკავონ ყოველგვარი ზომების მიღებისაგან, რაც მიმართული იქნება მათი შეიარაღების გადიდებისაკენ. ამასთან ერთად, რეზოლიუცია წინადადებას იძლევა მოეთხოვოს მთავრობებს პასუხი 1 ნოემბრამდე — მზად არიან თუ არა ისინი დადონ დროებითი ზავი ერთი წლის ვადით. ამგვარად, ერთა ლიგის მესამე კომისიის მთელი მუშაობის შედეგები შეიძლება შეფასებულ იქნას, როგორც საფრანგეთის თვალსაზრისის სრული გამარჯვება (ადს).

**სამი მთავარი საკ[illegible] განსახილველი დარჩა.**

**ბერლინი**, 30 სექტემბერი. „ბერლინერ ტაგებლატ"-ის პა[illegible]ელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ საფრანგეთისა და გერმანიის მინისტრების თათბირის დროს ბერლინში გადაუწყვეტელი დარჩა სამი საკითხი: რეპარაციების, იმ კრედიტების გასტუმრების გადადების, რომელთა ვადა 1 თებერვალს გადის, და საკითხი საფრანგეთის საფინანსო ბაზარზე საბჭოთა თამასუქების გადანაღდების შესახებ, რაც სასურველად მიაჩნიათ გერმანიის მრეწველებს (ადს).

# სოციალ-დემოკრატებმა ხმა მისცეს ხელფასის შემცირების სასარგებლოთ

**ბერლინი**, 30 სექტემბერი. იმ სამედიატორო კომისიამ, რომელსაც სხდომა ჰქონდა ესენში, გადასწყვიტა — შეუმცირდეს რურის, ქვანახშირის მრეწველობის მუშებს ხელფასი 7 პროცენტით. ამ გადაწყვეტილებას ხმა მისცა სოციალ - დემოკრატმა ბერგებანმა, რომელიც მთავრობის მიერ დანიშნულ ერთ-ერთ მსჯულთაგანი იყო. რეფორმისტული და კათოლიკური პროფკავშირები, რომელთაც ქვანახშირის მუშათა აღელვების შეეშინდათ, იძულებულნი გახდნენ უარეყოთ აღნიშნული სამედიატორო გადაწყვეტილება. რურის ქვანახშირის მრეწველობის მეპატრონეთა კავშირმაც თავის მხრივ უარყო ეს გადაწყვეტილება იმის გამო. რომ მან არა საკმაოდ ჩასთვალა ხელფასის აღნიშნული შემცირება (ადს).

# ინგლისი მხარს უჭერს იაპონიის მტაცებლობას ჩინეთში

**იაპონიას მხოლოდ მუკდენთან აქვს საქმე**

**ბეიპინი**, 30 სექტემბერი. სიმბუნ-რენგოს სააგენტო იტყობინება, რომ მანჯურიის ხელისუფლებამ მუკდენში გადასწყვიტა დაიწყოს უშუალო მოლაპარაკება ჩინეთ-იაპონიის საკითხების მოსაგვარებლად. (ადს).

**იაპონელები „თავიანთ საქონელს იცავენ".**

**შანხაი**, 30 სექტემბერი. ანტიიაპონური ასოციაციის პიკეტების ცდა, რომ მოეხდინათ იაპონელთა საქონლის კონფისკაცია შანხაიში, უკუგდებულ იქნა შეიარაღებულ იაპონელ მეზღვაურთა რაზმის მიერ, რომელმაც, ტყვიამფრქვევებითა და თოფებით ქალაქის ჩინურ ნაწილში შესვლის შემდეგ, გაფანტა პიკეტები. (ადს).

**შეწყდა კავშირი ბეიპინ-მუკდენს შორის**

**ბეიპინი**, 30 სექტემბერი. გაზეთების ცნობით, იაპონიის ჯარისკაცებმა დახურეს ბეიპინ-მუკდენის რკ. გზის ტელეგრაფი ხუანგუდუში, რითაც შესწყდა სატელეგრაფო კავშირი ბეიპინ-მუკდენს შორის.

**ჩინეთში იზრდება ანტიიაპონური მოძრაობა**

**შანხაი**, 30 სექტემბერი. ანტიიაპონური მოძრაობის მეტად გაძლიერებასთან დაკავშირებით, გონკონგის ბრიტანეთის ხელისუფლებამ ქალაქ კონკონგში სამხედრო წესები გამოაცხადა.

ჩინელებმა გაანადგურეს იაპონელთა მთელი რიგი მაღაზიები და მოჰკლეს 6 იაპონელი. გამოწვეულ იქნა პოლიციელთა დამატებითი დამხმარე ძალები.

სიმბუნ რენგოს სააგენტოს გადმოცემით, **ბრიტანეთის ხელისუფლებამ გასცა განკარგულება დახვრიტონ ჩინელები იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეეცდებიან მიმართონ ძალადობას იაპონელთა მიმართ.**

გონკონგის იაპონელმა რეზიდენტებმა დეპეშით სთხოვეს ტოკიოს, რომ გაგზავნილ იქნას გონკონგში იაპონიის სამხედრო გემი (ადს).

**ნანკინისა და კანტონის წარმომადგენელთა თათბირი**

**შანხაი**, 30 სექტემბერი. გონკონგში მოვიდნენ ნანკინის წარმომადგენლები.

მათთან სათათბიროდ განტონიდან მიემგზავრებიან ვან ძინ-ვეიტან შაო-ი და სუნ-ფო. სიმბუნ რენგოს სააგენტოს ცნობით, მოელიან, რომ ნანკინის წარმომადგენლები წამოაყენებენ მთავრობის თავმჯდომარის პოსტიდან ჩან-კაი-შის წასვლისა და მისი არმიის მთავარსარდლად დატოვების წინადადებას (ადს).

**ნანკინის მთავრობის ელჩი გაემგზავრა ჩინეთში**

**ტოკიო**, 30 სექტემბერი. ნანკინის მთავრობის ელჩი ჩი ში-ინი გუშინ მიღებულ იქნა საგარეო საქმეთა მინისტრის სიდეხარას მიერ. ჩი ში-ინი გაემგზავრა ნანკინში მოხსენების გასაკეთებლად ჩან-კაი-შისათვის (ადს).

**გირინისა და ხეილუცზიანის პროვინციების „დამოუკიდებლობა"**

**ბეიპინი**, 30 სექტემბერი. სიმბუნ რენგოს სააგენტოს ცნობით, გირინის და ხეილუცზიანის პროვინციებში „დამოუკიდებლობა" გამოაცხადეს (ადს).

**იაპონიის ფლოტი ჩინეთის წყლებში**

**შანხაი**, 30 სექტემბერი. შანხაიში შეუჩერებლად ნანკინის მიმართულებით გაიარა იაპონიის კრეისერმა „ცუსიმა"-მ. გაზეთები იტყობინებიან, რომ მანჯურიის ოკუპაციის შემდეგ ჩინეთის წყლებში მოვიდა იაპონიის 23 სამხედრო გემი (ადს).

**მანჯურიის დაპყრობის დასაწყისი.**

**ბეიპინი**, 30 სექტემბერი. დემპოს სააგენტო მუკდენიდან იტყობინება, რომ საზოგადოებრივი უშიშროების დაცვის ადგილობრივმა კომისიამ გადასწყვიტა გამოცხადებულ იქნას აღმოსავლეთის ოთხი პროვინციის დამოუკიდებლობა და შეიქმნას მთავრობა. ცხადია, ეს მოასწავებს იაპონიის მიერ მანჯურიის დაპყრობის განხორციელების დასაწყისს (ადს).

# ინგლისის პროლეტარიატის ბრძოლა

**ინგლისის მუშების მძლავრი დემონსტრაციები**

**ლონდონი**, 30 სექტემბერი. მანჩესტერში გაიმართა უმუშევართა გრანდიოზული დემონსტრაცია, რომელშიაც აგრეთვე მონაწილეობა მიიღო წარმოებაში ჩაბმულმა მრავალმა ათასმა მუშამ. დემონსტრაცია, რომელშიაც 40 ათას კაცზე მეტი იღებდა მონაწილეობას, ჩატარდა ლოზუნგებით: ძირს ნაციონალური მთავრობა, არც ერთი პენსი დახმარებიდან და შრომის ხელფასიდან, მაღლა ავწიოთ წითელი დროშა.

დემონსტრანტებმა გაიარეს ქალაქის მთავარ ქუჩებში. პოლიციამ ვერ მოახერხა „წესრიგის დაცვა". ქალაქ დერბში გაიმართა მუშების უდიდესი დემონსტრაცია კომუნისტური ლოზუნგებით. დემონსტრაცია დასრულდა მიტინგით, რომელზედაც მიღებულ იქნა დადგენილება, რომ არჩევნებში წამოაყენონ კომუნისტის კანდიდატურა ლეიბორისტი ტომასის წინააღმდეგ. ინგლისის სხვა დასხვა კუთხიდან, განსაკუთრებით სამხრეთ უელსისა და ლანკაშირის რაიონებიდან, მოდის ცნობები მუშათა კრებების შესახებ, სადაც გამოაქვთ ლეიბორისტული პარტიის გაკიცხვის რეზოლიუციები (ადს).

**ლონდონი**, 30 სექტემბერი. აქ გაიმართა მუშების მძლავრი დემონსტრაცია ნაციონალური მთავრობის „ეკონომიის" ზომების წინააღმდეგ.

ლონდონის ყველა რაიონებიდან მუშათა კოლონები მიდიოდნენ ჰაიდპარკში, სადაც აირჩიეს დეპუტაცია პარლამენტში გასაგზავნად და მისთვის 200 ათასი მუშის მიერ ხელმოწერილი მემორანდუმის გადასაცემად. ამ მემორანდუმში მუშები კისრულობენ ვალდებულებას, ყოველმხრივ წინააღმდეგობა გაუწიონ უმუშევართათვის დახმარების შემცირებას. 20 ათასი მუშა დაიძრა პარლამენტისაკენ მიმავალი ქუჩებით. წინ მიდიოდნენ მძიმე კეტებით შეიარაღებული ლონდონის უღარიბესი უბნების მუშათა კოლონები. თუმცა პარლამენტთან მისასვლელ გზებს პოლიციის რაზმები იცავდნენ, მუშებმა მაინც მოახერხეს პოლიციელთა რაზმის გარღვევა და მოედანზე გაჭრა პარლამენტის წინ. მათზე იერიში მიიტანა მოედანზე თავმოყრილმა ცხენოსანმა პოლიციამ. მუშებმა სიმტკიცე გამოიჩინეს. ისინი რამდენიმეჯერ გადავიდნენ შეტევაზე და შეეცადნენ მოედნის ხელში ჩაგდებას. ბრძოლამ პოლიციელებსა და მუშებს შორის 2 საათს გასტანა. დაიჭრა მრავალი მუშა, დაშავდა მრავალი პოლიციელიც. დეპუტაციამ მოახერხა შესულიყო პარლამენტში, სადაც იძულებული გახდნენ მიეღოთ უმუშევართა მემორანდუმი. დეპუტაციის მიერ მემორანდუმის ჩაბარების შემდეგ მუშათა კოლონები გაემართნენ ჰაიდპარკში, სადაც დემონსტრაციები გრძელდებოდა საღამოს 11 საათამდე, რის შემდეგაც კოლონებად დაყოფილი მუშები მწყობრად წავიდნენ თავიანთ რაიონებში რევოლიუციონური სიმღერებით და ისეთი საბრძოლო განწყობილებით, როგორიც მათ ჰქონდათ დემონსტრაციის დაწყებისას. პოლიციამ მოახერხა მხოლოდ 9 კაცის დაპატიმრება (ადს).

**უმუშევართა დემონსტრაცია პარლამენტის წინ**

**ლონდონი**, 30 სექტემბერი. 29 სექტემბერს პარლამენტის შენობის წინ გამართულ უმუშევართა დემონსტრაციის დროს პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის გაიმართა მოედანზე ხელჩართული ბრძოლა, რომლის დროსაც უფრო მოგვიანებით პოლიციამ მიმართა რეზინის ჯოხებს. ცხენოსანი პოლიციის ძლიერი რაზმები, აგრეთვე პოლიციელები, რომელთაც მოახერხეს მოსვლა 5 საბარგო ავტომობილით სკოტლანდ იარდის (საიდუმლო პოლიციის შენობა) რაიონის შესახვევებიდან, დაერივნენ დემონსტრანტებს და დაუწყეს მათ ცემა. დემონსტრანტების ჯგუფებმა წინააღმდეგობა გაუწიეს პოლიციელებს, რომელთაც უმკლავდებოდნენ ჯოხებით, ქვებით და აგურებით. ისინი იგერიებდნენ ცხენოსან პოლიციელებს ფანჯრებიდან და ასხამდნენ ცხენებს შუშხუნებით. კეტებისა და ცხარე იერიშების საშუალებით ცხენოსანმა პოლიციამ შესძლო 12 დაპატიმრებულის წართმევა და მათი წაყვანა სკოტლანდ იარდში.

უმუშევართა დელეგაციას, რომელიც პარლამენტში შევიდა, შეხვდა დამოუკიდებელი მუშათა პარტიის ორი დეპუტატი—ბროუნი და სტრაჩი, რომელთაც მიიღეს უმუშევართა მოთხოვნების სია, მაგრამ არავითარი კონკრეტული დაპირება დეპუტაციისათვის მათ არ მიუციათ (ადს).

**მაკდონალდი მოითხოვს არჩევნების დაჩქარებით ჩატარებას.**

**ლონდონი**, 30 სექტემბერი. 29 სექტემბერს, მეფის მიერ მიღების შემდეგ, მაკდონალდი ეთათბირა კაბინეტის დანარჩენ წევრებს და მოითხოვა, რომ ახალი არჩევნები ჩატარებული იქნას იმ პარტიების ნაციონალური ბლოკის პლატფორმაზე, რომლებიც შედიან ნაციონალურ მთავრობაში. მან განაცხადა, რომ შეუძლებლად მიაჩნია არჩევნების გადადება. ამავე დროს მაკდონალდმა აღნიშნა, რომ არჩევნების ჩატარებას ნაციონალური თანამშრომლობის ლოზუნგით მთელი ლიბერალური პარტიის მიერ მონაწილეობის მიუღებლად შეუძლია გამოიწვიოს დიდი პოლიტიკური გართულება (ადს).

**მაკდონალდი გარიცხულ იქნა პარტიიდან**

**ლონდონი**, [illegible] სექტემბერი. იმის გამო, რომ მაკდონალდი დასთანხმდა სათავეში ჩასდგომოდა ნაციონალურ ბლოკს მომავალ არჩევნებში, ლეიბორისტულმა პარტიამ მიიღო დადგენილება პარტიიდან მაკდონალდის, ტომასის, სნოუდენისა, აგრეთვე დანარჩენი ლეიბორისტი მინისტრების გარიცხვის შესახებ (ადს).

# საბჭოთა კავშირში

**პურის აღების კამპანია საბჭოთა კავშირში**

**მოსკოვი**, 30 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის მიწსახკომის ცნობებით, 25 სექტემბრისათვის მთელ საბჭოთა კავშირში პური აღებულია 94.471.000 ჰექტარზე — ხორბლეულის ნათესის 91,8 პროცენტი. ყაზახსტანის, დასავლეთ ციმბირის და ურალის გამოკლებით მომკილი პურის დაზვინვა ძირითადად დამთავრებულია. ურალზე არ არის დაზვინული მომკილი პურის 60 პროცენტი, ყაზახსტანში — 50 პროცენტი და დასავლეთ ციმბირში — 45 პროცენტი.

აღნიშნულ რაიონებს არ დაუმთავრებიათ აგრეთვე პურის აღება, აქ ჯერ კიდევ მოუმკელია მარცვლეულის, უგრეხელას და ფეტვის დაახლოებით 30 პროცენტი. 25 სექტემბრისათვის გალეწილია 44.416.000 ჰექტარზე აღებული პური. პურის გალეწვაში ძლიერ ჩამორჩნენ: ურალი—გალეწილია 20 პროცენტი, ყაზახსტანში — 30 პროცენტი და დასავლეთ ციმბირი — 20 პროცენტი (ადს).

**„კრასნი პუტილოვეც"-მა გაადიდა ტრაქტორების წარმოება**

**ლენინგრადი**, 30 სექტემბერი. „კრასნი პუტილოვეც"-მა ამ უკანასკნელ დღეების განმავლობაში თვალსაჩინოდ გაადიდა ტრაქტორების გამოშვება. 27 სექტემბერს ქარხანამ გამოუშვა 81 ტრაქტორი, 81 ძრავი და 86 კორპუსი (ადს).

**ინჟექტორის ახალი კონსტრუქცია**

**მოსკოვი**, 1 ოქტომბერი. ძრავის რეკონსტრუქციის ინსტიტუტის ინჟინერებმა ამხ. პრიხოდკომ და კრაევსკიმ გამოიგონეს შეკუმშული ორთქლის ინჟექტორის ახალი კონსტრუქცია. ამ დღეებში ინჟექტორები გამოსცადეს სარატოვ-კოზლოვსკ-რიაზან-ურალის რკინის გზაზე, გამოცდამ საუცხოო შედეგი მოიტანა. საორთქლმავლო პარკის შეიარაღება ამხ. პრიხოდკოს და კრაევსკის სისტემის ინჟექტორებით ჩვენს ქვეყანას მისცემს 30 მილიონ მანეთის სათბობის ეკონომიას წელიწადში. (ადს).

**მიხაილოვ-ივანოვის სახელობის სტიპენდია**

**მოსკოვი**, 1 ოქტომბერი. საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმი თავის მწუხარებას უცხადებს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს — საკ. კ. პ. (ბ) ცკას წევრობის კანდიდატის, სახ. მეურნ. უმ. საბჭოს პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატის, საავტომობილო - სატრაქტორო საკავშირო გაერთიანების თავმჯდომარის, ძველი ბოლშევიკის, უაღრესად ენერგიული სამეურნეო მუშაკის მიხაილოვ-ივანოვის გარდაცვალების გამო.

საკავშირო პროფსაბჭომ დაადგინა—დააწესოს მიხაილოვ - ივანოვის სახელობის 2 სტიპენდია მუშების სასწავლებლად უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებში და გვირგვინის მაგიერად 1000 მანეთი შეიტანოს მისივე სახელობის ტანკის ასაშენებელ ფონდში. (ადს).

**ქ. უფას ეწოდა ამხ. მიხაილოვ-ივანოვის სახელი**

**მოსკოვი**, 1 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის ს.მ.უ. საბჭოს ბრძანებით, რომელსაც ხელს აწერს ამხ. ორჯონიკიძე, ქ. უფას მიეკუთვნება საბჭოთა კავშირის ს.მ.უ. საბჭოს პრეზიდიუმის წევრის — საავტოტრაქტორო გაერთიანების მმართველის განსვენებულ მიხაილოვ-ივანოვის სახელი (ადს).

**მსხვილი კომბინატი**

**მოსკოვი**, 1 ოქტომბერი. 1931-32 წლების მანძილზე „სოიუზმიასო"-ს განზრახული აქვს ააგოს საბჭოთა კავშირში ხორცის 57 მსხვილი კომბინატი. ყველაზე უფრო მსხვილი კომბინატი აშენდება რუსეთის ს.ფ.ს. რესპუბლიკაში. (ადს).

**საბჭოთა კავშირი სულ უფრო და უფრო თავისუფლდება უცხოეთზე დამოკიდებულებისაგან.**

**ლენინგრადი**, 1 ოქტომბერი. ქარხანა ფარმაკონმა პირველად მოაგვარა საბჭოთა კავშირში ფარმაცევტიული პრეპარატების —ფენაცეტინის და პირამიდონის წარმოება ეს პრეპარატები დღემდე შემოგვქონდა უცხოეთიდან. (ადს).

**კუზნეცკშენის კომკავშირელები გადაჭარბებით ასრულებენ დავალებას**

**კუზნეცკშენი**, 1 ოქტომბერი. დამთავრდა სამუშაოები საკოქსო ღუმელების პირველ ბატარეაში. შეუდგენ 55 ღუმელის გაშრობას. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს № 1 ბრძმედის მონტაჟი. ამხ. სვერტკოვის ბრიგადამ ბრძმედის საამქროში ვადაზე ადრე დაამთავრა № 7 კაუპერის წყობა. (ადს).

# მომზადება 100 000 ჰექტარი ჩაისათვის

## დავიცვათ ჩაის პლანტაციები განადგურებისაგან

ჩაის კულტურის ხვედრითი წონა საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობის შემდეგ, საგრძნობია ერთპიროვნულ მეურნეობებშიც. ხელისუფლება უდიდეს დახმარებას უწევს კერძო მეურნე გლეხებსაც რომ მათ ენერგიულად მოჰკიდონ ხელი ჩაის ფართოდ გაშენების საქმეს. მაგრამ არ კმარა ჩაის მარტო გაშენება არამედ **საჭიროა** გაშენებული ჩაის პლანტაციის სათანადოთ მოვლა.

როგორია ამ მხრივ მდგომარეობა ადგილებზე? უნდა ითქვას რომ ძალიან ცუდი. გაშენებული ჩაის პლანტაციების განადგურების - გათოხვნას, რომ თავი დავანებოთ, ზოგგან ადგილი აქვს კიდევ უფრო აღმაშფოთებელ მაგალითებსაც. ეს მდგომარეობს: **გაშენებული ჩაის ხელოვნურად განადგურებაში.** ბევრ ადგილას ხდება ასე: გაშენდა ჩაის პლანტაცია, დაიხარჯა უამრავი თანხა და **ახლად ამოსულ ჩაის კულტურას შინაური პირუტყვი ანადგურებს.** ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს „თვითკმაყოფილებაზე" დაყრდნობას: რაკი გაშენებული იქნა ჩაის პლანტაცია, ამით საკითხი უკვე „გადაიჭრა" და **თითქმის რაიონების უმრავლეს ნაწილში ჩაის მოვლის საქმეში ადგილი აქვს დემობილიზაციურ განწყობილებებს.** ძალიან ბევრ შემთხვევაში **სრულ უყურადღებობასაც კი.** მაგალითისათვის დავასახელოთ **კოდორის რაიონი** (აფხაზეთი), სადაც **შინაური პირუტყვისაგან განადგურებულია უკვე გაშენებულია ჩაის პლანტ. 28,1 პროცენტი.** ასეთი მდგომარეობაა **გალის** და **ხონის** რაიონშიც. კოლექტიურ, თუ ინდივიდუალურ მეურნეობებს, ჩაის გაშენების შემდეგ სათანადო ორგანოების დადგენილებათა მიხედვით **ეძლევათ თანხა სპეციალური დანიშნულების — გაშენებული ჩაის შემოღობვისათვის;** მაგრამ არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ამ მიზნით გაცემული თანხები არ ხმარდება თავის პირდაპირ დანიშნულებას. ამის მაგალითები უამრავია **ოზურგეთის** რაიონში და ცხადია მსგავსი მოვლენებიდან არც სხვა რაიონები იქნებიან დაზღვეული.

გაშენებული ჩაის პლანტაციების განადგურება უფრო შესამჩნევია **ინდივიდუალურ სექტორში;** ზოგიერთი კულაკური გავლენის ქვეშ მოქცეული გლეხი ჩაის პლანტაციას განზრახ ანადგურებს იმ მოტივით, რომ „სულ ერთია, მაინც კოლექტივს წაიღებსო".

არსებობს უმაღლესი სადირექტივო ორგანოების სპეციალური დადგენილება, რომლის მიხედვით **ადგილობრივად, სამაგალითოდ უნდა იქნას გასამართლებული ის მეჩაიე, რომელიც ანადგურებს ჩაის პლანტაციას.** არის იმის უამრავი ფაქტები, რომ ზოგიერთ რაიონში **ეს დადგენილება ცხოვრებაში არ ტარდება.** ხშირად ცრუ პლანტატორის „დასჯა" იმაში გამოიხატება, რომ მას შეუდგენენ სათანადო აქტს, გადასცემენ სამომრიგებლო ორგანოებს საქმის ბოლომდე მიყვანას, ე. ი. კონკრეტული დამნაშავის სამაგალითოდ დასჯას ყურადღება არ ექცევა (ოზურგეთი) ცრუ პლანტატორთა დასჯის მიმართ ასეთ ფორმალურ დამოკიდებულებას უნდა გამოეცხადოს სასტიკი ბრძოლა.

საჭიროა ზრუნვა იმისათვის, რომ **გაშენებული ჩაის პლანტაციები მოვლილი იქნას სათანადოთ.** სასტიკი კონტროლი უნდა გაეწიოს კულაკურ და შეძლებულ მეურნეობებს, რომლებიც წინასწარ განზრახვით ეწევიან უდიდეს მავნებლობას: ანადგურებენ ნორჩი ჩაის კულტურას. **პარტიისა და ხელისუფლების დადგენილება ცრუ პლანტატორთა სამაგალითოდ დასჯის შესახებ ცხოვრებაში ურყევად უნდა იქნას გატარებული.** სასოფლო - საბჭოების ამოცანას შეადგენს, რათა მათ ყურადღებიდან არ გამოეპაროთ ჩაის პლანტაციათა განადგურების არც ერთი შემთხვევა. **ჩაის პლანტაციის განადგურებაში შემჩნეული პირის საქმე დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს სათანადო ორგანოებს;** სამომრიგებლო და სასამართლო ორგანოებმა კი **დაუყოვნებლივ. რიგს გარეშე უნდა მოახდინონ კონკრეტულ დამნაშავეთა საჯარო გასამართლება.** ამ ღონისძიების გატარებით უზრუნველყოფილი იქნება გაშენებული ჩაის პლანტაციების დაცვა და მისი შემდგომი განვითარება.

გიკ. გ—ლი.

## დაპირება შესრულებული უნდა იქნას

აჭარისტანის საბჭოთა მეურნეობებში ჩაის საშემოდგომო თესვა გათვალისწინებულია 500 ჰექტარზე. ხსენებული რაოდენობა მთლიანად გაშენებული იქნება „საქ. ჩაი"-ს საბჭოთა მეურნეობებში, აქედან ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობაში უნდა გაშენდეს 470 ჰექტარი, ჩაქვში—20 ჰექტ. და სალიბაურის საბჭოთა მეურნეობაში—10 ჰექტარი ჩაი.

ივლისისა და აგვისტოს თვის ჩაის გაშენების გეგმა საბჭოთა მეურნეობებში მთლიანად ჩაიშალა. აღნიშნულ ორ თვეში ჩაის დასათესად უნდა გამზადებულიყო ნიადაგი —190 ჰექტ. ფართობზე, მაგრამ სინამდვილეში არც ერთი ჰექტარი არ ყოფილა მომზადებული.

ჩაის საშემოდგომო თესვისათვის ნიადაგის მომზადების მიზნით საბჭოთა მეურნეობებმა მუშაობა დაიწყეს მხოლოდ სექტემბერში, მაგრამ ვერც ამ თვეში იქნა აღებული ბოლშევიკური ტემპები და მუშაობა ამჟამადაც დაუშვებელი ნელი ტემპით მიმდინარეობს.

ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობაში 470 ჰექტარიდან 26 სექტემბრისათვის გაწმენდილი იყო მხოლოდ—45 ჰექტ. დაიბარა კი—7 ჰექტარი; ჩაქვის საბჭოთა მეურნეობაში ამავე რიცხვისათვის გაწმენდილი იყო 2 ჰექტარი და ნიადაგი მომზადდა (დაიბარა) 0,5 ჰექტ. სალიბაურის საბჭოთა მეურნეობაში 10 ჰექტარიდან გაიწმინდა და გადაიბარა ნიადაგი—9,5 ჰექტარზე.

ეს ციფრები ლაპარაკობენ იმაზე თუ რა უდიდესი გარღვევებია ჩაის ფრონტზე აჭარისტანში, საგრძნობ ჩამორჩენას აქვს ადგილი აგრეთვე გაშენებული ჩაის პლანტაციების მოვლის საქმეში.

ჩაქვში დღემდე ჩატარებულია პირველი თოხნა 138 ჰექტარზე, სალიბაურში—39 ჰექტ. და ოჩხამურში—85 ჰექტარზე, ეს მაშინ, როდესაც მესამედ თოხნა დამთავრებული უნდა იყოს.

ასეთი გარღვევები გამოწვეულია იმით, რომ საბჭოთა მეურნეობები განიცდიან მუშა-ხელის საგრძნობ ნაკლებობას. ჩაის კრეფის პერიოდში მუშა-ხელის ნაკლებობა კი კიდევ უფრო საგრძნობი გახდა. ზოგიერთი საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები ეყრდნობიან თვითდინებაზე და არ ღებულობენ ზომებს მუშა-ხელის შესაგროვებლად.

საქ. შრომის სახკომმა ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობას მიაკუთვნა მუშა-ხელის მოსამარაგებლად ახალქალაქის და ახალციხის რაიონები, მაგრამ ხსენებულ რაიონებმა სრულებით უარი განაცხადეს მუშა-ხელის მიცემაზე.

მსგავს მოვლენებს აქვს ადგილი სხვა მეურნეობებშიც. არის ისეთი შემთხვევები, როდესაც კოლმეურნეობებთან იდება ხელშეკრულება, მაგრამ შემდეგ ეს უკანასკნელნი უარს აცხადებენ მუშა ხელის მიცემაზე (სალიბაური, ორთა ბათომის და ახალშენის კოლმეურნეობები).

ნიადაგის მომზადებას ხელს უშლის აგრეთვე ის რომ საბჭოთა მეურნეობებს „საქჩაი"-დან მოსდით უვარგისი სას. სამ. ინვენტარი, ამასთან ერთად დაპირება მათ მიერ ახალი ტრაქტორების და მოტოკულტივატორების გამოგზავნის შესახებ არ არის შესრულებული.

კერძოდ სალიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში გეგმის შეუსრულებლობა გამოიწვია აჭარმიწსახკომის სუსტმა მუშაობამ; მაგალითად ამ მეურნეობაში დღემდე არ არის ჩატარებული მიწათმოწყობა და გეგმით გათვალისწინებული მიწის თავისუფალი ნაკვეთების გადაცემა მეურნეობაზე ჩაის გეგმის შეუსრულებლობაში სუსტად არის გამოყენებული სანარდო სისტემა. ხელფასის პრემიალურ და პროგრესიულ სისტემაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

აკაკი ხვინგია.

## ჩაის კამპანიის მიმდინარეობა ადგილებზე

### გალის რაიონი

ჩაის ნედლი ფოთოლის მოკრეფის გეგმა სამარცხვინოდ ჩაიშალა. მაგ. —60,000 კილოდან მოიკრიფა მხოლოდ—12.000 კილოგრამი ჩაის ნედლი ფოთოლი; ამის გამო ადგილობრივი ჩაის ქარხანა ვერ მუშაობს სრული დატვირთვით და ხშირად არის მოცდენილი. ნიადაგის დამუშავება (გაწმენდა) ნორმალურად მიმდინარეობს. ამჟამად იქ მუშაობს 3 ტრაქტორი, რომელიც ვერ აუდის სამუშაოს. იარაღ-მანქანები არ არის საკმაო რაოდენობით. გაშენებული ჩაის პლანტაციების მოვლას ადგილობრივი ორგანიზაციები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ განსაკუთრებით გაშენებული ჩაის პლანტაციების ხელოვნური განადგურება შემჩნეულია ინდივიდუალურ პლანტატორთა შორის.

ჩაის კამპანიის ხელმძღვანელობისათვის აღმასკომთან ჩამოყალიბებული რაიონული შტაბი ჩაის კამპანიის საქმეში სრულ უმოქმედობას იჩენს.

### კოდორის რაიონი

კოდორის რაიონში ჩაისათვის ნიადაგის მომზადების დარგში გარდატეხა არ მომხდარა. უმაღლესი ორგანოების დადგენილება ჩაის კამპანიისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად რაიონული შტაბის ჩამოყალიბების შესახებ ჯერ კიდევ არ არის შესრულებული. მესამე კვარტალის გეგმა ჩაის ნიადაგის მომზადებისათვის ვერ იქნა შესრულებული. მანქანა-იარაღების მოვლა-გამოყენების საქმეს ნაკლები ყურადღება არ ექცევა; მაგ. 8 ტრაქტორი ერთი კვირის განმავლობაში უქმად იყო გუთნებისა და სათადარიგო ნაწილების უქონლობის გამო. გაშენებული ჩაის მოვლისა და განადგურებისაგან დაცვის დარგში აღმაშფოთებელ მოვლენებს აქვს ადგილი. ასე მაგალითად 106,8 ჰექტარი პლანტაციიდან სათანადოდ მოვლილია მხოლოდ—19 ჰექტარი. დღემდე ჯერ კიდევ გაუთოხნელია—57,7 ჰექტ. ჩაის პლანტაცია. გაშენებული პლანტაციები შინაური პირუტყვისაგან გაფუჭებულია—28,1 პროც.

ადგილობრივი ორგანიზაციები არავითარ ზომებს არ მიმართავენ ცრუ პლანტატორთა დასასჯელად; მიუხედავად იმისა, რომ ადგილებს მიცემული აქვთ სათანადო დირექტივები ჩაის პლანტაციათა გამნადგურებლების საჯაროდ გასამართლების შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს რომ კოდორის რაიონში დღემდე არ არის შეძენილი ხორბალი მეჩაიე გლეხობაზე დასარიგებლად, სამისო ფონდი კი დიდი ხანია რაც გამოყოფილია.

### ხონის რაიონი

რაიონი დაყოფილია ორ აგრონომიულ უბნად. ჩაისათვის ნიადაგის მომზადებას აფერხებს იარაღ-მანქანების (წერაქვი) უქონლობა. ამ რაიონისათვის დამატებით არის საჭირო 150 ცალი წერაქვი. აგრონომიული ძალები არ არის საკმაო რაოდენობით. ამ დღეებში რაიონმა „ცეკავშირიდან" მიიღო ცნობა მათთვის ფართალის მიცემის შესახებ, მაგრამ სამრეწველო საქონელი რაიონს ჯერ არ მიუღია.

საჭიროა მეჩაიე გლეხობის მომარაგების გაუმჯობესება, რასაც ცეკავშირმა და მომარაგების სახალხო კომისარიატმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს.

ჩა—ლი.

# 5 წლიანი გეგმა—საერთაშორისო რევოლუციონური მოძრაობის ბერკეტია
## ამხ. კარლ რადეკის მოხსენება

მუშათა მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე, რომლითაც გაჭედილია ამხ. ორჯონიკიძის სახელობის კლუბის დიდი საზაფხულო დარბაზი, ამხანაგი რადეკი აკეთებს მოხსენებას თემაზე: „ხუთწლიანი გეგმა —საერთაშორისო რევოლიუციონური მოძრაობის ბერკეტია".

— ჩვენ ვანხორციელებთ იმას რისთვისაც იბრძოდენ მუშები 1917 წელს, — ასე დაიწყო ამხ. რადეკმა.

როგორ გვიყურებდა ჩვენ ბურჟუაზია ათი წლის წინად? სამხედრო კომუნიზმიდან ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის დროს, იგი წინასწარმეტყველებდა ბოლშევიზმის ლიკვიდაციას. გენუის კონფერენციის დროს ლოიდ-ჯორჯი კონფიდენციალურად ურჩევდა ჩიჩერინს, გადაეცა ყველა საბჭოთა საწარმოები იჯარით ყოფილ მეპატრონეებისათვის 99 წლით.

ბურჟუაზია ახალ ეკონომიურ პოლიტიკას აფასებდა, როგორც ბოლშევიკების მიერ ბოლშევიზმზე ხელის აღების ფარულ პროგრამას. ლოიდ-ჯორჯი მეტად გაკვირვებული იყო იმ ფაქტით, რომ ჩიჩერინმა კატეგორიულად უარყო მისი წინადადება. ორი წლის შემდეგ, როცა ჩერჩილმა დაინახა, რომ ბოლშევიზმი ცოცხალია და არ ფიქრობს დათმობაზე წასვლას, განაცხადა, რომ პირველი ბოროტება კაცობრიობისათვის იყო ლენინის დაბადების ფაქტი, მეორე ბოროტებას, მისი აზრით, წარმოადგენდა ლენინის სიკვდილის ფაქტი, რადგან, ჩერჩილის თვალსაზრისით, ლენინს თითქოს სახეში ჰქონდა საბჭოების კურსის მობრუნება კაპიტალიზმისაკენ ახალი ეკონომიური პოლიტიკის საშუალებით.

ბურჟუაზიას შეუძლებლად მიაჩნდა საბჭოთა მრეწველობის აღდგენა უცხოეთის სესხების დაუხმარებლად. მაგრამ 1921 წლის შემდეგ განვლილმა 10-მა წელმა დაგვანახა, რომ ჩვენ აღვადგინეთ მრეწველობა. აღვადგინეთ მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ძალებით და წარმატებით ვაშენებთ სოციალიზმის საძირკველს.

ამხ. რადეკი, უკეთებს რა ანალიზს თავის პოლიტიკურ შეცდომებს, რომლებმაც წინათ იგი მიიყვანეს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან ბრძოლამდე, ამბობს:

— იმ ხაზის დაცვა, რომელსაც ატარებს პარტია, მჭიდროთ არის დაკავშირებული ერთგულებასა და დისციპლინასთან პარტიის იმ ცენტრალური კომიტეტის მიმართ, რომელსაც მეთაურობს ლენინის საუკეთესო მოწაფე — ამხ. სტალინი.

ამ განცხადებას დარბაზი მქუხარე ტაშისცემით ხვდება.

ამხ. რადეკი

— ამხ. სტალინის სახით, — განაგრძობს მომხსენებელი, — **პარტიის ბრძოლებში გამოიბრძმედა ბელადი, რომელსაც შეუძლია მანევრების მოხდენაც, უკან დახევაც და შეტევაც, როდესაც საჭიროა (მქუხარე ტაში). ამხანაგებო! მე ჩემს მოვალეობათ მიმაჩნია ვთქვა ეს და არც ერთი თქვენგანი ეჭვს არ მიიტანს ჩემზე, რომ მე „კაზიონურ" ფრაზებს ვამბობ. ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასია ვთქვა ეს თქვენს კრებაზე, თბილისის მუშათა კრებაზე, რომელთა შორის ჩვენი პარტიის ბელადმა დააგროვა პირველი ბოლშევიკური პოლიტიკური გამოცდილება, რამაც იგი ლენინური პარტიის სათავეში დააყენა.** (მქუხარე ტაში).

შემდეგ ამხ. რადეკი ახასიათებს იმ გზას, რომელიც განვლეთ უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში, და პერიოდს მე-15 ყრილობის გადაწყვეტილებებიდან, რომელმაც გვიკარნახა დაგვეწყო შეტევა კაპიტალისტურ ელემენტებზე ჩვენს ქვეყანაში, საკოლმეურნეო მშენებლობის გამარჯვებამდე, რომელიც ახასიათებს ხუთწლიანი გეგმისათვის ბრძოლის ეხლანდელ ეტაპს.

„რევოლიუცია — ეს ნევის პროსპექტი როდია", — ამბობდა ჩერნიშევსკი. სოციალიზმის საძირკველის აშენება დიდი ბრძოლის საქმეა, ბოლშევიკები კი უიქმოდაც იბრძოდნენ. ცარიცინთან ყინვებში ქალამნიანი ჯარი უარს ამბობდა გადასულიყო შეტევაზე და იქ ამხ. სტალინმა და ვოროშილოვმა შესძლეს გაეღვივებიათ ჯარში პოლიტიკური ენტუზიაზმი და წაეყვანათ იგი მტრის წინააღმდეგ.

— მე დავათვალიერე, — ამბობს შემდეგ ამხ. რადეკი — ერთი საბჭოთა მეურნეობა „კარლ მარქსის" სახელწოდებით. იქ არის სამაგალითო საღორე, რას იტყოდნენ ყველა ქვეყნის ფილისტერები, რომ გაეგოთ რომ ჩვენ მარქსის ნათელი ხსოვნა და სახელი „დაუკავშირეთ ღორებს"! ამავე დროს საღორე ღირსია ამ დიდი სახელის. ელექტრონის ტუმბოები ყოველდღე რეცხენ იქ ყოველ კუთხეს. ელექტრონის ტუმბოები იატაკზე ჰყრიან ნახერხს. ყოველი ღორის წონა აყვანილია აღრიცხვაზე. კოლმეურნეობის ერთმა მუშამ აიყვანა ღორი ხელში და მკითხა: „გინახავთ ასეთი"? იგი იყო ამაყად, მან იცოდა, რომ ღორი აგროვებს ქონს, რომელიც მოხმარდება მუშების კვებას.

შემდეგ ამხ. რადეკმა ჩამოსთვალა ჩვენი მიღწევები.

ერთ-ერთ მთავარ მიღწევას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ჩვენ სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციას შევუქმენით საჭირო ტეხნიკური ბაზა. გლეხს ჯერ კიდევ აქვს წვრილი საკუთრება, მას ჯერ კიდევ ჰყავს თავისი ძროხა და აქვს თავისი ბოსტანი, რომლებიც მათ აძლევს ერთგვარ დამატებით ინდივიდუალურ შემოსავალს. მაგრამ თავისი შემოსავლის ძირითადი წყარო — მიწა, ინვენტარი, — მან უკვე შეიტანა საერთო ქვაბში. რაც უფრო მეტ როლს ითამაშებს კოლმეურნეობა გლეხის ბიუჯეტში და რაც უფრო გადააჭარბებს მისი შემოსავალი გლეხის პირად ქონებას. მით უფრო გარდაიქმნება გლეხის წვრილი მესაკუთრის ფსიხოლოგია. იგი თავს იგრძნობს როგორც მსხვილი სასოფლო - სამეურნეო საწარმოს მუშა, იგი უფრო მკვეთრად შეიგნებს ქალაქისა და სოფლის დაკავშირების პოლიტიკურ აზრს.

— ჯერ კიდევ ბევრი იძლევა კითხვას, — განაგრძობს ამხ. რადეკი,— არ შეიძლება უფრო ნელა? რა საჭიროა ასეთი აჩქარება?

ყოველივე ეს სისულელეა. ხუთწლიანი გეგმის ტემპებს განსაზღვრავს ორი მომენტი: ერთი მხრით,— საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებანი და, მეორეს მხრივ საერთაშორისო მდგომარეობა. ტემპების შენელება ნიშნავს იმას, რომ უფრო დიდხანს ავიტანოთ გაჭირვება. ხუთწლიანი გეგმის სწრაფად შესრულების გარეშე არ არსებობს სხვა გზა მუშათა კლასის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. **ბრძოლა პარტიის გენერალური ხაზისათვის არის ბრძოლა ლენინის ანდერძის შესრულებისათვის.**

**ევროპის სოციალიზმის ბედს სწყვეტს ჩვენი ხუთწლიანი გეგმა.** დასავლეთ ევროპაში იზრდება ახალი რევოლიუციონური ტალღა. სოციალიზმის წარმატებით მშენებლობა — ეს არის ჩვენი მოვალეობა საერთაშორისო მუშათა კლასის წინაშე, რომელიც ამჟამად ყველგან ამოძრავდა. პოლონეთში პილსუდსკი დამსჯელ ექსპედიციას დამსჯელ ექსპედიციაზე გზავნის ბელორუსებისა და უკრაინელების წინააღმდეგ. სამხრეთ ამერიკაში აჯანყდა სამხედრო ფლოტი. კაპიტალისტების აეროპლანებმა ყუმბარები დაუშინეს აჯანყებულებს და დაამარცხეს ისინი. ცუდათ არის ბურჟუაზიის საქმე, თუ იგი ერთნაირ იარაღს ხმარობს, რათა მან დაიმორჩილოს მეორე სახის იარაღი. გერმანიაში კომპარტიამ არჩევნების დროს შეაგროვა 4 მილიონი ხმა. ეხლა გერმანიის მუშებს ახალ რევოლიუციონურ ბრძოლისაკენ წაიყვანს ლენინური პარტია და არა ერთი მუშა რევოლიუციონერები, როგორც ეს 1918 წელს იყო.

— 1921 წელს მე ვესაუბრე ერთ უპარტიო გერმანელ მუშას, მან მითხრა: „ჩვენ არ ვიპყრობდით ხელისუფლებას, მაგრამ ვფიქრობდით: თუ რუსები გაიმარჯვებენ, ჩვენ მივბაძავთ მათ, მაგრამ რას ვხედავთ? თქვენ ერთმანეთს სჭამთ". იგი ამას ამბობდა ვოლგის მხარის დამშევის დროს.

ეხლა მდგომარეობა შეიცვალა. დასავლეთის მუშა ხარბად ეწაფება ცნობებს სოციალისტური მშენებლობის გამარჯვების შესახებ. საერთაშორისო რევოლიუციის წარმატება მჭიდროდაა დაკავშირებული ხუთწლიან გეგმასთან.

# ალაზნის და ივრის ველებზე
## აუკრეფლობის გამო იკარგება ბამბის მოსავალი

### ბამბის აკრეფა საფრთხეშია
(ალაზნის საბჭოთა მეურნეობა)

გეგმის თანახმად ალაზნის ბამბის საბჭოთა მეურნეობას ნედლი ბამბის აკრეფა 10 სექტემბერს უნდა დაეწყო, ფაქტიურად ბამბა მეურნეობაში უფრო ადრე დამწიფდა და მეურნეობა იძულებული შეიქნა მის განკარგულებაში მყოფ მუდმივი მუშების საშუალებით დაეწყო ბამბის აკრეფა ჯერ კიდევ 6 სექტემბერს. გეგმის მიხედვით ბამბის აკრეფის პერიოდში მეურნეობაში უნდა მუშაობდეს 4.000 მუშა, ფაქტიურად პირველ ოქტომბრამდე მუშათა რიცხვი მეურნეობაში ყოველდღიურად 2000 არ გასცილებია. მეურნეობამ მუშა-ხელი უნდა შეკრიბოს ლაგოდეხის, გურჯაანის, სიღნაღის, ყვარელის, თელავის; და გარე-კახეთის რაიონებში. ლაგოდეხის რაიონმა, რომელსაც მეურნეობისათვის 10 სექტემბრიდანვე უნდა მიეცა 2.400—2.500 კაცი, არავითარი ზომები არ მიიღო ამ ვალდებულების შესასრულებლად. პირიქით, რაიონის პარტიული ორგანიზაცია პირდაპირ უარს აცხადებდა ამ ვალდებულების შესრულებაზე. ლაგოდეხის რაიონი მუშა-ხელის შეკრებას ბამბის საბჭოთა მეურნეობისათვის მხოლოდ სექტემბრის უკანასკნელ დღეებში შეუდგა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბამბის მოსავლის აკრეფას ყველაზე უფრო შეგნებით შეხვდა. გურჯაანის რაიონი, რომელმაც მეურნეობა აიღო მეორე ხუტორზე, რომელსაც 3.000 კაცი მუშა-ხელი დასჭირდება. გურჯაანის რაიონი თავის თავზე აღებულ ვალდებულებას მთლიანად შეასრულებს.

მუშა-ხელის ნაკლებობის გამო, ბამბის აკრეფა ალაზნის საბჭოთა მეურნეობაში დიდად ჩამორჩენილია. 25 სექტემბრისათვის ბამბის აკრეფა ჩატარებული იყო 560 ჰექტარზე, რაც მთელი ფართობის 14 პროცენტს შეადგენს და აკრეფილი იყო სულ 138,4 ტონა, ანუ გეგმის 3 პროცენტი.

მოუგვარებელია აგრეთვე აკრეფილი ბამბის გადმოზიდვა. რკინის გზას წნორის წყალზე აქამდე არ მიუცია ვაგონები ბამბის გადმოსაზიდად, სადგურზე თავმოყრილია რამოდენიმე ვაგონი ბამბა, რომელიც საწყობის უქონლობის გამო ღია ცის ქვეშ აწყვია და საკმარისია ცოტა წვიმა, რომ ეს ბამბა გაფუჭდეს, გაძნელებულია აგრეთვე ბამბის გადმოზიდვა მეურნეობიდან სადგურამდე. ვინაიდან მეურნეობას გეგმით გათვალისწინებულ ავტომობილიდან ჯერ არც ერთი არ მიუღია, (მეურნეობის განკარგულებაში იმყოფება მხოლოდ ერთი ავტომობილი) .მეურნეობა იძულებულია ბამბის გადმოზიდვაზე გამოიყენოს ტრაქტორები, საკუთარი ფურგუნები და ნაქირავები სატრანსპორტო საშუალებები, რაც დიდ ხარჯად აწვება ბამბის ღირებულებას. ტრანსპორტის უქონლობა ცუდ გავლენას ახდენს აკრეფაზედაც ვინაიდან მეურნეობას ტომრებისა და ბარდანების მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობა მოეპოვება. რომ[illegible] აკრეფაზედაც, ვინაიდან მეურნეობას არა აქვს აგრეთვე საწყობები, რომ აკრეფილი ბამბა დროებით მაინც მოათავსოს. ბამბა ინახება ფარდულებში, რომლებიც მას წვიმისაგან ვერ დაიცავენ.

ბამბის გადმოზიდვას აძნელებს კიდევ ის გარემოება, რომ საბჭოთა მეურნეობიდან აქამდე არ არის დამთავრებული გზატკეცილის გაყვანა სოფ. ყარაღაჯამდე (სულ 13 კილომეტრის მანძილზე). ეს გზა საქ. „ზაკტრანს"-ს 10 სექტემბრისათვის უნდა დაემთავრებინა. მეურნეობას ფოსტა-ტელეგრაფთან, სამმართველოსთან დადებული ჰქონდა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც სამმართველო ვალდებული იყო 10 სექტემბრისათვის გაეყვანა ტელეფონი წნორის-წყალიდან მეურნეობამდე და მოეწყო ქსელი შიგნით მეურნეობაში. ტელეფონი მეურნეობისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, ვინაიდან მუშათა ასეთი დიდი რიცხვის მუშაობის დროს გაუადვილებს მას ცალკე სამუშაოთა ხელმძღვანელობას. ეს ხელშეკრულება ჯერაც არ გაუნაღდებიათ.

მეურნეობაში მოუგვარებელია აგრეთვე მუშათა საექიმო მომსახურება. ამჟამად მეურნეობაში მხოლოდ ერთი ექიმი მუშაობს. ექიმების უქონლობის გამო საავადმყოფო დაკეტილია, 6 ექიმის თანაშემწის ნაცვლად მეურნეობამ მხოლოდ ორი მიიღო. მეურნეობა სისტემატიურად უგზავნის მოთხოვნილებებს ექიმების შესახებ ჯანმრთელობის კომისარიატს, რომელიც ამ საქმეს ბიუროკრატიულად უდგება. ამას ნათლად ადასტურებს შემდეგი: ჯანმრთელობის კომისარიატიდან ამ დღეებში ალაზნის საბჭოთა მეურნეობამ თავის მიმართვების საპასუხოდ მიიღო დეპეშა—„ექიმებსა და მედიკურ პერსონალს ვერ გიგზავნით, გაშალეთ პროფმუშაობა".

ყველა ჩამოთვლილი მიზეზები დიდად აფერხებენ ბამბის აკრეფის ნორმალურ მსვლელობას. ნათესების 80 პროცენტზე ბამბის პარკები უკვე გახსნილია და საკმარისია მცირეოდენი წვიმა, რომ ბამბის მოსავალი დაზიანდეს და დაიღუპოს. მეურნეობის ადმინისტრაციამ მთელ თავის ძალღონეს ახმარს მუშა-ხელის შეგროვებას. გარდა იმისა, რომ თვითეულ რაიონში მას გამოყოფილი ყავს ჯამაგირიანი პასუხისმგებელი მუშაკი, რომელსაც დავალებული აქვს მუშა-ხელის შეგროვება, მეურნეობის დირექტორის სამი თანაშემწეც მუდამ ამ რაიონებში დადიან, მუშა-ხელის შესაგროვებლად.

მდგომარეობა კრიტიკულია. საჭიროა ცენტრალურმა და რაიონულმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა დაუყოვნებლივ მიიღონ გადამჭრელი ზომები მუშა-ხელის საჭირო რაოდენობის დაუყოვნებლივ შესაგროვებლად, რომ ეს მოსავალი დაღუპვისაგან გადავარჩინოთ. საჭიროა აგრეთვე „საქ. ზაკტრანსმა" დაჩქარებით დაამთავროს გზატკეცილის გაყვანა ალაზნის საბჭოთა მეურნეობამდე, ხოლო რკინის გზამ სისტემატიურად მისცეს ვაგონები წნორის-წყალზე ბამბის დაჩქარებით გადმოსაზიდად.

### როგორ „დაიკარგა" ტრაქტორი

ალაზნის საბჭოთა მეურნეობაში ამ რამდენიმე დღის წინად „დაიკარგა" ტრაქტორი „ფორდზონი"-ს სისტემის. საბჭოთა მეურნეობის დირექციამ ასტეხა განგაში, მეზობელ სოფლებში დაგზავნა კაცები, შეატყობინა ადმინისტრაციას, მაგრამ ტრაქტორი არსად არ აღმოჩნდა.

ბოლოს გამოირკვა შემდეგი: ალაზნის საბჭოთა მეურნეობისათვის თბილისიდან გამოგზავნილ ინჟინერ მექანიკოს **ავლასევიჩს** საბჭოთა მეურნეობის ერთი ტრაქტორი მალულად გაუპარებია წითელ წყაროში და იგი „საქნავთის" შირაქის განყოფილებისათვის გადაუცვლია მოტოციკლეტზე.

ავლასევიჩი საბჭოთა მეურნეობაში დასეირნობს მოტოციკლეტით; მას ეკითხებიან, თუ საიდან, ან ვისია მოტოციკლეტი, ავლასევიჩი უპასუხებს— „თბილისიდან გამომიგზავნესო".

დღეს, „დაკარგული" ტრაქტორის „ბედი" სავსებით გამორკვეულია, მაგრამ კომბინატორ ავლასევიჩის წინააღმდეგ სათანადო ზომებს არავინ იღებს.

ავლასევიჩი ცნობილია სხვა ბოროტმოქმედებაშიც. მან ამ რამოდენიმე კვირის წინად სცემა ორ მუშას; იგი არ უვლიდა ტრაქტორებს და სხვ. საჭიროა ამ სისხლის სამართლის დამნაშავის და აშკარა კომბინატორის დაუყოვნებლივ პასუხისგებაში მიცემა.

ხუტორელი.

### ბამბის აკრეფა 25 სექტემბრისათვის

მიწადმოქმედების კომისარიატის ცნობით 25 სექტემბრისათვის აკრეფილი იყო სულ 8.426 ცენტნერი ნედლი ბამბა. შესრულებული იყო გეგმის 2,6 პროცენტი. აქედან კოლმეურნეობებში აკრეფილი იყო 1.671 ცენტნერი, რაც გეგმის 3,3 პროცენტს შეადგენს. კერძო მეურნეობებში—838 ცენტნერი, გეგმის 2,4 პროცენტი, კულაკურ მეურნეობებში 29 ცენტნერი—გეგმის 0,7 პროც., და საბჭოთა მეურნეობებში 788 ცენტნერი, ანუ გეგმის 2,2 პროც.

რაიონების მიხედვით ბამბის აკრეფა შემდეგ სურათს იძლევა: ბორჩალოს რაიონში აკრეფილია 628 ცენტნერი, შესრულებულია გეგმის 0,9 პროც.. ყარაიას რაიონში 1.145 ცენტნერი, რაც გეგმის 4,8 პროც. შეადგენდა. სიღნაღის რაიონში—1.629 ცენტნერი—გეგმის 3,7 პროც. გარე-კახეთის რაიონში 71 ცენტნერი—8,7 პროც., ქუთაისის რაიონში 558 ცენტნერი—გეგმის 7.6 პროცენტი.

### შესყიდულია 253 ტონა ბამბა

საკონტროლო ციფრების თანახმად სექტემბრის განმავლობაში საქართველოში უნდა დამზადდეს 262 ტონა ბამბა, აქედან ბორჩალოს რაიონში უნდა დამზადდეს 172 ტონა, ლიუქსემბურგის რაიონში 7, ყარაიას რაიონში 66, სიღნაღის რაიონში 25, გარე-კახეთის რაიონში 22 ტონა და გურჯაანის რაიონში 10 ტონა.

ფაქტიურად პირველ ოქტომბრისათვის დამზადებული იყო სულ 253 ტონა, ე. ი. შესრულებული იყო თვიური გეგმის 89,7 პროც., და წლიური გეგმის 2,7 პროც., აქედან ბორჩალოს რაიონში შესყიდული იყო 50 ტონა, შესრულებული იყო სექტემბრის გეგმის 29,1 პროცენტი. ყარაიას რაიონში 199 ტონა, ანუ სექტემბრის გეგმის 301, პროც., ხოლო სიღნაღის რაიონში 4 ტონა, რაც სექტემბრის გეგმით 16 პროცენტს შეადგენს. ლიუქსემბურგის, გარე-კახეთის და გურჯაანის რაიონებში ბამბის შესყიდვა პირველ ოქტომბრისათვის კიდევ არ იყო დაწყებული.

### მოსავალი იღუპება
(წერილი ივრის ველიდან)

ივრის ველზე წელს პირველად დაითესა ბამბა 300 ჰექტარზე. ბამბისათვის ხელსაყრელმა კლიმატიურმა პირობებმა უზრუნველჰყო ბამბის არაჩვეულებრივი მოსავალი სიღნაღის რაიონში. ბამბის აკრეფისათვის წინასწარი სამზადისი და თვით კრეფის სუსტი ტემპები აშკარა საფრთხის წინაშე აყენებს ბამბის მთლიანად აკრეფის ჩატარებას.

ივრის სარწყავ მინდორში ბამბა უნდა დაიკრიფოს 300 ჰექტარზე, კრეფა 10 სექტემბერს დაიწყო. პირველი კრეფა დამთავრდა 25 სექტემბერს. ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ფართოდ ვერ გაშალეს ამ დარგში მუშაობა, მუშა-ხელი მთლიანად ვერ არის გამოყენებული და ბამბა ცვივა მიწაზე. დაკრეფილი ბამბის გადმოზიდვა ივრიდან მიმღებ პუნქტამდე (25 კილომეტრი) ტრანსპორტის უქონლობის გამო ბრკოლდება, რის გამო ბამბას ყრიან მიწურ გომებში და ოხრდება. არც მიმღები პუნქტია მოწყობილი, არა აქვს საწყობი, სოფ. მალაროდან რკინის გზამდე გადატანილ ბამბას რკინის გზა დროზე ვერ გზავნის დანიშნულებისამებრ. ბარდანები საკმაოდ არ მოიპოვება, ბამბის გადმოსატანი გზა არ არის შეკეთებული.

ივრის მიდამოებში მძვინვარებს საშინელი ციებ-ცხელება, მაგრამ ამის საწინააღმდეგოდ არავითარი ზომები არ არის მიღებული.

ბამბის ხარისხის გაუმჯობესებისათვის აგრონომიული დარიგება სუსტია, ბამბას კრეფენ ნაადრევად (გაუშლელს). სოფ. ულიანოვკის კოლექტივის იორში 2 ჰექტ. ბამბის კრეფა ჯერ არ დაუწყიათ, ბამბა 50 პროცენტით ჩამოცვენილია.

ყველა ეს დეფექტები თუ თავის დროზე არ იქნა აღკვეთილი შეუძლებელი გახდება ბამბის მთლიანად აკრეფა ივრის მინდვრებში.

პირველ რიგში საჭიროა მოგვარებული იქნას მუშა-ხელის რაციონალურად გამოყენების და ბამბის დანიშნულებისამებრ გადაზიდვის საქმე.

კულტურული მშენებლობა

# რაიონები მასწავლებელთა კადრებით უზრუნველყოფილი არ არის

## მასწავლებელთა კადრების ნაკლებობა აფერხებს სწავლის დაწყებას

როგორც ადგილებიდან მოსული ცნობებით ირკვევა, მთელ რიგ რაიონებში მასწავლებელთა კადრების ნაკლებობის გამო შეფერხებულია სწავლის დაწყება. **ადგილი აქვს ძველი მასწავლებლების მასიურ გამოუცხადებლობას სკოლებში და თვითნებურად სამსახურის მიტოვებას.** განსახკომის კადრების სექტორმა და შრომის კომისარიატმა თავიდანვე ვერ აუღო ალღო ამ მდგომარეობას. რაც მთავარია აღნიშნულმა ორგანიზაციებმა დაგვიანებით დაიწყეს კადრების განაწილება და მასთან მათ შორის არ ყოფილა შეთანხმებული მუშაობა. პირველ ხანებში ორივე ორგანიზაცია „თავისი ხაზით“ ნიშნავდნენ მასწავლებლებს, რის გამო ხშირად ადგილი ჰქონდა ერთდაიმავე სკოლის მასწავლებლებით მეტად დატვირთვას და დანარჩენი სკოლების უყურადღებოდ მიტოვებას. განსახკომის კადრების სექტორმა, შრომის კომისარიატმა და რაიგანათლების განყოფილებებმა „გულკეთილობა“ გამოიჩინეს და მასიურად დააკმაყოფილეს მასწავლებლების განცხადებები მათი რაიონებში სამუშაოდან მოხსნისა და ქალაქებში დანიშვნის შესახებ. ამ მდგომარეობამ მასწავლებელთა კადრების განაწილებაში არევდარევა შეიტანა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის მოუთმენელი მდგომარეობა, რომ ზოგიერთი რაიონულ-პარტიული, საბჭოთა, კომკავშირულ და პროფკავშირული ორგანიზაციები შეურიგდენ მასწავლებელთა თვითნებურად გაქცევას სკოლებიდან. მაგ. **ლაგოდეხის სას. სამ. ტეხნიკუმის გამგემ დემონსტრატიულად მიატოვა სკოლა; მასთან გაყვა თითქმის ყველა მასწავლებლები და ამჟამად სკოლას არც ერთი მასწავლებელი არ ჰყავს,** მაგრამ არც ერთ ადგილობრივ ორგანიზაციას გაქცეული მასწავლებლების პასუხისგებაში მიცემისათვის არავითარი ზომები არ მიუღიათ. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი პარტიული და კომკავშირელები იყვნენ, **კასპის რაიონში განსახკომის კადრების სექტორმა და შრომის კომისარიატმა 40 მასწავლებელი გააგზავნეს, მაგრამ ადგილზე მხოლოდ 14 გამოცხადდა.** რაიგანათლების განყოფილებას კი ამ მდგომარეობისათვის ყურადღებაც არ მიუქცევია. რაიონს ამჟამად სჭირდება 62 მასწავლებელი. **ალბულალ-მანგლისის რაიონში მასწავლებლების უყოლობის გამო სწავლა ჯერ არ დაწყებულა.** რაიონს აკლია ოთხწლედის 75 და მეორე საფეხურის სკოლების 28 მასწავლებელი. რაიგანათლების განყოფილებას კი არ მიუღია გადამწყვეტი ზომები ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

მთელ რიგ სკოლებში აგრეთვე ადგილი აქვს მასწავლებელთა კადრების არა კვალიფიკაციის მიხედვით გამოყენებას. **ხშირად მათემატიკის მასწავლებელი ლიტერატურასაც ასწავლის** (მარტვილი) აგრეთვე **მასწავლებლებად არიან ყოფილი ვექილები, ყოფილი გენერლები და მსგავსი სხვა სამუშაოზე გამოუყენებელი ხალხი** (თბილისი), რომლებიც მოწაფეებს ასწავლიან ყოვლად მიუღებელი მეთოდებით. ცხადია ასეთი „მასწავლებლები“ ვერ აღგვიზრდიან სოცმშენებლობის ენტუზიასტებს და რევოლიუციონურ მებრძოლებს, რომლის აღზრდას მიზნად ისახავს საბჭოთა სკოლა.

მასწავლებელთა კადრების განაწილებაში ასეთი არევ-დარევა გამოწვეულია იმ მდგომარეობით, რომ შრომის კომისარიატსა, განსახკომის კადრების სექტორსა და რაიგანათლების განყოფილებების შორის ამ საქმეში **არ ყოფილა შეთანხმებული გეგმიანი მუშაობა.** აღნიშნული ორგანოები ყველა ნიშნავდა მასწავლებლებს ისე, რომ ეს დანიშვნები არ ემორჩილებოდა არავითარ გეგმას; **ადგილი ჰქონდა აგრეთვე რაიონებიდან გამოქცეულ მასწავლებლების ქალაქებში მოწყობას, ისე, რომ რაიონიდან მასწავლებლები მოხსნილი არ იყვნენ.** ამასთანავე უნდა აღინიშნოს ის მდგომარეობა, რომ უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ მსმენელების რაიონულმა შემრჩევმა კომისიებმა **უმაღლეს სასწავლებლებში მიავლინეს ისეთი პირები, რომელთაც მუშაობის ან ერთი წლის სტაჟი ჰქონდათ ან პედაგოგიურ ტეხნიკუმის ახალ კურს დამთავრებულები იყვნენ** და სხვ.

ყველა ამ მდგომარეობამ გამოიწვია მასწავლებელთა კადრების ნაკლებობა რაიონებში.

სწავლა უკვე დაიწყო, პირველი სემესტრი გადის და ზოგიერთ რაიონებში მასწავლებელთა კადრების ნაკლებობის გამო კიდევ არ დაწყებულა სწავლა, საქ. განსახკომი და რაიგანათლების განყოფილებები არ მიმართავენ გადამჭრელ ზომებს ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად. ძირშივე უნდა აღიკვეთოს ასეთი ოპორტუნისტული უყურადღებობა მასწავლებელთა კადრების განაწილებაში; განათლების სახალხო კომისარიატმა ანგარიში უნდა გაუწიოს მასწავლებლების მოთხოვნილებას რაიონებიდან, **ისეთ მასწავლებლებს, რომლებიც თვითნებურად გაურბიან რაიონებში მუშაობას სასტიკი პასუხი უნდა მოეთხოვოს.**

ა. ლ.

## მასწავლებლების უყოლობის გამო სწავლა ჯერ არ დაწყებულა

(ალბულალ-მანგლისის რაიონი)

ალბულალ-მანგლისის რაიონის სკოლებში კიდევ არ დაწყებულა ნორმალური მეცადინეობა. სკოლების შეკეთება დაუშვებელი ნელი ტემპით მიმდინარეობს. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილების თანახმად სკოლების შეკეთება ზაფხულში უნდა დაწყებულიყო ალბულალ-მანგლისის რაიონში კი უმეტეს სკოლების შეკეთება სწავლის დაწყების წინ დაიწყო.

რაც მთავარია რაიონში არ არის საკმაო მასწავლებლები. განსახკომს, ალბულალ-მანგლისის რაიონის მასწავლებელთა კადრებით უზრუნველყოფისათვის დღემდე ყურადღება არ მიუქცევია. რაიონს აკლია 75 ოთხწლედის მასწავლებელი და 28 მეორე საფეხურის სკოლის მასწავლებლები. აგრეთვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, ის აღმაშფოთებელი მდგომარეობა, რომ **ძველი მასწავლებლები არ ბრუნდებიან თავიანთ სამუშაოზე.** ამათ წინააღმდეგ ადგილობრივ ორგანოებს კი ჯერ კიდევ არ მიუღიათ გადამჭრელი ზომები. საჭიროა სათანადო ორგანოებმა ამ მდგომარეობას ყურადღება მიაქციონ. ალბულალ-მანგლისის რაიონი უნდა უზრუნველვყოთ მასწავლებელთა კადრებით.

სტეფანოვი.

## მათემატიკის მასწავლებელი ლიტერატურასაც ასწავლის

(მარტვილი)

**სოფ. ნახუნოვოს** 7 წლიანი შრომის სკოლა უნუგეშო მდგომარეობაშია. ადგილობრივმა მშრომელმა მოსახლეობამ ააგო—3 თვალიანი სახლი 7 წლედის შენობისათვის, მაგრამ შენობას არ აქვს სახურავი, ჩამოდის წვიმა; ზამთარი მოახლოვდა და სკოლის სახურავის შეკეთებაზე არავინ არ ფიქრობს.

სკოლის შეკეთებისათვის ყოველ წლობით გროვდება ფული, მაგრამ ის უკვალოდ იკარგება. არავინ იცის თუ ვის მიაქვს შეგროვილი თანხები.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ 7 წლედის მასწავლებლები საკმარისი არ ყავთ. მათემატიკის მასწავლებელი ამავე დროს ქართულ ლიტერატურასაც ასწავლის.

დღეს სკოლის შენობა რღვევის პროცესშია. ფული შეგროვილია და სადღაც ქრება, რასაც ყურადღება უნდა მიაქციოს თემის პარტორგანიზაციამ და სოფ. საბჭომ. შეგროვილი თანხა დანიშნულებას უნდა მოახმაროს. რაიგანათლების განყოფილებამ სკოლაში სასწრაფოდ უნდა მოაგვაროს საგნების განაწილება სპეციალობის მიხედვით. სამოსწავლო წელი დაიწყო და ამ საკითხის კვლავ გაჭიანურება საფრთხეს უქადის ნორმალურ სწავლის დაწყებას.

ადგილობრივი.

## ავჭალის ბავშთა ახალშენი უყურადღებოთაა მიტოვებული

ავჭალის ბავშთა ახალშენს არავითარი პრაქტიკული სამუშაო გეგმა არ გააჩნია, არც სამეურნეო და არც სასწავლო აღმზრდელობით დარგში. ახალშენს არავითარი წინასწარი სამზადისი არ ჩაუტარებია ახალი სამოსწავლო წლისათვის. განათლების განყოფილებას ავჭალის ბავშთა ახალშენზე ხელმძღვანელობა ყურადღებიდან „გამორჩა“. თბილისის განათლების განყოფილებამ რაღაცა სუბიექტიური მოსაზრებებით ახალშენიდან თავის განკარგულებაში „გაიწვია“ 4 მასწავლებელი და თბილისში „ბედის ანაბარად“ დასტოვა, ახალშენში კი დარჩა მხოლოდ ორი მასწავლებელ-აღმზრდელი და ისიც დაბალი კვალიფიკაციის. უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ თბილ. განათლების განყოფილება არავითარ მეთოდიურ პროგრამულ ხელმძღვანელობას არ უწევს ავჭალის ბავშთა ახალშენს. ამის გამო აქ შექმნილია ისეთი მდგომარეობა, რომ შეუძლებელია მუშაობის დაწყება; არ არის ბინა შეკეთებული, არ არის სინათლე, წყალსადენი, კანალიზაცია და სხვ. ახალშენში შექმნილ ამ არანორმალურ მდგომარეობის გამოსასწორებლად საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ, ჯერ კიდევ მაისში მიუთითა თბილისის განათლების განყოფილებას, მაგრამ პრაქტიკულად ამ მხრივ ჯერაც არაფერი არ გაკეთებულა. განათლების განყოფილების ინსტრუქტორები **გორგაძე და გეგელიძე** ავჭალის ბავშთა ახალშენზე ხელმძღვანელობის გასაწევად დაკმაყოფილდენ მხოლოდ დაპირებებით. მათ არ გამოურკვევიათ, რომ ახალშენში ყოვლად შეუძლებელია მუშაობის დაწყება. ბინა უვარგისია, ფანჯრები ჩამტვრეული, კედლები საშინლად გაჭვარტლული, არ არის სასწავლო ინვენტარი და სხვ.

მოწაფეებს უხდებათ ქვის იატაკიან ოთახში ყოფნა, სადაც არ არის არც ფეჩები ზამთრისათვის და არც შეშა, მოუგვარებელია მოწაფეთა კვების საქმე და სხვ.

მოუთმენელია ასეთი უყურადღებობა ავჭალის ბავშთა ახალშენზე. საჭიროა განათლების განყოფილებამ გააძლიეროს ხელმძღვანელობა ავჭალის ბავშთა ახალშენზე და პასუხი მოსთხოვოს ისეთ ინსტრუქტორებს, რომლებიც ამ ახალშენზე ხელმძღვანელობას „საჭიროდ არ სცნობენ“.

მეთვალყურე.

## ლამბაშიძე უნდა მოშორდეს საბჭოთა სკოლას

დიდუბის საალმშენებლო საქ. საფ. სკოლაში მასწავლებლად არის ყოფილი გენერალი **არჩილ ლამბაშიძე,** რომელიც უკანასკნელად ვექილობდა. ინტრიგანობისა და მავნებლური მუშაობისათვის ლამბაშიძე რამდენჯერმე იქნა გაძევებული დაწესებულებებიდან, გლეხთა სასახლეში, სადაც იგი იურისტკონსულტად იყო ჩაიდინა მთელი რიგი ბოროტმოქმედებები. გაფლანგა გლეხთა სასახლის კეთილმოწყობის ფონდში შემოსული 200 მან. ვაქცა საბჭოთა აპარატის წმენდას და სხვა. ამის გამო იგი ამხ. ხ. თოდრიას განკარგულებით მოხსნილი იქნა გლეხთა სასახლის იურის-კონსულტობის თანამდებობიდან

მაგრამ დიდუბის საალმშენებლო საქ. საფ. სკოლის გამგე კოზულიძის ძმაბიჭური დახმარებით კვლავ მოკალათდა აღნიშნულ სკოლაში მასწავლებლად. ლამბაშიძემ სკოლაში შემოიღო ნამდვილი სასამართლოს წესები და „ხლესტაკოვიზებური“ რევიზია, მოწაფეებს უყენებს ოქმს, ასამართლებს და სხვ. ამ კომბინაციებით ლამბაშიძემ შესძლო სამუშაო საათების 60-მდე აყვანა. ლამბაშიძის მოქმედებით სკოლიდან მოხსნეს აქტიური მასწავლებლები ცაგარელი, აბაშიძე და ბალანჩივაძე. გამგე მოექცა ვაიძვერა ლამბაშიძის გავლენის ქვეშ.

ლამბაშიძე სისტემატიურად აცდენს გაკვეთილებს, რაც აფერხებს სკოლის საწარმოო გეგმის შესრულებას.

ლამბაშიძის ასეთ თავაშვებულ მოქმედებებზე რამოდენიმეჯერ აცნობეს განათლების განყოფილებას და სკოლის გამგეს, მაგრამ მას არავითარი ზომები არ მიუღია.

საჭიროა მავნებელი ყოფილი გენერალი მოვაშოროთ საბჭოთა სკოლას.

დამკვრელები.

## კულტურული ფრონტის დეზერტირები

**ლაგოდეხი,** (საკ. კორ.) ლაგოდეხის სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმის გამგემ დემონსტრატიულად დასტოვა სკოლა და წავიდა. ამის შესახებ თავის დროზე აცნობეს სათანადო ორგანიზაციებს, მაგრამ ზომები არავის არ მიუღია. გამგის ასეთი მოქმედების მაგალითით მასწავლებელმა **დურდულმაც** მიბაძა. დურდული კომკავშირელია და მისთვის კომკავშირის ადგილობრივ ორგანიზაციას პასუხი უნდა მოეთხოვა, მაგრამ ამისათვის ყურადღებაც არ მიუქცევია. ტეხნიკუმს **შერჩა მხოლოდ ერთი მასწავლებელი—გური სანიკიძე.** რამოდენიმე დღეა აღარც სანიკიძე ჩანს სკოლაში. ამრიგად, ტეხნიკუმი მიტოვებულია სრულიად უყურადღებოდ.

მიწადმოქმედების კომისარიატის კადრების განყოფილება ზომების მიღების მაგიერ გაქცეულ მასწავლებლებს უკეთეს სამუშაოებზე ნიშნავს,

ლაგოდეხის სას. სამ. ტეხნიკუმი უპატრონობის გამო დაშლის გზაზეა დამდგარი. ნიავდება სკოლის მთელი ქონება, იმტვრევა ფანჯრები და სხვა. მოწაფეების მიღება ჯერ არ დაწყებულა. მიღებულ მოწაფეებთანაც არ სწარმოებს მეცადინეობა. რაიგანათლების განყოფილება კი გულდამშვიდებით შესცქერის ყველა ამას.

საჭიროა ამ აღმაშფოთებელ მდგომარეობას დროზე მიაქციოს ყურადღება რაიონულმა ორგანიზაციებმა.

დავ. ლომთაძე.

## დაუკავშიროთ სკოლა წარმოებას

მე-16 შრომის სკოლამ ფართოდ გაშალა მუშაობა „სკოლის დღის“ ჩატარებისათვის. 27 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე სკოლამ მთელი მოწაფეების და პედპერსონალის შემადგენლობით, ლოზუნგებით და პლაკატებით მორთული—მოაწყო მასიური გაცნობა აბრეშუმის საქსოვი ქარხნის, რომელიც მე-16 შრომის სკოლის შეფია. ქარხნის მუშები აღფრთოვანებით შეხვდენ მასწავლებლებს და მოწაფეებს. გაიმართა სახელდახელო მიტინგი, სადაც სიტყვებით გამოვიდენ სკოლის და ქარხნის წარმომადგენლები. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა აბრეშუმის ქარხნის დირექტორი ამხ. შენგელაია, ამხ. შენგელაიამ სკოლას აღუთქვა, რომ მჭიდროდ განამტკიცებს ქარხანა სკოლასთან კავშირს. მოეწყობა სკოლაში პოლიტეხნიკური სახელოსნო, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება საჭირო ინვენტარით, საალმშენებლო მასალით და სხვ.

28 სექტემბერს მიწვეული იქნა მშობელთა თათბირი, სადაც მიღებული იქნა დადგენილება პოლიტეხნიკურ იარაღების შეძენისათვის ფონდის შექმნის შესახებ. ფონდის გაძლიერებისათვის ფართოდ გაიშალა სოც. შეჯიბრება.

29 ოქტომბერს სკოლამ საშეფო სოფელ წავკისში გაგზავნა ბრიგადა „სკოლის დღის“ ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად და დასახმარებლად.

ა. ლ—ი.

# ძროხები

## (ერთი დღე ციხის-ჯვრის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში)

მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობისათვის იშვიათად მოიძებნება სადმე ისეთი მოხდენილი ადგილი, როგორიც არის ციხისჯვარი: მშვენიერი ჰაერი, შესანიშნავი წყალი, საუცხოვო ალპიური საძოვრები და თავსაყრელი საკვები—აი რით არის მდიდარი ეს კუთხე. ციხის-ჯვარი ირგვლივ ნაძვნარშია ჩამჯდარი. ნაძვნარს იქით აღმართული ცხრა-წყაროს გადასავალი და სხვა მრავალი მთები საკვების გამოულეველ მარაგს შეიცავენ. საიდან არ მოდიოდნენ აქ ზაფხულობით პირუტყვს, უამრავი საქონლითაა შეფენილი ყოველთვის ეს მიდამოები.

ასეთ ზედგამოჭრილ ადგილზეა გაშენებული ციხის-ჯვრის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა. ამ მეურნეობას საკმაოდ დიდი ისტორია აქვს. ეს წამოწყება ეკუთვნის ყოფ. დიდმთავარს მიხეილს. მაგრამ როგორც მეფის საგვარეულოდან გამოსული ყოველი წამოწყება, მას განსაკუთრებული ხასიათი ჰქონდა: ის არ იყო ხალხისთვის, ის კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა. ახლომახლო გლეხობა არა თუ არავითარ სარგებლობას არ ნახულობდა ამ მეურნეობიდან, ხშირად მსხვერპლადაც ეწირებოდა მას.

სულ სხვაა ეს მეურნეობა დღეს. საბჭოთა ხელისუფლებამ ის გადააქცია მეცხოველეობის სანიმუშო მეურნეობათ, რომლის მაგალითზეც უნდა ისწავლონ მახლობელ კოლექტიურ და ინდივიდუალურ მეურნეობებმა მეცხოველეობის მოვლა-განვითარება. ამ მხრივ მან დიდი კულტურული როლი უნდა შეასრულოს.

მეურნეობას უჭირავს 859 ჰექტარი, აქედან 600 ჰექტარამდე ტყეა. დაახლოებით 27 ჰექტარი სახნავი მიწაა. სთესავენ უმთავრესად სასილოსე კულტურებს, ხორბლეული კულტურები აქ ვერ ხარობენ, რადგან ადრე იწყება ყინვები და ვერ ასწრებენ დამწიფებას.

წელს მეურნეობამ შეაგროვა 50.000 ფუთამდე თივა, რომელიც მას ეყოფა მომავალ ზაფხულამდე. ამას გარდა, მეურნეობას აქვს დათესილი სასილოსე სიმინდი, ჭარხალი და სტაფილო, რომელსაც ახლო ხანში შეაგროვებენ. ერთ სასილოსე ნახევარ კოშკში უკვე დამჟავებულია 25.000 ფუთი მწვანე საკვები. დანარჩენებიც ელიან ავსებას.

სასილოსე მშენებლობის და გამოცდილების მხრივ ციხის-ჯვრის საბჭოთა მეურნეობას პირველი ადგილი უჭირავს ამიერ-კავკასიაში. ამჟამად მეურნეობაში იდგმება 300 ტონიანი სასილოსე კოშკი, რომლის მსგავსი არ მოიპოვება ამიერ-კავკასიაში. კოშკის სიმაღლეა 12 მეტრი. ამას გარდა, მეურნეობას აქვს ორი ნახევარ კოშკი, თვითეული 25 ტონის ტევადობით, და ერთი ორმო, რომელიც იტევს 11 ტონას.

მეურნეობა უკვე რამდენიმე წელია მისდევს საკვების დასილოსებას. ამ მხრივ მან საკმაო გამოცდილებაც მოიპოვა. მეურნეობა მისდევს დასილოსების ასეთ მეთოდს: ორმოს ან ნახევარ კოშკის ძირში ჰყრიან ბზეს. დაახლოებით 5-6 ვერშოკის სისქეზე. შემდეგ ერთ მეტრზე ჩაყრიან ბალახს. რომელსაც მაგრათ დატენიან, რათა ჰაერი არ დარჩეს შიგ. დატენილ ბალახს ზევიდან მოასხამენ რძის და ყველის ნარჩენებს — წანაქს და ისევ დააყრიან ბალახს ერთ მეტრზე. დატენის შემდეგ ისევ მოასხამენ წანაქს და ასე გრძელდება, სანამ არ აავსებენ ორმოს. სავსე ორმოს ზევით მოაყრიან ისევ ბზის, დაახურავენ ფიცრის რგოლს, ამ რგოლზე დააყრიან წითელ თიხას. დაახლოებით 4 ვერშოკის სისქეზე (ჰაერი რომ არ ჩაუშვას და ქვევიდან გაზები არ ამოუშვას)„ შემდეგ ისევ თიცარს დაახურავენ და დააყრიან ქვებს. წონით 1500-2000 ფუთამდე. ასეთი წესით დამჟავებული საკვები ინახება სამი წელი. პირუტყვი ხალისით ეტანება მჟავე საკვებს.

— დასილოსების ამ მეთოდმა სავსებით გაამართლა თავისი თავი,—აცხადებს ტეხნიკოსი ი. პ. ივანოვი. მთავარია აქ ბალახის მაგრათ დატენა. თუ ჰაერი ჩაიპარა, საკვები ლპება.

ეს ტეხნიკოსი ერთი წლით მოვიდა მეურნეობაში სამუშაოდ. ის მალარიას გამოექცა ბათომიდან. ეხლა ისევ უკან მიისწრაფვის, რათა აჭარისტანშიც გაავრცელოს ეს მეთოდი. სასილოსე მშენებლობაში მას დიდი გამოცდილება აქვს.

⁂

ამჟამად ციხის-ჯვრის საბჭოთა მეურნეობას ყავს **229 სული ძროხა და ხბო.** დაახლოვებით 100 სულს ელიან ნარიანის მეურნეობიდან, სადაც საბალახოთაა თავმოყრილი საქონელი ტრესტის სხვადასხვა მეურნეობებიდან.

ერთხანს მეურნეობაში ფართოდ მოიკიდა ფეხი საქონლის ავადმყოფობამ, მაგრამ სასწრაფოდ მიღებულ ზომებით ავადმყოფობა თითქმის მთლიანად ამოფხვრილია. მეურნეობას ყავს მუდმივი ვეტერინარი ექიმი და მისი თანაშემწე.

მეურნეობის სიამაყეს წარმოადგენს შვეიცარული ჯიშის 9 ბუღა, რომლებიც ერთ ბოსელში არიან მოთავსებული. ყოველ მათგანს ცალკე გალია აქვს მიჩენილი. თვითეულზე შედგენილია ჩამომავლობის დაწვრილებითი ისტორია—ვინ იყო მისი მამა, დედა, რა ჯიშისაა და სხვ. აი მაგალითად, „ტარიელი“, მან დაბადებისთანავე მიიქცია ყურადღება. დაიბადა 63 კილო, მაშინ როდესაც ჩვეულებრივ ხბო დაბადებისას 30 კილოზე მეტს არ იწონის, დღეს „ტარიელი“ ახოვანი და ძლიერია. საერთოდ, ყველა ბუღები იშვიათად კარგად არიან მოვლილი. მათი მხნე გამომეტყველება ცხადათ მოწმობს ამას.

შვეიცარული ჯიშის ბუღებთან ერთად მოთავსებულია ერთი ხევსურული ჯიშის ბუღა და ერთიც ძროხა. გარეგნულად, სიმაღლით და სიმსუქნით ისინი ისე გვანან ერთმანეთს, როგორც ხბო გავს ძროხას. თუმცა წველის მხრივ ხევსურული მთის ძროხა არ ჩამოუვარდება პირველ ხარისხოვან ჯიშებს.

ბუღების ბინაში შესვლის წინ ჩვენ ვიყავით ავადმყოფ ძროხების სადგომში. რომ ფეხით თან არ წაგვეღო ბაცილები, ბუღების ბინაში შესვლის წინ აგრონომმა მოხოვა ფეხსაცმელების ძირი კირით გამეწმინდა. კირი სპობს ბაცილებს. ასე უვლიან არა მარტო ბუღებს, არამედ ყოველგვარ პირუტყვს.

ჩემს იქ ყოფნაში 6 ძროხა ჯერ კიდევ არ იყო გამოთელებული თურქულისაგან. ამას გარდა, ორი ძროხა თურქულთან ერთად დაავადებულია ე. წ. ინფექციური აბორტით. ვინაიდან ეს გადამდები სნეულებაა, ეს ორი ძროხა მოთავსებულია ცალკე და მათ მიჩენილი ყავთ განსაკუთრებული მომვლელი, რომელსაც უფლება არ აქვს შევიდეს ჯანსაღ ძროხების ბინაში, რათა არ გადასდოს მათ სნეულება. ასეთი მოვლის პირობებში მეურნეობა დაცულია ავადმყოფობის გავრცელებისაგან. ავადმყოფ ძროხების გამოთელებაც სწრაფად სწარმოებს.

ყველა ძროხები მოთავსებულია სპეციალურ ბინებში, საძროხეებში, სადაც ისინი სისტემატიური მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან. ერთი საძროხე აგებულია 1889 წელს, როდესაც ციხის-ჯვრის მეურნეობა დიდი მთავრის ხელში იყო. საძროხე პრიმიტიულია. ერთი ონკანით სამი ძროხა სვამს წყალს, რაც ქმნის ავადმყოფობის გადადების საშიშროებას.

ამ საძროხეს გვერდით, უკვე საბჭოთა ხელისუფლების დროს აგებულია მეორე საძროხე, რომელიც ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით არის მოწყობილი. თვითეულ ძროხას თავისი წყალსასმელი ჭურჭელი აქვს, რომელიც ავტომატიურად ივსება; როდესაც ძროხას მოწყურდება, ტუჩით ასწევს წყალსასმელის სახურავს და დალევს წყალს. შემდეგ წყალსასმელი კვლავ აივსება ავტომატიურად. ძროხები აქ იმდენად აღზრდილი არიან „კულტურულად“, რომ თვითონ ახერხებენ თავისი წყურვილის დაკმაყოფილებას.

ერთი საძროხე 82 ძროხისათვის აგებულია მიმდინარე წლის გაზაფხულზე. ამჟამად სწარმოებს მისი შიგნით მოწყობა და საზამთროდ მომზადება. ეს საძროხეც ეწყობა ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. საკვების შემოტანა საძროხეში და უსუფთაობის გატანა იწარმოებს მექანიზაციაქმნილი წესით. საძროხეში გაყვანილია ვიწროლიანდაგიანი რკინის გზა.

ახალი საძროხეების აგების გარდა ჩატარებულია ძველების შეკეთება. მშენებლობა საერთოდ საკმაოდ ფართოდაა გაშლილი. მუშებისათვის აგებულია 5 ახალი სახლი. შენდება ბოსტნეულის შესანახი ფარდული. მშენებლობის გაფართოვებას ხელს უშლის მუშა-ხელის ნაკლებობა. მეურნეობა ვერ შოულობს კალატოზებს და დურგლებს. ამას წინად მეურნეობამ ტუაპსედან გამოიწერა ოთხი დურგალი, მაგრამ ეს დურგლები გზაზე ანდეზიტის წარმოებამ გადაიბირა.

მეურნეობაში სეზონურად მუშაობს 300-დე კაცი, საშუალოდ კი ყოველდღიურად სამუშაოებში ჩაბმულია 100-დე მუშა. მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა უნდა მარაგდებოდეს პირველი კატეგორიით. არ შეიძლება ითქვას, რომ ციხის-ჯვრის კოოპერაცია დამაკმაყოფილებლად მუშაობდეს. სამრეწველო საქონელი არ მოდის დროზე და საკმაო რაოდენობით. ფეხსაცმელი და იაფი ტანსაცმელი იშვიათი სტუმარია ციხის-ჯვრის დახურულ კოოპერატივში.

ვერც სასადილოს მუშაობა იდგა უკანასკნელ დრომდე თავის სიმაღლეზე. მუშა-მოსამსახურეთა მომარაგებაში თვით მეურნეობა ეხმარება კოოპერაციას. სადილების გაუმჯობესების მიზნით მეურნეობამ შეიძინა ცხვრები, რომლებსაც თვითღირებულების ფასებში აძლევს სასადილოს. ამას გარდა, მეურნეობა ყოველდღე აძლევს მუშა-მოსამსახურეებს რძეს, როცა არის—ყველს და კარაქსაც.

მოუგვარებელია სპეცტანსაცმლის გაცემის საკითხი. მიწის მუშებს, რომლებიც მთელი დღე ბარით მუშაობენ, საკუთარი ფეხსაცმლით უხდებათ მუშაობა. ამ ნიადაგზე ადგილი აქვს სამუშაოს მიტოვებას. მეურნეობამ უნდა გამონახოს საშუალება კოლექტიური ხელშეკრულების იმ მუხლის შესასრულებლად, რომელიც სპეცტანსაცმლის გაცემას ეხება.

არც ხელფასის საკითხია სავსებით მოწესრიგებული. გათანაბრების პრაქტიკა ჯერ არ არის მთლიანად ამოფხვრილი. მეურნეობას აქვს საკუთარი ხე-ტყის სახერხი ქარხანა. ამ ქარხანაში დაზგის მუშა იღებს 100 მანეთს თვეში, ამავე დროს დაზგის უფროსი ღებულობს 130 მანეთს. დაზგის მუშათ ყოფნა ყველას შეუძლია, დაზგის უფროსობა კი მოითხოვს ერთგვარ კვალიფიკაციას. განსხვავება კი ხელფასში კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ შრომას შორის მცირეა. ეს შავ მუშას უკარგავს კვალიფიკაციის ამაღლების სურვილს.

რაც შეეხება გაუპიროვნების მოსპობას, ამ მხრივ გადადგმულია სათანადო ნაბიჯები. ყველა მწველელები მიმაგრებული არიან განსაზღვრულ ძროხებზე. მათვე ევალებათ ამ ძროხების მოვლა.

მეურნეობა გადასულია სანარდო სისტემაზე. შრომის აღრიცხვა არ სდგას თავის სიმაღლეზე. მუშები ჩივიან, რომ მათ ეკარგებათ ნამუშევარი დღეები.

სოცშეჯიბრება და დამკვრელობა საკმაოდ ფართოდაა გაშლილი. სოცშეჯიბრებაში ჩაბმულია ყველა, დამკვრელთა რიცხვი კი უდრის 35-ს, მთელი მუშა-მოსამსახურების 40 პროც. ცრუდამკვრელობასაც ჰქონდა ადგილი. მათ რიცხვში აღმოჩნდა სამი კომკავშირელი. მუშებმა მოაწყვეს მათი გასამართლება. ეხლა ორი კარგათ მუშაობს, მესამეც გამოსწორების გზაზეა. საუკეთესო მუშების დასაჯილდოვებლად მეურნეობას აქვს საკმაოდ დიდი ფონდი, მაგრამ ის ჯერ არ არის გამოყენებული.

მეურნეობაში მუშაობს ამხანაგური სასამართლო, რომელმაც სამი თვის განმავლობაში ექვსჯერ მოაწყო გასამართლება. ამხანაგური სასამართლოს მუშაობა ხელს უწყობს შრომის დისციპლინის განმტკიცებას.

ციხის-ჯვრის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა ერთ-ერთი უძლიერესი მეურნეობაა ამიერ-კავკასიის მასშტაბით, მისი გავლენა მახლობელ მეურნეობებზე დიდია. საჭიროა, რომ ეს მეურნეობა სანიმუშოდ გადაიქცეს ყოველის მხრივ. ამისათვის ჯერ კიდევ ბევრი რამ არის საჭირო.

უპირველეს ყოვლისა, **აუცილებელია მეურნეობის მუშა ხელით უზრუნველყოფა.** ამისათვის კი საჭიროა მომარაგების მოწესრიგება. არაფრად არ ვარგა ისეთი მუშაობა, როდესაც ცეკავშირი ციხის-ჯვრის და ნარიანის მეურნეობებში ფეხსაცმელების ნაცვლად გზავნის ორ ყუთ ბავშის ქალამნებს. საიდან აქვს ცეკავშირს ისეთი ინფორმაცია, თითქოს მეურნეობაში მარტო ბავშები იყონ!

ციხის-ჯვრის მეურნეობაზეა დამოკიდებული მთელი ახლო-მახლო კურორტების რძით მომარაგება. მეურნეობა რძეს აწვდის ლიბანს, ცემს, პატარა ცემს, ბაკურიანს, წაღვერს, ბორჯომს და სხვა კურორტებს. მრავალი ავადმყოფის გამოთელება აქ მეურნეობის წესიერ მუშაობაზეა დამოკიდებული. ამიტომ ერთი წუთითაც არ შეიძლება მისი მუშაობის შეფერხება.

ციხის-ჯვრის მეურნეობას აქვს ყოველგვარი პირობა იმისათვის, რომ გაფართოვდეს. საბჭოთა მეურნეობების ტრესტის გეგმით მიმდინარე წლის ბოლოს ძროხების რიცხვი ციხის-ჯვრის მეურნეობაში აყვანილი უნდა იქნას 200-დე, მთელი პირუტყვის რაოდენობა კი 265 სულამდე. მომავალი წლის საკონტროლო ციფრები ითვალისწინებენ ძროხების რიცხვის აყვანას 225-დე და მთელი პირუტყვის ჯოგის გაზრდას 366 სულამდე. ამ გეგმის შესრულება ადვილად შეუძლია მეურნეობას.

ის ყურადღება, რომელსაც იჩენს პარტია და ხელისუფლება მეცხოველეობის განვითარებისა და რეკონსტრუქციისადმი, მოითხოვს მუშაობის გაცხოველებას ამ ფრონტზე. აქ მოწინავე მებრძოლებად უნდა გამოვიდნენ საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობანი. მათ უმოკლეს ვადაში ხორცი უნდა შეასხან პარტიის მითითებებს და დავალებებს. ციხის-ჯვრის საბჭოთა მეურნეობა მოწინავე უნდა იყოს მოწინავეთა შორის.

შალვა გუაჩიძე.

ბაკურიანი.

# საზკვების გაუმჯობესების ერთთვიურის ჩატარებისათვის საჭირო მუშაობა საქართველოში დღემდე არ გაშლილა

## „საქსაზკვება“-ს დაუდევრობით ერთთვიურის რესპუბლიკანური შტაბის საორგანიზაციო სხდომა სამჯერ ჩაიშალა

## მუშაობა არ გაშლილა

საქ. პროფსაბჭოსთან არსებულ მუშათა მომარაგების სექტორმა, საზ კვების გაუმჯობესების ერთთვიურის ჩატარების შესახებ მოიწვია თათბირი, სადაც დამუშავებულ იქნა ეს საკითხი. თათბირის მიერ შემუშავებულია ერთთვიურის ჩატარების გეგმა, როგორც თბილისში ისე რაიონებში.

მუშათა მომარაგების სექტორის ხელმძღვანელობით ადგილებზე გამოიყოფა ბრიგადები, რომელნიც შეამოწმებენ. სანიტარული პირობების, სადილის ხარისხს, სურსათ-სანოვაგის მომარაგების და სხვ. მხრივ არსებულ სასადილოებს.

თბილისში ყველა საწარმოში ჩატარდება მოხსენება საზკვების გაუმჯობესების შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 19 აგვისტოს დადგენილების საფუძველზე

კულტურულ მომსახურეობის მიზნით, განზრახულია საზკვების ერთთვიურთან დაკავშირებით გაიშვას კინოებში ამ საკითხთან დაკავშირებული სურათები.

საქ. პროფსაბჭოსთან არსებული მუშათა მომარაგების სექტორი ყოველ საშუალებას ხმარობს, რომ საზკვების ერთთვიურში გათვალისწინებული გეგმები, რომლის რეალიზაცია უკვე დაიწყო, ბოლომდე იქნეს მოყვანილი.

საქ. საზკვება, საზკვების გაუმჯობესების ერთთვიურის ჩატარების საქმეში **დაუშვებელ გულგრილობას იჩენს.** უკვე გავიდა ხუთი დღე ერთთვიურის გამოცხადების დღიდან და საქ. საზკვებას თათბირი არ მოუწვევია ამ საკითხის დამუშავებისათვის და შემდგომი პრაქტიკული ღონისძიებების გამომუშავებისათვის. 28 სექტ. მოწვეულ იქნა თათბირი, მაგრამ არ შესდგა, იგივე მდგომარეობა განმეორდა 29 სექტემბერსაც და დღესაც თათბირი არ შემდგარა.

საქ. საზკვებას განზრახული აქვს ჩამოაყალიბოს რესპუბლიკანური შტაბი, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს ერთთვიურის ჩატარებას. მაგრამ ეს მხოლოდ განზრახვაა და დღემდე რესპუბლიკანური შტაბი არ ჩამოყალიბებულა.

ამიერ-კავკასიის საზ. კვების მიერ შედგენილია ინსტრუქცია რუსულ ენაზე, ინსტრუქცია გადმოეგზავნა საქ. საზკვებას რაიონებში დასაგზავნად, მაგრამ საქ. საზკვებას დღემდე ეს ინსტრუქცია ქართულად არ უთარგმნიათ,

საქ. საზკვებამ დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ზომები ერთთვიურის გასაშლელად.

ქ. ქ—ძე.

## სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მუშათა კვება უნდა გაუმჯობესდეს

ბორჩალოს რაიონის სამანქანო-სატრაქტორო სადგურში მუშაობს 200-ზე მეტი მუშა-მოსამსახურე. სადგურს აქვს დახურული სასადილო, მაგრამ ის ოდნავადაც არ აკმაყოფილებს მუშათა მოთხოვნილებას. სასადილოს შენობა არის ძლიერ პატარა, როდესაც ერთი წყება სადილობს, მეორე წყება რიგში სდგას და იცდის. ეს იწვევს დროს დაკარგვას. სასადილოს აქვს მიწის იატაკი, რომელიც ოღრო-ჩოღროა. წვიმის დროს მუშებს უცურდებათ ფეხი და ვარდებიან იატაკზე. ამ მდგომარეობას გამგე კარგად ხედავს, მაგრამ სასადილოს გაფართოებაზე არ ზრუნავს. სასადილოში არ კეთდება კარგი ხარისხის კერძები.

სასადილოში აკლიათ თეფშები, კოვზები, და სხვა ინვენტარი. „საქსაზკვებას“ ბორჩალოს სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მუშებისათვის ივნისის შემდეგ არ გაუგზავნია კუთვნილი პროდუქტები; არც სამრეწველო საქონლის მომარაგება-განაწილების საქმეა მოგვარებული.

პურის დარიგების დროს ადგილი აქვს მეტად აღმაშფოთებელ ფაქტს. პურის გაცემა ყოველგვარ ნორმის გარეშე სწარმოებს, ვინც ადრე მივა, ის მიიღებს 2—3 კილოს და ვინც გვიან მოვა, ის ხშირად უპუროდ რჩება.

პურის გამყიდველი **კაზუროვი** აცხადებს, რომ „პურის გაცემისათვის ადმინისტრაცია არ მაძლევს მუშა-მოსამსახურეთა სიას“.

ამ არანორმალურ მდგომარეობის გამო წარმოებაში ადგილი აქვს მუშათა ცვალებადობას. რაიონის „საზკვებას“ მთელი თავისი ყურადღება მიპყრობილი აქვს მუშათა კვების გაუმჯობესებისაკენ, მაგრამ ის მარტო უძლურია, ამ საქმეში, რადგან ცენტრი სათანადოდ არ უწყობს ხელს.

„საზკვება“-ს გამგეობამ თავის მორიგ ამოცანად უნდა დაისახოს ბორჩალოს სატრაქტორო სადგურის მუშათა კვების გაუმჯობესება.

ნოე კიკნაძე.

## რესტორანია, თუ კოოპერატიული სასადილო?

(სიღნაღის რაიონი)

სოფ. ვაქირში საზოგადოებრივი კვების საქმე არ არის სათანადო დონეზე დაყენებული, მიუხედავად იმისა, რომ საამისო პირობები არის.

სასადილოში ძალიან უსუფთაობაა: იატაკი არ ირეცხება, მაგიდები გაუწმენდელია და სხვა. ამ გარემოებას არავინ არ აქცევს ყურადღებას. სასადილო მოთავსებულია პატარა ოთახში; ის ვერ აკმაყოფილებს ადგილობრივ მოთხოვნილებას. სასადილო სადილობის დროს ივსება ხალხით და იმდენად პატარაა ოთახი, რომ სუნთქვა სჭირს. სასადილოში რამდენიც არუნდა მოითხოვოთ ღვინო, იძლევიან, რის გამოც ძალიან ხშირია შემთხვევები, როცა სასადილოში იმართება ქეიფი, რასაც მოჰყვება ჩხუბი და სხვ. ასე, რომ სოფ. ვაქირის კოოპერატიული სასადილო უფრო რესტორანს ჰგავს. ადგილობრივი ორგანოები ამ გარემოებას არ აქცევენ ყურადღებას. საჭიროა უფრო გავამახვილოთ ყურადღება და სოფ. ვაქირის სასადილოში [illegible] შემთხვევებს ბოლო მოუღოთ.

ქ. ქ—ლი.

## კვებაზე არ ზრუნავენ

საბჭოთა მეურნეობა „ანარიას“ მუშათა დახურულ კოოპერატიულ სასადილოში არ არის ყველაფერი თავის რიგზე. რაიონის ხელმძღვანელობა სასადილოზე სუსტია. მათი „ხელმძღვანელობა“ გამოიხატება მხოლოდ სასადილოს მიერ ნავაჭრ ფულის მიღებაში. სურსათ-სანოვაგით სასადილო არ არის მომარაგებული, სადილის ხარისხის გასაუმჯობესებლად არავინ ზრუნავს.

მიუხედავად იმისა, რომ ბოსტნეულის საკმაო რაოდენობით შეძენა შეიძლება, აქ საჭმელი მაინც ყოველთვის ერთფეროვანია თითქმის ყოველ დღე კეთდება სასადილოში სადილათ ბადრიჯანი და პამიდორი, ისიც უსუფთაოდ და უგემურად.

სასადილოს მომშრომლები სრულიად შეუფერებელი არიან ამ საქმისათვის. [illegible] და [illegible]—აი რა ახასიათებს მათ.

მეურნეობის დირექციას აქვს საშუალება კვების გაუმჯობესებისათვის მაგრამ კოოპერაციის ხელმძღვანელობის გამო, ეს საქმე ვერ იქნა მოგვარებული.

დღეს „ანარიის“ მუშკოოპის ხელმძღვანელობა შეცვლილია ახალი მუშაკებით, მაგრამ ეს არ კმარა, საჭიროა რაიონის ხელმძღვანელობის გაჯანსაღებაც.

კომუნარი.

## სადილების ხარისხს ყურადღება არ ექცევა

(სიღნაღის რაიონი)

სოფ. ტიბაანის კოოპერატიულ სასადილოში ყველაფერი რიგზე არ არის.

ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა სასადილო დღეობით გამოკეტილია. ანდა, როცა სასადილო დილით ღიაა, მაშინ საღამოობით დაკეტილია და პირიქით.

სასადილოში გამეფებულია ანტიჰიგიენური პირობები. არ ირეცხება ჭურჭელი, რადგან წყალი შორიდან აქვთ მოსატანი და იქ წასვლა კი ეზარებათ.

სასადილოს გამგის დაუდევრობით ძალიან ხშირად აქვს ადგილი სადილობის დროს პურის უქონლობას. პური ტიბაანში არ ცხვება, ის სოფ. მაჩხაანიდან მოაქვთ. გამგემ ვერ შესძლო, რომ პურით მოემარაგებია სასადილო, რის გამოც ძალიან ხშირად მოსადილეებს სადილის დროს პური აკლდებათ. სასადილოს ახლოს ჰყრია სხვადასხვა ნაგავი; ნაგავი ლპება და იქნება ანტისანიტარული პირობები.

სადილის ხარისხი ცუდია ასეთ უპასუხისმგებლობას, უნდა მოეღოს ბოლო. ტიბაანში კვების საქმე უნდა გაუმჯობესდეს.

ქ.

## მოვითხოვთ კვების გაუმჯობესებას

ხონის ძაფსალებ ფაბრიკაში საზ. კვება სუსტია: მიუხედავად იმისა, რომ ბევრჯერ დაგვპირებიან სათანადო ორგანოები. კვების გაუმჯობესების შესახებ. ამ დარგში მაინც არაფერი არ გაკეთდა. ხონის ძაფსალებ ფაბრიკებში მუშაობს 800 მუშა მოსამსახურე, რომელთაც ხონის კოოპერაცია სუსტად ემსახურება. ამჟამად კოოპერაციას განაგებს იოსებ რუხაძე, რომელიც მუშათა კვების საკითხს უყურადღებოდ ეკიდება. როდესაც რუხაძესთან მოვიდა მუშების წარმომადგენელი მომარაგების დარგში ამხ. გორდაძე, რუხაძემ მას მუშების სახელით სურსათის მოთხოვნისათვის დაჭერით დაემუქრა და პროვოკატორი უწოდა.

მეთვალყურე



შირაქი, მოძრავი სამზარეულო მინდვრად

## სახელმწიფო გამომცემლობის მუშაობა უნდა გარდაიქმნას

(პროლეტმწერალთა ბრიგადის მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგები)

საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის სპეციალურმა ბრიგადამ გამოიკვლია სახ. გამომცემლობის მუშაობა მხატვრულ და საბავშო ლიტერატურის გამოცემის დარგში. 23 სექტემბერს შესდგება პროლეტმწერალთა ასოციაციის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა, რომელმაც მოისმინა ამხ. ს. ხუნდაძის მოხსენება სახელგამის მუშაობის შესახებ.

სახელმწიფო გამომცემლობა,—სთქვა მომხსენებელმა,—წინად წიგნის გამოცემას სტიქიურად აწარმოებდა. პარტიის ხელმძღვანელობის გაძლიერების შედეგად კი დღეს იგი უკვე წიგნის შემქმნელია. მიღწევებთან ერთად სახელგამს აქვს საგრძნობი დეფექტებიც, რაც ნაწილობრივ გამოწვეულია იმით, რომ სახელგამის რეორგანიზაციას თითქმის მუდმივი ხასიათი აქვს. აგრეთვე სახელგამის მუშაობას აბრკოლებს ისიც, რომ მას სათანადოთ არ აფასებენ და არ ეხმარებიან ზოგიერთი ორგანიზაციები. ამის დასამტკიცებლად საკმაო აღვნიშნოთ, რომ ზოგ რაიონში ჩვენს პუნქტებს პირდაპირ ქუჩაში ყრიან (ქუთაისი, ხობი).

სოციალისტურ მშენებლობის ზრდასთან ერთად არაჩვეულებრივად იზრდება მოთხოვნილება წიგნზე. 1929 წელს სახელგამმა გამოსცა 382 სახელწოდების წიგნი 603.000 ტირაჟით, რომლის ანაბეჭდი 8.870.000 თაბახს აღემატებოდა.

1930 წელს, გამოვიდა 508 სახელწოდების წიგნი 2.702.000 ტირაჟით და 19.100.000 ანაბეჭდით

წელს უნდა გამოვცეთ 1103 სახელწოდების წიგნი, ამ წიგნების ტირაჟი იქნება 5.805.000 ცალი, ხოლო ანაბეჭდი აღემატება 47 მილიონს.

წინასწარი გეგმით, გაისად 1932 წელს, განზრახულია გამოიცეს ორი ამდენი სახელწოდების წიგნი, რომელთა ანაბეჭდი ნავარაუდევია 83.000.000 თაბახის რაოდენობით.

კერძოდ ფართოვდება მხატვრული ლიტერატურის გამოცემის საქმე, მაგრამ წელს ამ მხრივ გვაქვს მეტად დიდი ჩამორჩენა. ეს გამოიწვია იმან, რომ ჩვენ პირველ რიგში დავიწყეთ სახელმძღვანელოების ბეჭდვა, რათა სკოლებში მეცადინეობა არ შეფერხებულიყო, როგორც შარშან მოხდა, პოლიგრაფიული ბაზა კი ვერ აუთავდებოდა ყველა დარგის ლიტერატურის ერთად დამზადებას.

სახელგამის მუშაობის ერთ-ერთ დადებით და დიდ მიღწევას წარმოადგენს მარქს-ენგელსის და ლენინის ნაწერების გამოცემა.

უკვე გამოვიდა ლენინის თხზულებათა 6 ტომი, იბეჭდება და წელს გამოვა კიდევ ორი ტომი. ლენინის სრული ნაწარმოების გამოცემა დამთავრდება 1933 წელს. გარდა ამისა, წელს დაიწყება ლენინის რჩეული ნაწერების 6 ტომის გამოცემა 70.000 ტირაჟით. ეს წიგნები აიწყობა თბილისში, ხოლო დაიბეჭდება მოსკოვში მატრიცების გადაგზავნის საშუალებით.

გადაწყვეტილია მარქს-ენგელსის სრული ნაწერების გამოცემა, რისთვისაც სახელგამთან ჩამოყალიბებული იქნება სპეციალური კაბინეტი.

შემდეგ მწერალთა ბრიგადის სახელით თანამომხსენებით გამოვიდა ამხ. **სიმონ წვერავა.**

სახელმწიფო გამომცემლობას—ამბობს წვერავა,—საერთოდ თვალსაჩინო მიღწევები აქვს, მაგრამ აქვს მრავალი ნაკლოვანებებიც, განსაკუთრებით მხატვრულ ლიტერატურის გამოცემის დარგში. ეს აბრკოლებს თვით პროლეტარულ მწერლობის განვითარებას და ხელს უშლის პროლეტარულ მწერლობის ჰეგემონიისათვის ბრძოლაში.

სახელმწიფო გამომცემლობამ გეგმით წელს უნდა გამოსცეს 109 სახელწოდების მხატვრული წიგნი, აქედან დღემდე, მესამე კვარტალის დასასრულს, გამოცემულია მხოლოდ 15 წიგნი, რომლიდანაც ნახევარზე მეტი თარგმნილი ლიტერატურაა. აღსანიშნავია, ისიც, რომ წლიურ გეგმაში შეტანილია გამოსაცემად პროლეტმწერლების მარტო 22 სახელწოდების წიგნი.

მხატვრულ ლიტერატურის გამოცემის გეგმა საერთოდ ზერელედ, შემთხვევით დგება. მიმდინარე წელს გეგმა შედგენილია რეკონსტრუქტიულ პერიოდის მოთხოვნილებათა გაუთვალისწინებლად, მასალების თემატიური დალაგების გარეშე. ამ საქმეში სახელგამი მთლიანად დაყრდნობილია თვითდინებას. სარედაქციო კოლეგია წელიწადში ერთხელ იკრიბება და მაშინაც მხოლოდ „ადასტურებს“ გამოცემულ წიგნების სიას.

სახელგამი არ ზრუნავს იმაზე, რომ დამუშავებულ და გამოცემულ იქნას წიგნები მთავარ საბრძოლო ხასიათის თემებზე. სახელგამი გაურბის მწერლებისათვის დაკვეთების მიცემას, არ გზავნის მათ ქარხნებში, სოფლად და სხვ.

ჩვენ კარგად ვიცით, თუ რა მნიშვნელობა აქვს დამკვრელ მუშების მწერლობაში გაწვევას, მაგრამ ეს არ ესმის სახელგამს, მას დღემდე არც ერთი დამკვრელი მუშის წიგნი არ გამოუცია. უფრო მეტი, მწერლობაში გაწვეულ დამკვრელ მუშათა შემოქმედების კრებული, რომელიც 2 თვის წინად გადაეცა სახელგამს, დღესაც არაა დაბეჭდილი. დამკვრელი მუშების შემოქმედებითი ინერგიის შეუფასებლობა, რომელიც სახელგამს ახასიათებს წარმოადგენს მემარჯვენე ოპორტუნიზმს პრაქტიკაში.

პერიოდულ გამოცემების საკითხი მოუწესრიგებელია. ჟურნალები არ გამოდის სისტემატიურად, განსაკუთრებით სრულებით „ალალბედზეა“ მიტოვებული როგორც წიგნების, ისე ჟურნალების გავრცელების საქმე. წიგნი არ მიდის მასამდე. დაბეჭდილი წიგნი და ჟურნალები წლობით აწყვია საწყობში. ასეთ დაუდევრობის გამო ჟურ. „პროლეტმწერლობა“ მთელ საქართველოში მხოლოდ 2500 ცალი ვრცელდება. „მნათობი“—2000 ცალი, „პიონერი“—3.700 ც., (ეს მაშინ, როცა საქართველოში 162.000 პიონერია). სახელგამს წიგნის გამავრცელებელი აპარატი სრულებით არ უვარგა. სხვაფრივ არ შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ ბათომში „მნათობს“ მხოლოდ 4 ხელის მომწერი ჰყავს. ასე თითო-ოროლა ცალობით ვრცელდება ის სხვა რაიონებშიაც.

წიგნის გამყიდველები დაუდევრობას იჩენენ. მათი უმრავლესობა არ იცნობს წიგნს, არ იცის წიგნის კულტურა, ვერ ახერხებს მკითხველის შერჩევას. კიდევ მეტი. გამყიდველებმა ხშირად არც ის იციან, თუ რა წიგნი აქვთ მაღაზიაში. სახელგამი კი არ ცდილობს წიგნის გამყიდველთა შორის უვიცობის აღმოფხვრას.

სუსტია მეზობელ ერთა მწერლობის თარგმნა. მას შემთხვევითი ხასიათი აქვს.

რედაქცია, კორექტურა, წიგნის ტეხნიკური გაფორმება არ სდგას სათანადო სიმაღლეზე. ამ დარგში ადგილი აქვს ბევრ კურიოზულ ფაქტსაც.

საბავშო მწერლობის საქმეს არ ეტყობა სახელგამის ხელმძღვანელობა და მზრუნველობა, რაც ყოვლად შეუწყნარებელია. საბავშო ლიტერატურა მოზარდ თაობის სოციალისტური აღზრდის ძირითადი საშუალებაა, ამიტომ მისი ეხლანდელ მდგომარეობაში დატოვება არ შეიძლება.

როგორც ბავშთა, ისე მოზრდილ მკითხველთა შორის არავითარი მასიური მუშაობა არ სწარმოებს, არც კონტაქტია მათთან. საბავშო მწერლობის ახალი კადრების მოზიდვა და მათთან მუშაობა სუსტია.

წიგნის უკეთესად და თავის დროზე გამოცემის მიზნით ტეხნიკურ მომუშავეთა შორის არაა გაშლილი სოცშეჯიბრება და დამკვრელობა. ყველა ეს დეფექტები დაუყოვნებლივ უნდა იქნენ აღმოფხვრილნი და როგორც მხატვრულ ლიტერატურის. ისე საბავშო მწერლობის გამოცემის საქმე უნდა გახდეს სახელგამის ერთ-ერთ მთავარ საზრუნავ საგნად“.

მოხსენებათა ირგვლივ გაიმართა ცხოველი კამათი, რომელიც ორ დღეს გაგრძელდა. კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ სახელგამის აპარატის მოუქნელობას, მხატვრულ ლიტერატურისადმი უყურადღებობას, ზოგიერთ თანამშრომლების პირად მოვალეობის ცუდად, ან სრულებით არ შესრულებას.

განსაკუთრებით შეეხნენ პოლიგრაფიულ ბაზას. დღითი-დღე იზრდება გამოცემათა რაოდენობა და მათი ტირაჟი, არსებული სტამბები კი ვერ აკმაყოფილებენ ამ გაზრდილ მოთხოვნილებას. სახელგამს ჯერ არ მიუღია ზომები პოლიგრაფიული ბაზის გასაფართოებლად და ამ დარგში შექმნილ დაბრკოლებათა გადასალახავად. პირიქით, სახელგამი ვერც იმ პოლიგრაფიულ ბაზას იყენებს რაციონალურად, რომელიც მის განკარგულებაშია.

კამათის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც დასახულია პრაქტიკული ღონისძიებები გამომცემლობის საქმის გასაჯანსაღებლად. რეზოლიუციაში განსაკუთრებით ხაზგასმულია მხატვრული ლიტერატურის სექტორის ცალკე ორგანიზაციულად გამოყოფის საჭიროება, მისი სახელგამის საერთო ხელმძღვანელობის ქვეშ დატოვებით.

## ამიერ-კავ. ქალაქების სოც. დაგეგმვისათვის

ა.-კ. ქალაქების დაგეგმვა, ქალაქ ბაქოს და სოხუმს გარდა, უნუგეშო მდგომარეობაშია. ბაქოში ეს საკითხი დასმულია და განხილვის პროცესში იმყოფება, ხოლო სოხუმში უკვე ჩატარებულია გეოდეზიური სამუშაო და შედგენილია დაგეგმვის სქემა რუს. ს. ფ. ს. რ-ის ქალაქებისა და საცხოვრებელი სახლების პროექტების შემდგენი სახელმწიფო ინსტიტუტის მიერ, ამ.-კავკასიის არც ერთ დანარჩენ ქალაქს არავითარი გეგმები არ მოეპოვება.

თბილისში გეგმის გადაღება კუს ნაბიჯით მიმდინარეობს. თბილისის აღმასკომის ძირითად შეცდომად ამ საკითხში ის უნდა ჩაითვალოს, რომ დაგეგმვას არ შესდგომიან გეოდეზიური სამუშაოს ჩატარების მოლოდინში. ამჟამად თბილისის აღმასკომი შეუდგა დაგეგმვას, მაგრამ მას არ ჰყავს საკმაო ძალები. საჭიროა საზოგადოებრიობის ინიციატივის გამოყენება და ამ საქმეში საუკეთესო სპეციალისტების ჩაბმა.

განჯაც აგრეთვე შეუდგა დაგეგმვას, მაგრამ მან ანგარიში არ გაუწია რაიონულ დაგეგმვას, რაშიაც შედის დაშკესანი და ჩირაგიძორი.

დაგეგმვის დარგის სპეციალისტების უყოლობა მეტად საგრძნობი ხდება მუშებით დასახლებულ იმ პატარა სოფლებისა და ქალაქების დაგეგმვისათვისაც, რომელნიც იქმნებიან მრეწველობის ზრდასთან და სოფლის მეურნეობის ტეხნიკურ რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით. დაგეგმვის დავალება სათანადოთ არ მუშავდება. თვით დაგეგმვას ზერელე ხასიათი ეძლევა. ამის მაგალითია ანდეზიტის ქალაქის მუშებით დასახლებული ადგილების — ჩირაგიძორისა და ფერო-მარგანეცის ქარხნის დაგეგმვა.

სამწუხაროა, რომ, მაგალითად, თბილისისა და ბაქოს მშენებლობა მიმდინარეობს ან დაუმტკიცებელი ძველი გეგმის თანახმად, ან კიდევ პრიმიტიული სქემის მიხედვით, რომელსაც არ მოეპოვება არავითარი დასაბუთება. უნდა ვიმედოვნოთ, რომ ა.-კ. კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატთან ქალაქებისა და საცხოვრებელი სახლების პროექტების შემდგენი სახელმწიფო ინსტიტუტის დაარსების შემდეგ (რაც ახლა ხდება) დაგეგმვის საკითხს სათანადო მიმართულება და ტემპები მიეცემა.

ნაგებობათა ა.-კ. ინსტიტუტი განიცდის სამეცნიერო მუშაკთა კადრების ნაკლებობას დაგეგმვის დარგში, რაც საშუალებას არ აძლევს მას სავსებით გაშალოს მუშაობა, მიუხედავად ამისა, ინსტიტუტი ამუშავებს ამჟამად გარდამავალი ტიპის კოლექტიური ბინებისა და თვით ქალაქთა დაგეგმვის პრობლემას. ინსტიტუტი გამოუშვებს დავალებებს კოლექტიური საცხოვრებელი სახლებისათვის ტიპიური პროექტების შესადგენად (ადს).

# რა ხდება ადგილებზე

### „სოიუზტაბაკ“-ის საფერმენტაციო ქარხნები დატვირთულია

**სოხუმი,** 28 სექტემბერი. „სოიუზტაბაკ“-ის საფერმენტაციო ქარხნები სავსებით დატვირთული არიან. სულ ფერმენტაციაში გატარდა 757 ტონა თამბაქო, რომელიც ადრე იყო დამზადებული. ამ დღეებში დაიწყება კამერების განტვირთვა და თამბაქოს გაგზავნა მრეწველობისათვის. სულ გაიგზავნება 1931 წლის მოსავლის 25 ვაგონი თამბაქო. (ადს).

### აჭარის სამანქანო-სატრაქტორო სადგური ცუდად მუშაობს

**სტალინისი,** 29 სექტემბერი. აჭარის სამანქანო-სატრაქტორო სადგური ძალიან ჩამორჩა მოსავლის აღების და გალეწვის საქმეში სულ სადგურს უნდა აეღო და გაელეწა 4.357 ჰექტარის მოსავალი. მოსავლის აღების გეგმა სადგურმა შეასრულა 37 პროცენტით, გალეწვის გეგმა—მხოლოდ 17 პროცენტით. არ არის შესრულებული აგრეთვე ნასვენი მიწის მოხვნის გეგმა. 4.374 ჰექტარის ნაცვლად მოხნულია — 3.535 ჰექტარი (81 პროც.).

სადგურის მოსამსახურეთა შორის შრომის დისციპლინა ძალიან დაცემულია მანქანებს უყურადღებოთ ეპყრობიან, რის გამოც მანქანები ფუჭდება და ცდება; საწვავ მასალას უთავბოლოთ ხარჯავენ.

ცუდი მუშაობისათვის თანამდებობიდან მოიხსნა სადგურის დირექტორის მოადგილე სიხარულიძე და საყვედური გამოეცხადა დირექტორს ზობლიძეს (ადს).

### ჩაშალეს სილოსების მშენებლობა

**სამტრედია,** 29 სექტემბერი. რაიონული და ადგილობრივი ორგანიზაციები ძალიან ცოტა ყურადღებას აქცევენ სილოსების მშენებლობას. რაიონში აგებულ უნდა იქნას 8 კოშკი და 70 ნახევარკოშკი. აქამდის არაფერი არ არის გაკეთებული (ადს).

### უნდა მოწესრიგდეს პურის პროდუქტების განაწილება ტეხნიკურ კულტურების კონტრაქტანტებს შორის

**სოხუმი,** 29 სექტემბერი. პურის პროდუქტების განაწილება ტეხნიკურ კულტურების კონტრაქტანტებს შორის ყოვლად უმსგავსოდ მიმდინარეობს. „სოიუზხლებ“-ი პურის პროდუქტების გაცემას შეუდგა დაგვიანებით, სექტემბრის პირველ რიცხვებში. აფხაზეთის ტეხნიკურ კულტურათა კავშირი არ მოემზადა კონტრაქტანტების მომარაგებისათვის და აფხაზეთის სამომხმარებლო კოოპერატიულ კავშირს გადასცა განრიგი მხოლოდ ინდივიდუალურ სექტორისათვის, საკოლმეურნეო სექტორი კი სრულებით დაავიწყდა. აფხაზეთის კოოპკავშირმა თავის მხრივ არ აცნობა სოფლის სამომხმარებლო საზოგადოებებს პურის გაცემის დაწყების შესახებ და არ მოამზადა ტრანსპორტი პურის რაიონში გადასაზიდათ. ყოველივე ამის შედეგად, არც ერთი კოლმეურნეობა არ ღებულობს პურის პროდუქტებს.

საჭიროა, რათა მუშგლეხინი და პროკურატურა დაუყოვნებლივ ჩაერიონ კონტრაქტანტების პურით მომარაგების საქმეში და პასუხისგებაში მისცენ ისინი, ვისაც დანაშაული მიუძღვის ამ საქმის ჩაშლაში. (ადს).

გაზეთ „За Комунистическое просвещение“-ს

საორგანიზაციო ბრიგადა 3 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე. ნორჩ მაყურებელთა თეატრში (რუსული სექტორი), პლეხანოვის პროსპ. 103, ჩაატარებს

გაზ. „За Комунистическое просвещение“-ს ყველა მუშკორების **პირველ კრებას**

სავალდებულოა ქალაქ თბილისის ყველა სკოლების მუშკორთა დასწრება

გაზ. „З. К. П.“-ს საორგანიზაციო ბრიგადა:
მ. კასუმოვა, ხ. პანიციდი (განათ მუშაკთა კავშ. ც. გ) პრაკოპაშვილი (სადგ უფრ. თანაშემ.), ეკ. ვაილო და ვახერმანი („За К. П.“).

# წითელ ჯარში

## მორიგი გაწვევა წარმატებით მიმდინარეობს

## წელს მუშურ-გლეხური არმიის რიგები მიიღებს ფიზიკურად ჯანსაღ და კლასიურად შეგნებულ ცვლას

### გაწვევის მიმდინარეობა თბილისში

თბილისის რაიონებში გაწვევა დაიწყო 6 სექტემბრიდან. წინასწარ ჩატარებულ მოსამზადებელ მუშაობის შედეგად გაწვევა წარმატებით მიმდინარეობს. ყველა ახალწვეულებს თავის დროზე დაეგზავნათ უწყებები. გასაწვევი პუნქტი მოეწყო იმდაგვარად, რომ უზრუნველყოფილია კომისიის ნაყოფიერი მუშაობა. პუნქტზე მუშაობენ საზოგადოებრივი და კოოპერატიული ორგანიზაციები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია გასაწვევ ახალგაზრდობის მაღალი დისციპლინა და შეგნება. ქალაქის რაიონები ცხადდებიან პუნქტზე მუსიკით, ლოზუნგებით.

კარგ შედეგებს იძლევა ახალწვეულთა საექიმო შემოწმება. წელს ცვლა უფრო ჯანსაღია, მაგარი და ფიზიკურად განვითარებული, ვინემ წინა წლებში. გაწვევის ვადის გაგრძელების და დაწუნების შემთხვევები მცირეა.

გამოცხადება ასპროცენტიანია. ბევრი გამოწვევის გარეშეც მოდის. პუნქტზე სამი კომისია მუშაობს, ყოველდღიურად ოთხასამდე ახალწვეულს ატარებს.

კომისიის შესვენების დროს ახალწვეულები კლუბში ატარებენ დროს. იქ ეწყობა კონცერტები, დეკლამაციები, სატირა საყოფაცხოვრებო და პოლიტიკურ თემებზე და სხვა. ყოველივე ეს ახალწვეულებში დიდ დაინტერესებას იწვევს.

გასინჯვის მოლოდინში ახალწვეულები ათვალიერებენ თავდაცვა-ავიაქიმის, ავტოგზის, ფიზკულტურის და რადიოს მეგობართა საზოგადოებების კუთხეებს, სადაც მათ სათანადო ახსნა-განმარტებას აძლევენ.

პროფსაბჭოს და პოლიტგანათლების მიერ მოწყობილ სამკითხველოებში არ მოიპოვება ლიტერატურა სომხურ და თურქულ ენებზე, სამხედრო ლიტერატურა ძალზე ცოტა რაოდენობითაა და მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს.

ეს ნაკლოვანება, რაც შეიძლება მალე უნდა გამოსწორდეს. ჯარში გაწვევა უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკური კამპანიაა. ამიტომ პუნქტის მუშაობას უნდა შეუქმნათ ხელშემწყობი პირობები.

ჯერჯერობით წარმოებული მუშაობა მოწმობს იმას, რომ გაწვევის საერთო შედეგი კარგი იქნება. წითელი არმია წელს მიიღებს ფიზიკურად ჯანსაღ და პოლიტიკურად მტკიცე ცვლას.

### შეგნებულად შეხვდენ გაწვევის დღეს

სამტრედიის რაიონში წინასწარ ჩატარებულ იქნა სამზადისი 1909 წ. დაბადებულ ახალგაზრდობის გაწვევისათვის. შედგენილი იქნა გეგმა პრაქტიკული ღონისძიებით, რომელიც დაეგზავნა სხვადასხვა ორგანიზაციებს. გეგმა ითვალისწინებდა კომისიების შექმნას და სხვადასხვა ორგანიზაციების მოვალეობებს გაწვეულთა შესახვედრად. გამოიყო „მსუბუქ კავალერიის" შტაბი, ორგანიზაციებში წარმოებულ მუშაობის გამოსაკვლევად. გასაწვევ პუნქტზე მოეწყო სამხედრო კუთხე, სამკითხველო, სანიტარული კუთხე, სასროლო მოედანი და ცნობათა მაგიდა, რომელსაც ხელმძღვანელობდა თადარიგის აქტიური მეთაური ამხ. მიქელაძე.

15 სექტემბერს შეკრების მოადანი განსაკუთრებული ზეიმით შეხვდა ახალწვეულთ. დილით ადრე ქალაქის სიწყნარე დაარღვია ახალწვეულთა სიმღერამ, რომლებიც დროშებით მიეშურებოდნენ გასაწვევ წერტზე. ამუშავდა ცნობათა მაგიდა. ამხ. მეთაურო თუ შეიძლება წითელ ჯარში მოხალისეთ გასვლა?" „შეიძლება თუ არა უარი განვაცხადო შეღავათზე და კადრში მოვხვდე"— ასეთია ბევრი ახალწვეულის შეკითხვა.

შეკითხვები ყურადღებას იპყრობს თავისი შინაარსით.

გაისმა ხმა: „წვეულთაგან მსურველებს შეუძლია ჩაეწერონ სროლის შეჯიბრებაში".

უმრავლესობა ეწერება. სროლის დროს გამოყოფილი სამხედრო ხელმძღვანელის მიერ ჩატარებულ იქნა წინასწარი საუბარი სროლის წესებზე. სროლა დიდი ინტერესით ჩატარდა. ჯილდო მიეცა ახალწვეულს მიხეილ გიგავას, რომელმაც საუკეთესოდ შეასრულა სროლის პირობები.

წვეულთა გამოცხადება 100 პროცენტს უდრის. სიმთვრალეს და სხვა უწესრიგობას ადგილი არ ჰქონია.

ყველა შეგნებულად შეხვდა გაწვევას საქმეს. გაწვევა დამთავრდა 21 სექტემბერს.

გამწვევთ კომისიის თავმჯდომარე ამხ. იმერლიშვილმა და სამხედრო მაგიდის უფროს ამხ. ასათიანმა დიდი ენერგია გამოიჩინეს გაწვევის ჩატარების საქმეში.

ქ.

### გაწვევა დუშეთის რაიონში

1909 წელში დაბადებულ მოქალაქეთა ჯარში გაწვევის კამპანია დუშეთის რაიონში 20 სექტემბერს, დაიწყო.

დილის შვიდ საათზე უკვე ამხაურდა რაიონის სამხედრო კომისარიატის გასაწვევი პუნქტი. ყოველ მხრიდან მომართებიან ახალგაზრდები, მათი ცხოველი და მხნე სიმღერები მოწმობს, რომ ახალწვეულთა განწყობილებაც მხნე და ჯანსაღია. ახალწვეულები სიხარულით ეგებებიან და აცილებენ მათ სიმღერაზე გამოღვიძებული მოქალაქეები.

შესაკრებ პუნქტზე მზად არის სამკითხველო სათანადო ლიტერატურით, ფიზკულტურის კუთხე და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ორგანიზაციების წარმომადგენლები გასაწვევ კომისიაში გულგრილად ეკიდებიან საქმეს. ისინი სხდომებზე ან სრულებით არ ესწრებიან, ან და ძალზე იგვიანებენ. კომისიის მუშაობის პირველ დღეს არ გამოცხადდა პროფკავშირების წარმომადგენელი, ხოლო აღმასკომის წარმომადგენელმა ოთხი საათი დაიგვიანა.

პარტიული და კომკავშირის ორგანიზაციების დახმარება და მონაწილეობა გაწვევის კამპანიაში აქტიურია.

წელს გასაწვევ პუნქტებზე მრავლად ცხადდებიან მოხალისეები, ბევრი გასაწვევი უარს ამბობს შეღავათებზე; ახალგაზრდები ჯანმრთელობის მხრივ აკმაყოფილებენ მოთხოვნილებებს.

ასპროცენტიანი გამოცხადება უზრუნველყოფილია.

ვ. ქ.

ხონის გასაწვევ პუნქტზე წვევამდელებს რეგისტრაციაში ატარებენ

# ხელოვნება

## სახელმწიფო ოპერის თეატრი

### ოპ. „კამორა", მუს. ესპოზიტოსი

არ ვიცით, ვინ აღძრა საკითხი ოპერა „კამორას" განახლების შესახებ და იცოდა თუ არა სამხატვრო-პოლიტიკურ საბჭოს შემადგენლობამ ამ ოპერის შინაარსი, როდესაც ის დასტურს აძლევდა მის შეტანაზე მიმდინარე სეზონის რეპერტუარში. ნუ თუ სამხატვრო-პოლიტიკური საბჭო დასაშვებად სთვლის საბჭოთა ოპერის სცენაზე ბურჟუაზიულ ნეაპოლის ესაქმურ, მაწანწალა და თაღლითობაში გამოჩენილ ელემენტების იდეალიზაციას, და მათ ორგანიზაციას, „კამორას" სახელწოდებით. მით უმეტეს, რომ ეს თაღლითობა და მუქთახორობა პიესის შინაარსით საბოლოოდ იმარჯვებს.

ძალაუნებურად გამოდის ასეთი დასკვნა, რომ საჭირო არაა შრომა ან საზოგადო ინტერესებისათვის პირადი ინტერესების შეზღუდვა. გარდა ამისა, განა დასაშვებია საბჭოთა ოპერის სცენაზე იმგვარი პორნოგრაფიული მომენტები, როგორიც ამას აქვს ადგილი „კამორაში"? მაგალითად ავანტიურისტ ჯიჯის მიერ ლარისას (ხანში შესული ქალის) მოხიბვლა და შუადამის კულისებში ხვევნა-კოცნით გაყვანა. საიდანაც ლარისა ბრუნდება დასუსტებული ნაბიჯით და დაკმაყოფილებულ სქესის მაჩვენებელ ღიმილით. ეს არის ჩვენი ოპერის იდეოლოგიური ხაზის გატარება?

თუ განვიხილავთ „კამორას" მუსიკალურ მხარეს — დავინახავთ, რომ ოპერის ხელმძღვანელობამ სრულებით ვერ აუარა ოპერის პირდაპირ დანიშნულებას და შოაწოდა ყოვლად შეუწყნარებელი მუსიკალური „აჯაფსანდალი", სადაც განთქმულ კლასიკოსთა თხზულებებიდან ამოგლეჯილი თემები (მაგალითად, მოცარტიდან, ბეთჰოვენიდან და სხვ.) უხამსად არის შეზავებული შანსონეტურ ბუფფონადასთან ან დამახინჯებულ ნეაპოლიტანურ ხალხურ სიმღერასთან. ამგვარი მუსიკა გამხრწნელია როგორც ფართო მასისა, ისე იმ ახალგაზრდა მომღერლებისა, რომელთაც დააკარგვინეს ძვირფასი დრო და შესწავლეს ეს ოპერა.

მძიმე შთაბეჭდილებას ჰქმნის შედარება ამ ოპერაში მონაწილე მსახიობთა მშვენიერ სცენიურ და ვოკალურ მომზადებისა—რომელიმე სხვა, ნამდვილად მხატვრულ ოპერის მომზადებასთან, სადაც იგი ხშირად გამოიცქირება ხალტურის სახით. ეჭვს გარეშეა, რომ როგორც ახალგაზრდა რეჟისორის კვალიაშვილის უტყუარი პოტენცია, ისე მსახიობთა ენერგია — ტყუილ-უბრალოდ არის ჩაზნეილი უვარგის თხზულების გაფორმებაში.

ყველა ზემოხსენებულიდან გამოდის ერთი დასკვნა: ოპერის ხელმძღვანელობის პირველი ნაბიჯები ამ სეზონში დამაკმაყოფილებელი ვერაა. ოპერასთან არსებულ სამხატვრო-პოლიტიკურ საბჭოს და მთავარ ხელოვნებამ ეხლავე უნდა გაითვალისწინოს მთელი პასუხისმგებლობა ოპერის მიმდინარე სეზონის იდეოლოგიური და მხატვრული ხაზისათვის.

კოტე მელვინეთ-უხუცესი.

## ისტორიული ძეგლების აღმოჩენა სვანეთში

სვანეთიდან დაბრუნდა საქართველოს მუზეუმის კომპლექსიური ექსპედიცია, რომელმაც იქ დაჰყო ორი თვე. ექსპედიციის ეთნოგრაფიული ნაწილი აწარმოებდა თანამედროვე სვანეთის ყოფა-ცხოვრების შესწავლას და საბჭოთა ახალი მშენებლობის ძირითადი მაჩვენებლების შეგროვებას (გზის გაყვანა, მდინარეთა ენერგიის გამოყენების პრობლემის შესწავლას და სხვ.).

საქართველოს მუზეუმში სვანეთის გამოფენის მოსაწყობად, ექსპედიციამ დიდძალი კოლექციები დააგროვა. კოლექციები შეიცავენ მიწადმოქმედების, მესაქონლეობის, ტყავის დამზადების, ხარატობის, ქსელვის, საოჯახო მოწყობილობის, ე. წ. „ლიფანალი"-ს (სულების გამასპინძლება) სრულ ციკლს. ჩამოტანილია 400 მეტი სხვადასხვა ხასიათის ექსპონატები, ფოტო-სურათები და სხვ.

ექსპედიციის მუშაობას დიდად უწყობდა ხელს ადგილობრივი ხელისუფლება და განსაკუთრებით ახალგაზრდობა. ექსპედიციის მიერ შეგროვილი მასალებიდან ნათლად ჩანს სვანეთის კავშირი უძველეს დროში აღმოსავლეთთან — სპარსეთთან, სირიასთან და პალესტინასთან, ხოლო უახლოეს დროში—დასავლეთთან.

ექსპედიციის მუშაობის პროცესში შესაძლო გახდა თავისუფალი სვანეთის არქიტექტურისა და მხატვრობის შესწავლის წარმოება. ნაპოვნ ძეგლთა შორის დათარიღებულ იქნა ერთი წარწერა, რომელიც ეკუთვნის 11 საუკუნეს (1096 წ.). ძველ ქართულ ხელო ნაწერების საისტორიო საბუთებისა და წარწერების შესწავლაში ექსპედიციას განსაკუთრებული მიღწევები ჰქონდა.

აღმოჩენილი იქნა 121 ხელთნაწერი, რომლებიც ეკუთვნიან ძველი ქართული მწერლობის სხვადასხვა პერიოდებს. ნაპოვნ ძეგლთა შორის გვხდებიან მე-8, მე-9 საუკუნეების პალიმფსესტები, რომელთა შორის ერთი დათარიღებულია მე-6 საუკუნით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საისტორიო ხასიათის საბუთები იქნა აღმოჩენილი ზემო სვანეთში.

აღმოჩენილი საისტორიო საბუთები მეცნიერებისათვის დღემდე სრულებით უცნობი იყო. მათი რიცხვი უდრის 130-ს. მათ შორის არიან საკანონმდებლო ხასიათის დადგენილებები, სრულიათ სვანეთის კრებისა, რომელიც მოწვეული ყოფილა მე-14 საუკუნეში. მოიპოვებიან აგრეთვე დადგენილებანი და ხელშეკრულებანი ცალკე თემებს შორის და კერძო აქტები, რომლებიც გვიხატავენ სვანეთის ძველი ყოფა-ცხოვრების სხვადასხვა მხარეებს. აღმოჩენილი დოკუმენტები ეკუთვნიან მე-13 საუკუნიდან დაწყებულ პერიოდს ვიდრე მე-17 საუკუნემდე.

ყველა ეს დოკუმენტები და ძეგლები შესწავლილ და გადმოღებულ იქნა და მზადდება გამოსაცემათ. აღმოჩენილ წარწერების შესწავლას და ეპიგრაფიკას უდიდესი მნიშვნელობა აქვს კერძოდ ქართული ხელოვნების ისტორიისათვის. საკმაოა აღინიშნოს, რომ ამ წარწერების საშუალებით გამოირკვა ვინაობა ძველ ქართულ ხელოვანთა, მხატვართა, ოქროს მჭედლებისა და სხვ. ვინაობა. წარწერების კრებული მზადდება დასაბეჭდად.

# ოფიციალური განყოფილება

## დადგენილება

### სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

### „საქართველოს სსრ მთავრობის კანონთა და განკარგულებათა გამოქვეყნების წესის თაობაზე" გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. აპრილის 25-ის დადგენილებაში „საქართველოს სსრ მთავრობის კანონთა და განკარგულებათა გამოქვეყნების წესის შესახებ" (კან. კრ. 1928 წ. მეშვიდე №-რი, მუხ. 52; 1929 წ, 22 №-ი, მუხ, 257) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

I.

მე-5, 9, 10, 11 და 15 მუხლები მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„5. კანონთა გამოქვეყნების საქმე დაეკისროს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის სარედაქციო იურიდიულ ბიუროს".

„9. იურიდიულ პირთა ის წესდებანი, რაც დამტკიცებულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს მიერ, გამოქვეყნდება „საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულში" (მეორე ნაწილში).

იურიდიულ პირთა იმ წესდების გამოქვეყნება, რაც დამტკიცებულია საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატების მიერ, სავალდებულო არ არის.

იმ იურიდიულ პირთა წესდებანი, რომელთაც, არსებული წესისამებრ, საგარეო ბაზარზე გასვლის უფლება აქვთ, გამოქვეყნებულ უნდა იქნეს საუწყებო გამოცემებში.

გამოსაქვეყნებელი წესდების დამტკიცებისას, ხოლო რეგისტრაციისას, იურიდიული პირის დამფუძნებლებმა უნდა წარუდგინონ სათანადო დაწესებულებას—გამოქვეყნებისათვის ოფიციალურად დამოწმებული ასლი წესდებისა გამოქვეყნების სასყიდლითურთ.

მრეგისტრირებელი ორგანო მოვალეა რეგისტრაციის დროს დარწმუნდეს, რომ შესრულებულია ზემოაღნიშნული მოთხოვნა და ხუთი დღის ვადაზე რეგისტრაციის დღიდან აცნობოს გამომქვეყნებელ ორგანოს, რომ რეგისტრაცია მოხდა. გამომქვეყნებელი ორგანო წესდებას, გამოაქვეყნებს ამ ცნობების მიღების შემდეგ.

**შენიშვნა:** სასყიდელს წესდებათა გამოქვეყნებისათვის განსაზღვრავს: საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის კრებულში გამოქვეყნებისათვის — საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობა; საუწყებო გამოცემებში გამოქვეყნებისათვის—სათანადო უწყებების ხელმძღვანელი—საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით და ფინანსთა სახალხო კომისარიატის საუწყებო გამოცემაში გამოქვეყნებისათვის—ფინანსთა სახალხო კომისარი—საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით".

„10. ის საუწყებო განკარგულება და ინსტრუქცია, რომლის გამოქვეყნებაც „საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულში" გათვალისწინებულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, მისი პრეზიდიუმისა, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ან ეკონომიური საბჭოს დადგენილებით,—გამოქვეყნებულ უნდა იქნეს კანონთა და განკარგულებათა კრებულის მეორე ნაწილში".

„11. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის სარედაქციო-იურიდიული ბიურო განიხილავს მისთვის გამოსაქვეყნებლად გადაცემულ, მე-10 მუხლში აღნიშნულ, საუწყებო განკარგულებებისა და ინსტრუქციების შინაარს და უკეთუ აღმოაჩენს, რომ განკარგულება თუ ინსტრუქცია ეწინააღმდეგება მომქმედ კანონს, უარს იტყვის მის გამოქვეყნებაზე და უარის საფუძვლის ზედმიწევნით აღნიშნავს. საჩივარს გამოქვეყნებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე. განკარგულებისა თუ ინსტრუქციის მიზანშეწონილობის საკითხს სარედაქციო-იურიდიული ბიურო არ ეხება".

15. „საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული"-ს თვითეული ნომრის გამოშვებისთანავე, ან ნორმის ეგზემპლიარები დაუყოვნებლივ, ეგზავნებათ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს, საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებს და მათთან გათანასწორებულ ცენტრალურ დაწესებულებებს, ავტონომიურ რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, საქალაქო საბჭოებს და სასოფლო საბჭოებს, აგრეთვე სასამართლო და დაწესებულებებსა და პროკურატურის ორგანოებს".

II.

მე-12, 13 და 14 მუხლები გაუქმებულ იქნეს.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
**ფ. მახარაძე**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
**გ. გოგია.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
**ს. თოდრია.**

1931 წ. ივლისის 13.
თბილისი.

## პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— „ს. კ. პ. (ბ) ც. ს, კომისია წინადადებას აძლევს ჩხარის რაიონის ყოფილ პ. მგ. მომუშავეებს—ამხ. ფარულავას, ქავთარაძეს, [illegible] მაჭარაშვილს და ჯიხვაშვილს აცნობონ თავიანთი მისამართები ც. ს. კომისიაში მომუშავე ამხ. შოთა ჩხაიძეს (ოთახი № 21 მესამე სართული)".

—:—

— ცეკას კადრების განყოფილება სთხოვს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს აუცილებლად შემოიარონ ამხ. გაბუნიასთან დღეს, 2 ოქტომბერს, დილის 9 საათზე (ოთახი № 35): ტრაპაიძე გრიგოლი გ., მოდებაძე დავითი ივანეს ძე, ალავერდოვი სტეფანე, ცხოიძე ი. (ჯანსახკომი), მოისწრაფიშვილი შ., რუხაძე იოსები. ქავთარაძე ნინა ივგორის ასული, სვანიძე ქსენია, ბარათელია კლიმენტი, გერგაძე ნესტორ ივანეს ძე. კანკავა პელაგია იონას ას., ურუშაძე ნინა ყარამანის ას., მეჩკალავა ალექსანდრე, ჯანაშია ე. ი., ბუთხუზი არჩილი, ბურჭულაძე გიორგი, ელენტი თედორე არტემის ძე, ღამბაშიძე ისაკი ალექსის ძე, პეტრიაშვილი სერგო, სარია ელიზბარი, უნგიაძე ნატალია ვლადიმერის ას., ბურდიაშვილი ივანე გიორგის ძე, ბუხნიკაშვილი პავლე, გრიგორიანი გრიგოლი; მჭედლიძე შ., კაპანაძე შალვა ივანეს ძე, მეგრელიშვილი სერგო, ოდიშარია ნიკოლოზ იოსების ძე, ნოზაძე ივანე ნიკოლოზის ძე, კუჭაიძე სიმონ სილიბისტროს ძე, გულულაშვილი გიორგი, თოფურია იპოლიტე, კვაკვაცია არჩილ, მამალაძე ტიხონ იასონის ძე, შონია ბიქტორ ერასტის ძე, ბრეიტმანი ალექსანდრე, ხვიჩია დანიელი მელიტონის ძე, ხიხაძე ალ.

—:—

— საქართველოს კ. პ. (ბ) თბილ. ორგანიზაციის ლენრაიკომი წინადადებას აძლევს გამოცხადდნენ ლენრაიონის კულტ. და პროპაგანდის განყოფილებაში 3 ოქტომბერს, დღის 2 საათზე, ამხ. ჯაშიასთან შემდეგ ამხანაგებს: სიგუას—30 სკოლა, ვაშაკიძეს—32 სკოლა, მგელაძეს—10 სკოლა, ზაივალოვს—68 სკოლა, ჯულელს—6 სკოლა.

—:—

— დღეს, 2 ოქტომბერს, სრულ 4 საათზე შესდგება სტამბა „კომუნისტ"-თან არსებულ კომუჯრედის ღია კრება..

—:—

— საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენრაიკომი წინადადებას აძლევს ლენრაიკომის კულტ. და პროპაგანდის განყოფილებაში 2 ოქტომბერს, დღის 1 საათზე, ამხ. ჯაშიასთან შემდეგ ამხანაგებს: დოლიძეს—რკინის გზის დირექცია, შანიძეს—რკინის გზის დირექცია, ძიძიგური ლავრ. სამშენებლო ტეხნიკუმი, შავლაძეს—რკინის გზის საავადმყოფო, კვანტალიანი—რკინის გზის სოცდაზღ. სალარო, მარი აბაშიძეს—მეორე პედ. ტეხნიკუმი, სინჯიკაშვილს—ამიერ-კავკასიის გზათა ინჟინერების ინსტიტუტი, ბალდასაროვს—მე-82 საქარხნო-საფაბრიკო შვიდწლედი.

## ქრონიკა

### მეცნიერების მუშაკთა სექციის ცენტრ. საბჭოს მეორე პლენუმი

დღეს, საღამოს 6 საათზე გაიხსნება საქ. მეცნიერების მუშაკთა ცენტრალური საბჭოს მეორე პლენუმი, რომელიც განიხილავს საბჭოს მიერ ჩატარებულ მუშაობას განვლილი 5 თვის განმავლობაში. პლენუმზე გამოირკვევა, თუ როგორ ასრულებდა საბჭო საქ. მეცნიერების მუშაკთა მეორე ყრილობის დადგენილებებს, რა გაკეთდა იმისათვის, რომ მეცნიერების მუშაკები ჩაბმული ყოფილიყვნენ სოციალისტურ მშენებლობაში.

**სახელმწიფო ოპერის თეატრი** 1931—32 წ. სეზონი.

დღეს, 2 ოქტომბერს მე-10 აბონ. 1-ლი წარმოდ **ჩიო-ჩიო-სან** (ქ-ნი ბატერფლეი)

შაბათს, 3 ოქტომბერს მე 12 აბონ. 1 ლი წარმოდ. **აიდა**

კვირას, 4 ოქტომბერს მე 14 აბონ. 1 ლი წარმოდ. **თამარ ცბიერი**

წარმოდგენები იწყება საღამოს სრულ 8 საათზე. მე 3 ზარის შემდეგ საყურებელ დარბაზში შესვლა არ შეიძლება. მე 4 და მე-6 აბონემენტების შესატანი მიიღება 29/IX-ს, მე 6 და 8 30/X, მე 8 და 10—1/X, მე-10 და 12—2/X, მე 12 და 14—3/X. მე-14 და 16 4/X. მე-16 და 17 5/X, მე-17 და 18—6/X, სააბონემენტო სალაროში 11-დან 2 საათამდე და 6-დან 8 საათამდე.

ნ. 18 9

**რუსთაველის თეატრის** ექსპერიმ. ნიჭიერ სტუდია-სახელოსნოში

**მისაღები გამოცდები დანიშნულია**

**კვირას, 4 ოქტომბერს, დილის 12 საათზე.**

სახელოსნოში მიღებულ მსმენელთა განსაზღვრულ რიცხვს მიეცემათ სტიპენდიები.

განცხადებების მიღება გრძელდება თეატრის კანტორაში 9—3 საათამდე.

ნ. 1882 დირექცია.

სახკინმრეწვ. თეატრები

**საზაფხულო კინო მთერი** (სახ. ოპერის ბაღში) დასაწყისი 8-30, 10—30. ადგილები დანომრილი. — უფა-ფილმის მხატვრული სურათი **პლანეტების და ვარსკვლავების სამყაროში**

**სახელმწ. კინო პალასი** 1-ლი სეანსის დასაწყისი 7 საათზე. — ახალი სურათი **როვუმის ნაპირებზე**

**საზაფხულო დარბაზი** (ბაღში, პლეხან., № 91) დასაწ. 8-30. 10—30 ადგილები დახომრული. — უკანასკნელი დღეები **მეორე სიცოცხლე** რეჟისორი—რიხარდ ოსვალდი.

**როზა ლიუქსემბურგ სახელ.** (ყოფ. მინიონი) 1-ლი სეან. 7 ს. მე II სეან. 8-45 მე III სეანსი 10-30 — მხატვრული ფილმი **შორი და შორ-შორი** რეჟისორი—ა. ბეკნაზაროვი.

**კინო სპარტაკი** დასაწყ. 7, 8—45, 10—30 — **წყნარი დონი** ემა ცესარსკაია მონაწილ. პროგრამის გარდა „პრავდა მასებს"

**რუსთაველის თეატრი**

სანდრო ახმეტელის ხელმძღვანელობით

სეზონი 1931—32 წ.

**აბონემენტების გაყიდვა**

აბონემენტში შედის 10 წარმოდგენა. აბონემენტები იყიდება ბილეთის ღირებულების 40% ფასდაკლებით და გადახდა ექვს ვადათ.

აბონემენტების შეძენისთანავე იხდიან პირველ გადასახადს.

ადგილების ფასი

| ადგილების დასახელება | ბილეთების ნომინალური ღირებულება | | ბილეთების ღირებულება აბონემენტით | | პირველი შესატანი | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მ. | კ. | მ. | კ. | მ. | კ. |
| ბენ. ლოჟაში კუპონი | 5 | — | 3 | — | 6 | — |
| ბელ-ეტაჟის ლოჟის კუპონი | 5 | — | 3 | — | 6 | — |
| პარტერი 1—3 რიგი | 6 | — | 3 | 50 | 7 | — |
| 4—6 „ | 5 | 50 | 3 | 30 | 7 | — |
| 7—9 „ | 5 | — | 3 | — | 6 | — |
| 10—12 „ | 4 | 50 | 2 | 80 | 6 | — |
| 13—14 „ | 4 | — | 2 | 50 | 5 | — |
| 15—17 „ | 3 | 50 | 2 | — | 4 | — |
| 18—20 „ | 2 | 50 | 1 | 50 | 3 | — |
| ბელ-ეტაჟ. ბალკ. 1 რიგი | 4 | — | 2 | 50 | 5 | — |
| 2 „ | 3 | 50 | 2 | — | 4 | — |
| 2 იარუსის ბალკ 1 რიგი | 3 | 50 | 2 | — | 4 | — |
| 2 „ | 2 | 50 | 1 | 50 | 3 | — |
| 3 „ | 2 | — | 1 | 30 | 3 | — |

ქანდარაზე აბონემენტები არ იყიდება. აბონემენტები გაიცემა ინდივიდუალურ და კოლექტიურ მოთხოვნით. სალარო ღიაა ყოველ დღე დილის 11—2 და საღ. 6—8 ს. ნ. 1884

**კინო-თეატრი პალასი**

დღეს, 2 ოქტომბრიდან

ახალი სურათი

**როვუმის ნაპირებზე**

რეჟისორი ქ. ნოვაკი.
ოპერატორი გ. ნიტერი. ნ. 1881

**საქ. ბალნეოტანკავშირის გამგეობას**

**სჭირდება** რაიონებისათვის **მუხაანგოები და მოანგარიშეები**

პირობების გასაგებათ გთხოვთ მიმართოთ საქ. ბალნეოტანკავშირის სათაო-სანკურორტო ჯგუფს (ტფილისი, ლუნაჩარსკის ქ. № 8, მე-3 სართული).

ნ 1883 საქ. ბალნეოტანკავშირის გამგეობა.

**საქმაუდროგა აცხადებს**

რომ ის შეუდგა კომერციულ მანუფაქტურაზე

**ავანსების მიღებას**

თვითეულ მომხმარებელზე მიიღება 150 მანეთი.

ფული მიიღება სამმართველოს სალაროში კომინტერნის ქ. № 5, მე 2 სართული, შესავალი ეზოდან.

მანუფაქტურის გაცემა დაიწყება ა წ. ოქტომბრის მეორე ნახევრიდან.

ნ. 1885 დირექცია.

**საქ. სახ. პედაგოგიური ინსტიტუტი**

ამით აცხადებს ასპირანტთა საყურადღებოდ შემდეგს:

**2 ოქტომბრიდან 5 ოქტომბრამდე იწარმოებს ასპირანტთა რეგისტრაცია (აღრიცხვა)**

ყველა ასპირანტი ვალდებულია გამოცხადდეს ინსტიტუტში ამხ. ვ. ფრანგიშვილთან.

საქმეთა მმართველი **როინიშვილი.**

**ქვემოდ ჩამოთვლილი საბუთები**

**დაკარგული და მოპარული ჩაითვალოს გაუქმებულად**

**კავშირის წიგნაკები:** პისტი გბიძაშვილის, რაჟდენ დანელიასი № 1316870, ჟორა კიკნაძის № 572, სეით პეტროსოვის № 311, ლევან ბერიძესი № 64898 რკ. გზის პროფკავშირში წიგნაკი № 39915 დიმიტრი ხატიაშვილის.

**პირადობის მოწმობა** ნინა დურგლიშვილის, ელიკო დედიაშვილის.

**მუშკოოპის წიგნ.** იორდანე გელაშვილის, პარმენ გიგინეიშვილის № 778, არსენ დეკანოიძის, სიმონ კობაიძის № 224 თამარ კობაიძის № 223, სოფიო კობაიძის № 1781, ჟორა კიკნაძის № 41761, ვასილ ქილახსაშვილის № 196, ამროსი მაკარიძის, გრიგოლ ლაკლაკიშვილის.

**მეტრიკული მოწმობები:** შალვა ბაშაკაულისა, თამარა ურიათყოფელის, ელიკო დედიაშვილის.

**სხვა და სხვა** საქალაქთაშორისო ბილეთი გიორგი ნოხაძის, ზაკტპოს წიგნაკი № 8849, ზოსიმე ლებანიძესი. წლიური რკ. გზის ბილეთი ნინა დურგლიშვილის, ნავთის მოთხოვნ. ბარათი № 55884, ბიულეტენი № 508697, მიხეილ კომახიძესი. დაზღვევის წიგნაკი, № 3578 ლევან ბერიძესი.

**სამხედრო წიგნაკი:** ვარლამ ცომაიასი, ალექსანდრე ჯღარკავასი № 375. დათიკო ბოსტაშვილის, ნიკოლოზ ქაჯაიასი.

**დაიკარგე** ვინაობის წიგნაკი გიორგი დარისპანის ძე ამირაჯიბის სახელზე და სხვადასხვა საჭირო საბუთები. მპოვნელს ვსთხოვ დამიბრუნოს შემდეგი მისამართით ჯაფარიძის ქ. № 11. გასამრჯელო მიეცემა. 789

ექიმი **ი. ი. ქეიშვილი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფ. იღებს ავადმყ. დილის 8 9 საათ. და საღ. 6—8 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა № 72 (ყ. დიდიმთავრის ქუჩა) ინდუსტრიალურ ტეხნიკუმის გვერდზე 13 1 7690

საქ. მემინდვრ-მესაქონლეობის კავშირის გამგეობა აუწყებს საზოგადოებას, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქ. ღვინკომბინატის სარექტიფიკაციო ქარხანა „ჭაჭის" დირექტორი ძველი ბოლშევიკი

**იულონ ზაალის-ძე ცინცაძე**

დასაფლავებ 3 ოქტომბერს. 7877

საქ. მემინდვრმესაქონლეობის კავშირის კომუჯრედი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი, სარექტიფიკაციო ქარხანა „ჭაჭის" დირექტორი

**იულონ ზაალის-ძე ცინცაძე**

7876

უახლოესი მეგობრები თანამებრძოლი ბოლშევიკები: გრიშა გოგილიშვილი, პაპულია ორჯონიკიძე, ალექსანდრე, ამბერკი, კოტე და ვასო დუმბაძეები, ლონგინოზ კალანდარიშვილი, იპოლიტე ბახტაძე, გოიშა სარაჯიშვილი, ლასა ბარამიძე და კალე ქყონია ღრმა მწუხარებით აუწყებენ ამხანაგ მეგობრების ძველი მებრძოლი ბოლშევიკის

**იულონ ცინცაძის**

გარდაცვალებას. 7892

უახლოესი ამხანაგები ვანო ბოლქვაძე, მიშა ლაბხი, გომიდონ სვანიძე, გრიგოლ მგალობლიშვილი, ტარასი მგალობლიშვილი, რაჟდენ კალანდაძე, ესე კალანდაძე, ვალიკო სუფ ისპირელი, პავლე ბურკაძე, აკაკი ლეკიშვილი, თომა ბოცვაძე, ხეოფიტე ქეიშვილი მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს ძველი ბოლშევიკის ამხანაგ

**იულონ ცინცაძის**

დაკარგვას. 7895

უახლოესი ამხანაგები გ. დევდარიანი, ლ. კვირკველია, გ. ხუნდაძე, ს. თავდიშვილი, ს. წერეთელი, ვ. მენაღარიშვილი, ა. ცხომელიძე, ს. ქარუმიძე, ძ. ბარტყულაშვილი, მ. ბერიძე, ა. კასუმოვი, ი. ბელქანია, გ. ებრალიძე, ი. ჯაფარიძე, ბ. კობალაძე, პ. უზნაძე, დ. გუოგინიძე, ა. გვასალია, ა. გეგელაშვილი და ლ. ცინცაძე ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი და საუკეთესო ამხანაგი

**იულონ ზაალის-ძე ცინცაძე**

7878

სამსონ ივანეს ძე ცინცაძე მეუღლე ივლიტეთი, იოსებ ლავრენტის ძე თოხაძე მეუღლე ტასოთი მწუხარებით აუწყებს ნაცნობ და მეგობრებს, რომ გარდაიცვალა მათი ნათესავი და მეგობარი

**იულონ ზაალის-ძე ცინცაძე**

ქარხანა „ჭაჭის" მოსამსახურენი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას მათი ძვირფასი ხელმძღვანელის საუკეთესო ამხანაგის

**იულონ ზაალის-ძე ცინცაძის**

ხანმოკლე ავადმყოფობით უდროოდ გარდაცვალებას ა/წ 30 სექტემბერს 7893

თავზარდაცემულნი მეუღლე ვერა, შვილები: ლოლა, დათიკო და ბუბული დედა ბატა, ცოლისდა ნადია, ძმები: პარმენ და კონსტანტინე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი

**იულონ ზაალის ძე ცინცაძე**

სამოქალაქო პანაშვიდი დღეს საღამოს 6 საათზე, საკუთარ ბინაზე საბჭოთა ქ. № 65 (ყოფ. ჩერქეზიშვილის ქ.) დასაფლავება შაბათს, 3 ოქტომბერს 4 საათ. ვერის ახალ სასაფლაოზე.

დამწუხრებული უახლოესი მეგობრები და ამხანაგები იასონ და ბაბულია ჯღამბერიძე, დ. ჯღამბერიძე, ლ. ჩანტლაძე, ვ. სეფერთელაძე, გ. სვაიძე, მ. ბახტაძე, ბ. თაოსავა, შ. მარგალიტაძე, დ. მგელაძე, ძ. ლეონტი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ძველი მედგარი რევოლუციონერი ბოლშევიკი, საყვარელი ამხანაგი

**იულონ ცინცაძე**

7879

უღრეს მწუხარებაში მყოფნი: არტემ, ანიჩკა და თეკლე იმნაძეები იუწყებიან მათთვის საყვარელი, ძველი ბოლშევიკის

**იულონ ცინცაძის**

უდროოდ გარდაცვალებას. 7890

ღრმად დამწუხრებულნი და გაუბედურებულნი მეუღლე ისიდორე არჩუაძე, მშობლები ეფრემი და თედოსი შვილებით, დომნა, იოსები, გოგია და ერეკლე მუსერიძეები იუწყებიან მათთვის ძვირფას და დაუვიწყარ

**მარგალიტა (მანია) ეფრემის ასულ მუსერიძე-არჩუაძის**

უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება ბინიდან, ანტონოვის ქ. № 22 დღეს, 5 საათზე 7888

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი ბიძები იასონი (იოსები) და ვლადიმერ გიორგობიანები, ცოლშვილით, დეიდები: ელენე და ნადია ქმარშვილით იუწყებიან, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

**მანია (მარგალიტა) ეფრემის ასული მუსერიძე-არჩუაძისა**

გამოსვენება დღეს. 5 საათზე, ბინიდან ანტონოვის ქ № 22 7889

ღრმად დამწუხრებული ცოლი მარო, სიმამრი ვლადიმერი, სიდედრი ევა ჩხეიძეები შვილებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ 4 ოქტომბერს გადახდილი იქნება საყვარელი სიძის

**უშანგი (კოტე) ახობაძის**

სამოქალაქო პანაშვიდი 7894

სამუდამოთ გულმოკლული მშობლები: მიხა და კატუშა ცოლი მარო, დები: ქსენია და ლიდა, ძმა გოგა. სიძე სერგო ხაზარაძე აუწყებენ საზოგადოებას, რომ კუკიის სასაფლაოზე 4 ოქტომბერს 5 საათზე გადახდილი იქნება უდროოდ დაკარგულ პედ. ინსტიტუტის სტუდენტ

**უშანგი (კოტე) ახობაძის**

ხსოვნის აღსანიშნავათ სამოქალაქო პანაშვიდი. 7894

საქართველოს კომუნისტური პარტიის ჩოხატაურის რაიკომი უღრმესი მწუხარებით აუწყებს ორგანიზაციებს და ამხანაგებს ძველი ბოლშევიკის ამხანაგ

**ვარდენ გლახუნის-ძე ზამბახიძის**

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფელ განახლებაში კვირას, 4 ოქტომბერს. 1877

დამწუხრებულნი ეკიფაჟე და ეპრაქსი ჯიბლაძეები შვილებით ნესტორი, სარდიონ, გალაქტიონ, ვალოდი, რძლები: თამარა და ზინა, შვილის შვილები: დიმიტრი, ჟორა, ალიოშა, გივი, ეთერი, ქეთო იუწყებიან საყვარელი სიძის

**ვარდენ გლახუნის-ძე ზამბახიძის**

უდროოთ გარდაცვალებას. დასაფლავება განახლების თემში (გურია) 4 ოქტომბერს 7874

ჩოხატაურის რაიაღმასკომი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს ძველი ბოლშევიკის რაიაღმასკომის წევრის ამხანაგ

**ვარდენ ზამბახიძის**

უდროოდ გარდაცვალების გამო 1877

ქუთაისში მომუშავე ამხანაგების ჯგუფი: ნოე ზამბახიძე, ბიჭიკო კატარაია, დათიკო ართმიძე, გრიგოლ იასონის ძე სიხარულიძე, ვალამ ერქომაიშვილი, ილარიონ კალანდაძე, გალაქტიონ დოლიძე და კოსტა თავბერიძე უღრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ ძველი ბოლშევიკის ამხ.

**ვარდენ გლახუნის-ძე ზამბახიძის**

გარდაცვალების გამო. 7880

განსახკომის მე 11-რე საბავშვო კერის მასწავლებლები: ნინო ოქროპირიძე, ნუნუ კუკულაძე, ანიკო ცაბაძე, ნელი კახნიაშვილი დასტირიან ძვირფას მეგობარს სიცოცხლით სავსე

**მელიკო მგალობლიშვილის**

ტრაგიკულად დაღუპვას. 7873

სახპედინსტიტუტის თანამშრომლები. კ. როინიშვილი, მ. ცისკარიშვილი, მ. ჟორდანია, შ. პოდკოლზინა, ო. რუსაძე, გ. კალაძე, ი. საყვარელიძე, შ. მჟავია, გ. კოკელაძე, გ. რამიშვილი, ვ. მურვანიძე, დ. სვანიშვილი და თ. ხაჟომია ღრმა მწუხარებას გამოსთქვამთ თამარ მგალობლიშვილის დის

**მელიკოს**

ტრაგიკულად გარდაცვალების გამო. 7886

უახლოესი ამხანაგები: ევგენი ახალაია, ლავრენტი ქუთათელაძე, პეტრე ჩიმაკაძე, გერონტი მელაძე, სოლომონ ხუხუნაშვილი, მიშა ქანქალეიშვილი აუწყებენ საზოგადოებას, რომ გარდაიცვალა დაუვიწყარი ამხანაგი

**იოსებ მიხეილის-ძე ქავთამაძე**

დაკრძალვა ხონში

დესპინე მელივა შვილებით: თომა, გენადია და არონი უღრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ საყვარელი და ძვირფასი ნათესავის

**მელქისედეკ სილიბისტროს-ძე კალანდაძის**

ტრაგიკულად დაღუპვის გამო. 7885

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: დეიდა თამარი და ბიძია კოტე საბანაძეები პატარა ენრიკოთი გულის ტკივილით აუწყებენ ნათესავ მეგობრებს დაუვიწყარ

**ლილი მუშკუდიანის**

უდროოდ გარდაცვალებას 7891

სამუდამოდ გაუბედურებული დედა მარიამი. დები ზინა და რუსიკო, სიძე გიორგი მირზაშვილი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავ მეგობრებს, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი დაუვიწყარი

**ლილი მუშკუდიანი**

7891

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: დეიდა ანიკო და ბიძია შიო კასრაძეები აუწყებენ ნათესავ-მეგობრებს ძვირფას

**ლილი მუშკუდიანის**

გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი 2 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, მილიუტინის ქ. № 12. 7891

გულდამწვარი დედა მართა, ძმა სანდრო, რძლები თამარა და ტერეზი, დები სონია, თეო და მეტია ქმრებით იუწყებიან დაუვიწყარ

**ვერა მგელაძის ასულ თოდრიას**

გარდაცვალებას. გამოსვენება 3 ოქტომბერს დღის 4 საათზე რკინის გზის საავადმყოფოდან 7898

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ივანე თოდრია მშობლებით, შვილები თინიკო და ანეტა ქმარით იუწყებიან დაუვიწყარ

**ვერა მგელაძის ასულ თოდრიას**

გარდაცვალებას. გამოსვენება რკინის გზის საავადმყოფოდან შაბათს, 3 ოქტომბერს. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 7898

სამუდამოდ დამწუხრებული მეუღლე მარიამი, დედა დაფინა, დები და ძმები ოჯახებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 4 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე. ქუთაისში საფიჩხიის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი

**ბესარიონ ალექსანდრეს-ძე ბოკუჩავას**

ხსოვნის აღსანიშნავად ნ. 1878

გულდათუთქული და მწუხარებაში მყოფნი მეუღლე ივლიტა, შვილები ელიტონი ნოე პლატონი, პარასკევა და თამარა თოფურიები აუწყებენ ნაცნობ ნათესავებს და მეგობრებს, რომ ა/წ. 28 სექტემბერს დღის 4 საათზე გარდაიცვალა

**თადეოზი გოგის-ძე თოფურია**

დასაფლავება 3 ოქტომბერს, შაბათს, 7 საათზე. სოფელ იატებერაში (ლეცინცვაი) 7855

უღრმესად დამწუხრებულნი ვასილი და პელაგია ბახტაძეები შვილებით დათიკო, ცუცა და მარუსიათი იუწყებიან, რომ ძიმე ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და საყვარელი

**თადეოზ გოგის-ძე თოფურია**

დაკრძალვა სოფელ ნათბეურში 3 ოქტომბერს 7887

სამუდამოდ გაუბედურებული მშობლები: ვერა და ვალოდია მალანიები იუწყებიან, რომ თავიანთი ერთად ერთი იმედის

**თენგელას**

ხსოვნის აღსანიშნავად 3 ოქტომბერს, საღ. 6 საათზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ვერის ახალ სასაფლაოზე 2—1 7875

გულმოკლულნი: დედა ალექსანდრა, და კატო, ძმები ვახტანგი და გოგი, დეიდები მარო და თამარა ბახუტაშვილები, ელიზბედ ალიაშვილისა უღრმეს მადლობას უცხადებენ ყველას, ვინც გაიზიარა მათი მწუხარება, გამოწვეული თელავის პედ ტეხნიკუმის მსმენელ

**ანო ჩიჩუას**

უდროოდ დაკარგვის გამო 7884

უდროოდ დაკარგულ IV კურსის სტუდენტ

**ვასილ ილარიონის-ძე ანდრიაძის**

ხსოვნის აღსანიშნავად, სამტრედიაში 3 ოქტომბერს დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ძეგლის გახსნით, რასაც იუწყებიან დამწუხრებული დედა, ძმები და დები. 7899

სამუდამოდ ტანჯული მშობლები ვალერიან და ნინო შანიძეები აუწყებენ ნაცნობ ნათესავებს ერთადერთი იმედის ორი წლის ვაჟის შვილის

**გივი ვალერიანეს-ძე შანიძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა ჩაქვში 2 ოქტომბერს. 7897

გულმოკლული ბებია ცოლა ხატა, ბიძაშვილები ოლე და ანდრო, ძმები ქეთო და ლენა დასტირიან უდროოთ დაკარგულ პატარა

**გივიკო ვალერიანის-ძე შანიძის**

გარდაცვალებას. 7883

გაზეთ „კომუნისტი"-ს გამომცემლობის სტამბა
მთავლიტი № [illegible]